

ინკლუზიური პროფესიული

განათლების გზამკვლევი



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
Ministry of Education and Science of Georgia



NORWEGIAN MINISTRY
OF EDUCATION AND RESEARCH

ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი

გზამკვლევი განკუთვნილია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლების, მასწავლებლების, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის. გზამკვლევი სარეკომენდაციო ხასიათისაა და მიზნად ისახავს მასწავლებლებსა და სხვა სპეციალისტებს გააცნოს ის გზები, რაც მათ დაეხმარება ნებისმიერი საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვასა და წარმართვის ხელშეწყობაში, წარმოქმნილ სირთულეებთან გამკლავებაში.

გზამკვლევის ავტორი: ნინო რუხაძე

ოკუპაციური თერეპიის მეცნიერების მაგისტრი; ფსიქოლოგიის მაგისტრი;

ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

გზამკვლევის შექმნაზე მუშაობდა: მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი

ფსიქოლოგიის მაგისტრი;

ინკლუზიური პროფესიული განათლების პროექტის მენეჯერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

სამადლობელი სიტყვა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, მასწავლებლებს, ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი გუნდის წევრებს, ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის წევრებს და თავად პროფესიული განათლების სტუდენტებს; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებსა და, რაც მთავარია, ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს განეული მხარდაჭერის, გამოცდილების გაზიარებისა და რეკომენდაციების მოწოდებისათვის.

გზამკვლევი შექმნილია ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროსთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე მიმდინარე პროექტის ფარგლებში – „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“.

ISBN: 978-9941-0-9514-6

სარჩევი

თავი 1: ინკლუზიური პროფესიული განათლების კონტექსტი საქართველოსა და მსოფლიოში	7
რა არის ინკლუზიური განათლება?	7
რა უწყობს ხელს ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვას საქართველოში?	9

თავი 2: პროფესიული ორიენტაციის, მომზადებისა და დასაქმების პროცესის ორგანიზება — ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა	11
რა არის ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა?	11
ორიენტაციის ფაზა	14
მომზადების ფაზა	19
დასაქმების ფაზა	22

თავი 3: მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისა და დასაქმებისთვის	28
რა არის პროფესიული ორიენტაცია?	28
როგორია პროფესიული ორიენტაციის პროცესში სხვადასხვა მონაწილე მხარეთა (სკოლა, დამსაქმებელი, პროფესიული სასწავლებელი) როლი?	30

თავი 4: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის პროფესიული მომზადების პროცესის ორგანიზება	39
როგორია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული განათლების სისტემაში ჩარიცხვის წესი	39

თავი 5: სპეციური სპანეანათლალო სჭიროების მქონე პირის სასწავლო პროცესი	50
მომზადება სწავლის დაწყებამდე	50
სწავლის პროცესი	55
რა უნდა გაკეთდეს საგანმანათლებლო საჭიროებების გამოვლენის შემთხვევაში?	56
მომზადება სწავლის დასრულებისთვის	61

თავი 6: ინდივიდუალური სასწავლო გეგმა	65
რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?	65
სასწავლო გეგმის აკომოდაცია	69
სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია	73

თავი 7: გუნდური მიდგომის მნიშვნელოვანი ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში	81
რას გულისხმობს გუნდური მიდგომა?	81
როგორია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში ჩართული გუნდის წევრების მოვალეობები?	88
როგორია პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში ჩართული მხარდამჭერი სპეციალისტების მოვალეობები?	92

თავი 8: სპეციური სპანეანათლალო სჭიროების მქონე პირის სასწავლო პროგრამის შეფასება	94
შეფასების კონტექსტი – ინკლუზიური სასწავლო გარემო	94
პოზიტიური უკუკავშირი და წარმატების განცდის გაზიარება	97
განმავითარებელი შეფასება	97
განმსაზღვრელი შეფასება	98

თავი 9: სპეციური სპანეანათლალო სჭიროების მქონე სტუდენტის კონკრეტული შემთხვევის მაგალითი	102
დანართი 1	123
დანართი 2	125
დანართი 3	135
დანართი 4	140
გამოყენებული ლიტერატურა	142

თავი 1:

ინკლუზიური პროფესიული განათლების კონტექსტი საქართველოსა და მსოფლიოში

გზამკვლევის ამ თავში აღწერილია ის საკანონმდებლო და სამართლებრივი საფუძვლები, რომლებიც არეგულირებს პროფესიულ განათლებას საერთაშორისო და ადგილობრივ კონტექსტში და ასაბუთებს პროფესიული განათლების სისტემაში ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვის აუცილებლობას.

რა არის ინკლუზიური განათლება?

ინკლუზიური განათლება – ეს არის განათლების სისტემის მუდმივი გაუმჯობესების პროცესი. მისი მიზანია, განათლების სისტემა რაც შეიძლება ღია და მოქნილი გახდეს განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების მისაღებად და მხარდასაჭერად (UNESCO, 2009). განათლების სისტემა, დაწესებულება თუ პროგრამა სტუდენტებისთვის იქმნება. თითოეული სტუდენტი კი უნიკალური და განსხვავებულია, მათ მრავალფეროვანი მოლოდინი და საჭიროება აქვთ. ინკლუზიური განათლება აღიარებს განათლების მიღების უფლების საყოველთაოობას და მიზნად ისახავს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, როგორშიც ნებისმიერი სტუდენტი შეძლებს, მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება და მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების სრული რეალიზაცია. არ არის მნიშვნელოვანი, როგორი სწავლის ტემპი ან სტილი აქვს სტუდენტს, ინკლუზიური განათლების სისტემა ცდილობს,

მოერგოს მის სტილს, ტემპს და უზრუნველყოს თითოეული სტუდენტისთვის შესაფერისი სასწავლო გარემო. ინკლუზიური განათლება არის „მუდმივად ცვლადი (დინამიკური) მიდგომა, რომელიც დადებითად განიხილავს სტუდენტთა მრავალფეროვნებას და განსხვავებულობაში ხედავს არა პრობლემას, არამედ სწავლების პროცესის გამდიდრების შესაძლებლობას,“ (UNESCO, 2005).

ინკლუზიური განათლების არსი ისაა, რომ განათლების სისტემა და საგანმანათლებლო დაწესებულება კულტურით, სასწავლო გარემოთი, წესებით, სასწავლო გეგმით, მეთოდებით, მასწავლებლებით მოერგოს ნებისმიერი საჭიროების მქონე სტუდენტს და არა – პირიქით. ინკლუზიური მიდგომის თანახმად პრობლემა განათლების ხისტი სისტემაშია და არა სტუდენტში. შესაბამისად, ინკლუზიური განათლება გულისხმობს მრავალფეროვანი, მოქნილი და უნივერსალური დიზაინის მიდგომას.

ტერმინი უნივერსალური დიზაინი პირველად არქიტექტურაში გაჩნდა. რონალდ მეისმა გადამწყვიტა შექმნა ისეთი პროდუქტი, რომელიც არ იქნებოდა მხოლოდ მომხმარებელთა უმრავლესობაზე გათვლილი. მან კოლეგებთან ერთად შეიმუშავა უნივერსალური დიზაინის პრინციპები, რომლებშიც ჩანაფიქრიდანვე პროდუქტის ან გარემოს დიზაინში უფრო ფართო სპექტრის, სხვადასხვა ასაკისა თუ შესაძლებლობის მომხმარებლის არსებობას ითვალისწინებდა (Burgstahler, 2012).

უნივერსალური დიზაინის პრინციპების განათლების სისტემაში გადმოტანა კი გულისხმობს სასწავლო გარემოს, მასალის, სასწავლო გეგმის, შეფასების სისტემისა და რესურსების შექმნისას მრავალფეროვანი, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული საჭიროების მქონე სტუდენტების მოაზრებას. უნივერსალური დიზაინი განათლებაში წაახალისებს მოქნილ და მდიდარ სწავლა-სწავლების პროცესს, რომლის სახელმძღვანელო პრინციპებია:

- 1** სასწავლო მასალის მრავალფეროვანი მიწოდების (რეპრეზენტაციის) შესაძლებლობა;
 - 2** სტუდენტების მოტივირების (სასწავლო პროცესში ჩაბმის) მრავალფეროვანი გზების არსებობა;
 - 3** სტუდენტების მოქმედებისა და გამოხატვის მრავალფეროვანი შესაძლებლობის უზრუნველყოფა.
- (CAST, 2011; Mayer, Rose, 2005).

შესაბამისად, ინკლუზიური განათლება არსებითად განსხვავდება „საშუალო“ შესაძლებლობის სტუდენტთა სწავლებაზე ორიენტირებული განათლების მოდელისგან, რადგან მოიცავს თითოეულ სტუდენტზე სწავლა-სწავლების პროცესის „თარგით“, მორგების ინდივიდუალურ შესაძლებლობას. იქ, სადაც ინკლუზიური განათლება იწვევს, სისტემა, დაწესებულება და მასწავლებელი მზად არიან, მიიღონ ნებისმიერი სტუდენტი და ცდილობენ, მისივე თანამონაწილეობითა და მრავალფეროვანი გზის გამოყენებით, უზრუნველყონ ის ხარისხიანი განათლებით. ინკლუზიური განათლების შემთხვევაში სასწავლებლის „კარი“, ღიაა ნებისმიერისთვის, მიუხედავად მისი სოციალური, ეთნიკური, კულტურული კუთვნილებისა თუ ინდივიდუალური მახასიათებლისა, მოტივაციის, უნარის, სწავლის სტილისა და რიტმის განსხვავებულობისა. ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა არავისთვის არ არის შეზღუდული. ამ შემთხვევაში, მთავარი ელემენტი განათლების არა დაცალკეება (ინდივიდუალიზაცია), არამედ გაფართოებაა (დივერსიფიკაცია) – სწავლა-სწავლების ერთობლივი გამოცდილების მიტანა თითოეულ სტუდენტამდე, რათა ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისად გაიზარდოს პროცესში ყოველი მათგანის თანამონაწილეობის ხარისხი. რაც უფრო მეტად არის გათვალისწინებული სასწავლო გეგმის შედგენისას და უშუალოდ სწავლა-სწავლების პროცესში სტუდენტების საჭიროებების მრავალფეროვნება და განსხვავებულობა, მით უფრო მოქნილი და მდიდარია ის და ნაკლებად საჭიროებს კონკრეტულ სტუდენტზე მოსარგებად სპეციალურ, ინდივიდუალიზებულ მომსახურებას.

უნივერსალური დიზაინის განათლების სისტემაში დასაწერად საჭიროა მოქნილი სასწავლო გეგმა

და სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც ერგება სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტებსა და მათ სასწავლო კონტექსტს. შესაბამისად, ინკლუზიური განათლება დაუსრულებელი პროცესია, რომელიც პრაქტიკითა და გამოცდილებით სულ უფრო იხვეწება და უმჯობესდება. ინკლუზიური განათლების უპირატესობა მისი დემოკრატიულობაა, რაც ქმნის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ, სოციალური ერთობის წამახალისებელ, მრავალფეროვნებისა და უნიკალურობის დამფასებელ მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო სივრცეს.

რა უწყობს ხელს ინკლუზიური პროფესიული განათლების დაწესებულების საქართველოში?

პროფესიული განათლების მიღება საქართველოში შესაძლებელია სავალდებულო განათლების (საბაზო საფეხურის) დასრულების შემდეგ. საბაზო საფეხური მიზნად ისახავს მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას, ზოგადი განათლებისა და მოქალაქეობრივი ფასეულობების ჩამოყალიბებას (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ); ხოლო დასაქმების, საკუთარი თავის მატერიალურად უზრუნველყოფის, საზოგადოებაში პროდუქტიული ადგილის დაკავებისა და დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მოქალაქეს ამზადებს განათლების შემდეგი საფეხურები – პროფესიული ანდა უმაღლესი განათლება.

საქართველოს კონსტიტუცია გამორიცხავს ნებისმიერი ფორმის დიკრიმინაციას და აღიარებს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლების საყოველთაოობას. გარდა ამისა, საქართველოს სახელმწიფო იზიარებს და უერთდება ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო

რისო სტრატეგიულ დოკუმენტებს, რომლებშიც ხაზგასმულია განათლების ნებისმიერ დონეზე, მთელი ცხოვრების განმავლობაში, ინკლუზიური განათლებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა ნებისმიერი საჭიროების მქონე პირისთვის (ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია, 1948; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, 2006).

დღესდღეობით, პროფესიული განათლება საქართველოში რეფორმირების პროცესშია და მისი განვითარების მიმართულება გულისხმობს ინკლუზიური განათლების ფილოსოფიას. საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიაში(2013-2020) ხაზგასმით არის აღნიშნული პროფესიული განათლების სივრცეში სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების ჩართვის მნიშვნელობა: მოსახლეობის ნებისმიერი წევრის მომზადება სრული პროფესიული და პიროვნული განვითარების, სამართლიანი შესაძლებლობებისა და მაღალანაზღაურებად სამუშაოზე დასაქმებისა თუ თვითდასაქმებისთვის. სტრატეგიის ერთ-ერთი ამოცანა სწორედ პროფესიული განათლების დივერსიფიცირებული, ყველასთვის ხელმისაწვდომი, უნივერსალური დიზაინის მქონე, მოქნილი სასწავლო გარემოს და სისტემის უზრუნველყოფაა. ეს კი ეხმიანება ინკლუზიური განათლების ზემოთ აღწერილ პრინციპებს და დადებითად აისახება პროფესიული განათლების მიღების სურვილის მქონე ნებისმიერ პირზე.

დასახული მიზნების მიღწევის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანი პირი მასწავლებელია. კეთილგანწყობილ, ღია სასწავლო გარემოს და სწავლა-სწავლების მრავალფეროვნებას მეტწილად პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების

მასწავლებელი უზრუნველყოფს. საქართველოში პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლის სტანდარტი განსაზღვრავს მის ვალდებულებას, თავისი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას იხელმძღვანელოს ინკლუზიური განათლების პრინციპებით: ყველა სტუდენტისთვის, მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად, შექმნას ინდივიდუალური გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმები; თითოეული სტუდენტის მიზნების, საჭიროებებისა და გეგმის გათვალისწინებით ასწავლოს და შეაფასოს ისინი. სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და შეფასებისთვის მასწავლებელი იყენებს სხვადასხვა მეთოდს, სწავლების სხვადასხვა სტრატეგიასა და სხვებთან ეფექტიანი თანამშრომლობის ფორმებს (პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი). მასწავლებელს რომ მიეცეს შესაძლებლობა, სასწავლო პროცესი წარმართოს სტუდენტზე ორიენტირებულად, ხარისხიანად და მოქნილად, მას მხარს უნდა უჭერდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია და თანამშრომელთა მთელი გუნდი. პროფესიული დაწესებულება, რომელიც

ინკლუზიური განათლების პრინციპებით ხელმძღვანელობს, ნერგავს ამ ფასეულობებს როგორც დაწესებულების არაფორმალური კულტურის, ისე შიდა რეგულაციების დონეზე. უფრო ზოგადად კი, ქვეყანაში ინკლუზიური განათლების დანერგვა და განვითარება არა მხოლოდ მასწავლებლებისა და სასწავლო დაწესებულების, არამედ მთელი საზოგადოების – სოციალური პარტნიორების, დამსაქმებლებისა და სამოქალაქო საზოგადოების – აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს.

საბოლოოდ, ინკლუზიური განათლების დანერგვა (როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე) მიმართულია იმისკენ, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები თანდათან, სულ უფრო და უფრო მეტად პასუხობდნენ ნებისმიერი მოქალაქის ინდივიდუალურ საჭიროებას; ზრდიდნენ დემოკრატიულ და არადისკრიმინაციულ ფასეულობებზე დაფუძნებული საზოგადოების წევრებს; გასცემდნენ ხარისხიან, ხარჯთეფექტურ, სამართლიან და მოქნილ მომსახურებას ყველასთვის (UNESCO, 2009).

შეჯამება

კონკრეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინკლუზიური განათლების პრინციპების დაცვის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, ადმინისტრაციამ, თანამშრომლებმა და სტუდენტებმა თავად უნდა შეაფასონ არსებული მდგომარეობა და შეფასების შედეგებზე დაყ-

რდნობით დასახონ თანმიმდევრული სამოქმედო გეგმა. მდგომარეობის შესაფასებლად შესაძლებელი და რეკომენდებულია ინკლუზიის ინდექსის თვითშეფასების ფორმის გამოყენება (Booth, Ainscow, 2002, 2011).

თავი 2:

პროფესიული ორიენტაციის, მომზადებისა და დასაქმების პროცესის ორგანიზება – ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა

გზამკვლევის მეორე თავში აღწერილია მოსამზადებელი სამუშაო, რომელიც ადამიანს ცხოვრების ერთი ეტაპიდან მომდევნო ეტაპზე მოქნილ გადასვლაში ეხმარება (მაგალითად, სავალდებულო განათლების შემდეგ პროფესიული მომზადება ანდა დასაქმება). მოსამზადებელ სამუშაოში იგულისხმება ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ადამიანს გაერკვეს საკუთარ ინტერესებში, არსებულ პროფესიებსა და სასწავლო პროგრამებში, გაეცნოს დასაქმების ბაზარს, დაამყაროს ურთიერთობა დამსაქმებელთან, აირჩიოს მომავალი ცხოვრების მიმართულება, დაეუფლოს შესაბამის კომპეტენციებს, გაიაროს პრაქტიკა ან სტაჟირება, და დასაქმდეს. ყოველივე ეს ინკლუზიური განათლების პრინციპებზე დაყრდნობით და ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმაზე მუშაობის ფარგლებში მიმდინარეობს.

რატომ არის ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა?

სწავლის საფეხურიდან დასაქმებაზე გადასვლა (ტრანზიცია) ცხოვრების წესის ცვლილებას უკავშირდება. ის ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთი კრიტიკული და დინამიკური პროცესია.

პასუხი კითხვაზე, როგორია ეს პროცესი ან რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს, მრავალფეროვანი და ინდივიდუალურია.

ნებისმიერ შემთხვევაში, სწავლის ეტაპის დასრულება და შემდეგ ეტაპზე ტრანზიცია სასურველი

მომავლის განჭვრეტას, ცხოვრების მიმართულების არჩევასა და ახალი როლის შექმნას უკავშირდება. მზადყოფნა ცხოვრების შემდეგი ეტაპის ანდა დასაქმებისთვის ადამიანში თანდათან ჩნდება და მისგან მოითხოვს საკუთარი მიღწევების შეჯამებასა და გადაფასებას, ინტერესების დაზუსტებასა და სურვილების ჩამოყალიბებას, მომავალი ცხოვრების დასაგეგმად სხვადასხვა შესაძლებლობის გაცნობას, აწონ-დანონვას და, შესაბამისად, ინფორმირებულ და გაცნობიერებულ არჩევანს.

ტრანზიციის პროცესი თანმიმდევრულ ეტაპებს მოიცავს. ხშირ შემთხვევაში, ადამიანი მას და-

მოუკიდებლად, ხანდახან საკმაოდ სპონტანურად და, ერთი შეხედვით, შეუმჩნეველადაც კი გადის. თუმცა აღწერილი პროცესის უმტიკივნიელოდ და წარმატებით გასავლელად შეიძლება აუცილებელი გახდეს როგორც სამოქმედო გეგმის შედგენა, ისე სხვათა მხარდაჭერა დასახული მიზნის მისაღწევად. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მხარდაჭერა ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის – ვისთვისაც საზოგადოებაში

სხვადასხვა საინტერესო გამოცდილების მიღების, საკუთარი თავისა და დასაქმების ადგილების გაცნობის შესაძლებლობა, ხშირ შემთხვევაში, ჯერჯერობით ისევ შეზღუდულია.

არსებული მრავალი ბარიერის გამო, ტრანზიციის პროცესი წინასწარ გააზრებულ დაგეგმვას, საჭირო რესურსების მოძიებასა და გარემოს შესაბამის ორგანიზებას მოითხოვს. მაგალითად განვიხილოთ ელენეს შემთხვევა.

მაგალითი

ელენე მე-8 კლასის მოსწავლეა. მისი ოჯახი ხშირად ფიქრობს, რა ჯობს ელენესთვის: მე-9 კლასის შემდეგ სწავლა ისევ საჯარო სკოლაში გააგრძელოს, თუ არა.

ამ ფიქრის მიზეზი ისაა, რომ ელენე სკოლაში უხალისოდ დადის, არდადეგების დროს კი განსაკუთრებით ვარგ ხასიათზეა. მას შინ ყოფნა, სახლის დალაგებასა და ეზოს მოვლაში სხვების დახმარება ურჩევნია. როდესაც ელენეს ეკითხებიან, რას გააკეთებს სკოლის დამთავრების შემდეგ, ამბობს, რომ გამყიდველად მუშაობა სურს.

ელენეს უფროსი ძმის დაკვირვებით, ბოლო დროს მისი და თანაკლასელებთან ნაკლებად ურთიერთობს. მისი ვარაუდით, ამის მიზეზი შეიძლება იყოს მათ შორის არსებული განსხვავებული ინტერესები და ცხოვრების აჩქარებული ტემპი – გაკვეთილების შემდეგ უმრავლესობა სპორტულ, ხელოვნების ან ენების შემსწავლელ წრეებში დადის, ელენესთვის კი ეს გამოცდილება უცხოა, რადგან სმენასთან დაკავშირებულ სირთულეზე მორგებული და სპეციალური საკომუნიკაციო მეთოდებით მიმდინარე საინტერესო წრეები არ არსებობს.

ოჯახის წევრები ფიქრობენ, რომ ისეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, როგორცაა სკოლაში სწავლის შეწყვეტა ან საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელება, ნაჩქარევად არ უნდა მიიღონ და ბევრი ფაქტორი უნდა აწონ-დაწონონ. ელენეს ოჯახი აცნობიერებს, რომ ორი წლის განმავლობაში, სანამ ელენე სავალდებულო განათლებას დაასრულებს, შესასრულებელია გარკვეული სამუშაო, რაც თითოეულ მათგანს და ელენესაც მომავალ ცხოვრებაზე უფრო ინფორმირებული და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მისცემს.


მაშასადამე, ასეთ საკითხზე ფიქრით, მსჯელობითა და შესაბამისი ნაბიჯებით ელენეს ტრანზიციის პროცესი მე-8 კლასიდან იწყება.

მოზარდის ტრანზიციის გეგმა, იდეალურ შემთხვევაში, ცხოვრების მიმდინარე ეტაპის დასრულებამდე იწყება და საინტერესო სამუშაო ადგილის მოძიებითა და დასაქმებით მთავრდება. თუმცა, დასაქმებამდე მოზარდმა შესაძლებელია გრძელი ან შედარებით მოკლე გზა გაიაროს: სრული ან არასრული საშუალო განათლების მიღებით; ფორმალური ან არაფორმალური მომზადების პროცესში ჩაბმით; მოხალისეობით ანდა სტაჟირებით და სხვა.

ნებისმიერ შემთხვევაში, ამ პროცესს მიმართულებას თავად ახალგაზრდა და მისი მხარდამჭერი ახლობლები აძლევენ, ხოლო პროცესის ორგანიზებაში მათ ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შემუშავება ეხმარებათ.¹

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა (იტგ) ასახავს კონკრეტული ადამიანისა და მისი მხარდამჭერი გუნდის თანმიმდევრული მუშაობის პროცესს, რომლის მიზანია პიროვნების უზრუნველყოფა დროული, ხელშემწყობი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარებითა და საჭირო მომსახურებით, რათა გადასვლა მოქნილი იყოს.

ამ გზაზე სამი, ერთმანეთში გარდამავალი შუალედური მიზანი და ფაზა გამოიყოფა (Soriano, 2006). განვიხილოთ თითოეული მათგანი ელენეს მაგალითზე.



¹ ტრანზიციის პროცესის წარმართვას წინასწარ შემუშავებული გეგმის საფუძველზე რეკომენდაციას უწევს სპეციალური საჭიროების განათლების განვითარების ევროპული სააგენტო (EADSNE) 19 ქვეყნის დარგის ექსპერტთა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ახალგაზრდა პირთა და მათი ოჯახის წევრთა გამოცდილების ერთობლივ ანალიზზე დაყრდნობით (Soriano, 2006).

1. ორიენტაციის ფაზა

ამ პირველი და მოსამზადებელი ფაზით იწყება ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შედგენა. ორიენტაციის ფაზის მიზანია, ახალგაზრდა პირს ხელი შეუწყოს სასურველი სამსახურისა და შესაბამისი მომზადების ადგილის შესახებ ინფორმაციის მოძიებაში, გაანალიზებასა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

ამ ფაზაზე მუშაობის დაწყება რეკომენდებულია ცხოვრების წინმსწრები ეტაპის დასრულებამდე. ანუ ორიენტაციის ფაზა მანამდე უნდა დაიწყოს, სანამ, მაგალითად, მოსწავლე საბაზო ან საშუალო განათლების საფეხურს დაასრულებს; ან დასაქმებულს სამუშაო ხელშეკრულების ვადა ამოწურება და ა. შ. რაც უფრო დროულად დაიწყება პროფესიული ორიენტაციის პროცესი, მით უფრო მეტად გაცნობიერებულ გადაწყვეტილებას მიიღებს ახალგაზრდა საკუთარი მომავლის შესახებ.

ამ ეტაპზე აქტუალურია: პიროვნების წახალისება თვითგამორკვევისკენ – რაც საკუთარი სურვილების, ინტერესებისა და შესაძლებლობების ანალიზს გულისხმობს; მისი ინფორმირება არსებული თუ პოტენციური დასაქმების ადგილების შესახებ; პიროვნების ხელშეწყობა მის მიერ შერჩეული დასაქმების ადგილების მონახულება-სა და გაცნობაში; მხარდაჭერა მოსამზადებელი პროგრამებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების განსაზღვრაში; პიროვნების შექმნა შერჩეულ მოსამზადებელ ადგილებზე მიღებული შთაბეჭდილებების შესაფასებლად და არჩევანის

გასაკეთებლად. ხშირ შემთხვევაში, ორიენტაციის პროცესში შეიძლება აქტუალური სწორედ არჩევანის გაკეთების უნარის გავარჯიშებაც კი იყოს (ჰესტეტუნი, 2010).

პროფესიული ორიენტაციის პროცესში შეიძლება ხორციელდებოდეს მრავალფეროვნად, სხვადასხვა რგოლის მეშვეობით². აღნიშნულ მომსახურებაზე პასუხისმგებლობას სხვადასხვა სექტორი იღებს: სკოლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, დასაქმების ადგილი, კლუბი, დასაქმების ბიურო და სხვა. პროფესიული ორიენტაცია შესაძლებელია ინდივიდუალური კონსულტაციის სახით ანდა ჯგუფურად მიმდინარეობდეს.

სამუშაო, რომელიც ორიენტაციის ეტაპის ფარგლებში ხორციელდება, აისახება ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმაში.

საკუთესო შემთხვევაში, ორიენტაციის ფაზაში პიროვნების შესახებ მდიდარ ინფორმაციასა და ღრმა ანალიზის შესაძლებლობას პორტფოლიო იძლევა.

პორტფოლიო, იგივე საქალაქე, მისი მფლობელის მიერ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კონტექსტში (მაგალითად, საბაზო განათლების მიღების, ხელოვნების წრეში სიარულის, ბანაკში მოხალისეობის, კონკურსში მონაწილეობის ან დღის ცენტრის მომსახურების მიღების დროს) შექმნილი ინდივიდუალური ნამუშევრების კრებულია. პორტფოლიოში შეიძლება განთავსებული იყოს მეგობრებისთვის გაკეთებული ვარცხნილო-

2 აღნიშნულ ვზამკვლევში ცალკე თავის ფარგლებში დეტალურად არის განხილული პროფესიული ორიენტაციის მნიშვნელობა, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე მისი მიმდინარეობის თავისებურებები, განხორციელების შესაძლებლობები და სხვადასხვა დროს პროფესიული ორიენტაციის პროცესში ჩართული მხარეების როლი.

ბების ამსახველი ფოტომასალა; შეკერილის ან მოქსოვილის თარგები და ფოტოები; ნახატები; ნაძერწი მასალის ფოტოები; მოხალისეობის ამსახველი ვიდეორჩანანერები და მიღებული სარეკომენდაციო წერილები. წესისამებრ, ნამუშევრებს თან ახლავს როგორც მისი მფლობელის, ისე სხვათა (მასწავლებლის, თანატოლის, მენტორის, ფსიქოლოგის და ა.შ.) თვისებრივი თუ რაოდენობრივი შეფასებები, რეკომენდაციები ანდა მიღწევის დამადასტურებელი დოკუმენტები (სიგელი, ცნობა, მადლობის წერილი, სერტიფიკატი).

მასალის ანალიზისას, საქალაქში ნამუშევრების ორგანიზებულად თავმოყრა თვალსაჩინოს ხდის მფლობელის წინსვლის დინამიკას.

შესაბამისად, რეკომენდებულია პორტფოლიო სარჩევითა და განყოფილებებით იყოს მოწესრიგებული, ხოლო თვალსაჩინოებებით გამდიდრებული მასალა (ფოტო/ვიდეო/აუდიოჩანანერი) – დასათურებული და დათარიღებული (იხ. პორტფოლიოს ორგანიზების ერთ-ერთი შესაძლო მაგალითი).

ინფორმაცია მფლობელის შესახებ

- პირადი მონაცემები
- ოჯახის წევრები
- საცხოვრებელი ადგილი და პირობები
- ფორმალური განათლების ისტორია
- არაფორმალური განათლების ისტორია
- საყვარელი საქმიანობა, ჰობი
- ინტერესები
- პიროვნული თავისებურებები, თვისებები
- მხარდამჭერი სოციალური წრე / მეგობრები
- სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია

თანმიმდევრული პროგრესი / წინსვლა

- სემესტრის, წლის თუ საფეხურის მიზნები
- წინსვლის დინამიკა
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- წინსვლისთვის საჭირო მომსახურება / რესურსი
- არტეფაქტები / ნამუშევრები

მიღწევები

- მასწავლებლის შეფასება საგნობრივ პროგრამებში, საფეხურის
- თვითშეფასებები
- თანატოლების შეფასება
- სხვა სპეციალისტების შეფასება
- დიპლომი / სიგელი / სერტიფიკატი
- რეკომენდაციის წერილები
- არტეფაქტები / ნამუშევრები

სამომავლო მიზნები

- დაკავშირებული სწავლასთან, ცხოვრებასთან, პროფესიულ ორიენტაციასთან, მოხალისეობასთან, სტაჟირებასთან და დასაქმებასთან
- ტრანზიციის გეგმა, თანდართული დოკუმენტაცია
- არტეფაქტები / ნამუშევრები

რაც უფრო მდიდარია საქალაქო მასალით, მით უფრო მკაფიოდ იკვეთება პიროვნების ინდივიდუალური პორტრეტი მისი წარსული და მიმდინარე გამოცდილებით. ეს კი, თავის მხრივ, უფრო ნათელ წარმოდგენას უქმნის პირადად მის მფლობელს და სხვებსაც სასურველ მომავალზე.

რეკომენდებულია, პიროვნების ტრანზიციის გეგმაზე მუშაობის პროცესი სწორედ ამ ინფორმაციის გაანალიზებითა და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით დაიწყოს.

მაგალითი (გამრქალაქა)

ელენეს პორტფოლიო საკმაოდ მწირია. მასში არსებული ინფორმაცია ეხება მხოლოდ ელენეს საჯარო სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესს, იქ მიღწეულ შედეგებსა და შეფასებებს.

მასწავლებლის დახასიათებისა და განმავითარებელი შეფასებებით იკვეთება, რომ ელენეს განსაკუთრებული ინტერესი რომელიმე საგნის მიმართ არ გააჩნია; თუმცა ის პასუხისმგებლობით ეკიდება დავალებებს და ყოველთვის ასრულებს მათ; კლასში დამოუკიდებელი მუშაობა უჭირს; ჯგუფური მუშაობისას უფრო მეტად პასიურობს; კლასელების მიმართ კეთილგანწყობილია, თუმცა ახლო მეგობრობა მათთან არ აკავშირებს.

პორტფოლიოში არის სხვადასხვა კლასში შესრულებული რამდენიმე ნამუშევარი — ნახატებით გაფორმებული ნაწერები.

მასალის გაანალიზების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ პორტფოლიოს ინფორმაცია საკმარისად არ ასახავს ელენეს ინტერესებს, შესაძლებლობებსა და ფასეულობებს.

ამიტომ, ელენეს შესაძლებლობებისა და ინტერესების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოძიება და მისი ორგანიზება პორტფოლიოში იტგ-ის პირველი ფაზის ამოცანა შეიძლება გახდეს.

საკუთარ შესაძლებლობებსა და ინტერესებში გარკვევისას ხშირად ვლინდება თავად ინტერესების სფეროს გაფართოების საჭიროება. ამ მიმართულებით რეფლექსიის პროცესის ნახალისება შესაძლებელია ისეთი ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებითაც, როგორებიცაა: პიროვნების ინტერესების საკვლევი კითხვარი,

ა. ჰოლანდის ტესტი, პიროვნულ ფასეულობათა შეფასება და სხვა. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ამ ინსტრუმენტების გამოყენების მიზანია პიროვნებაში თვითშემეცნების პროცესის გააქტიურება-ნახალისება, და არა პიროვნების შეფასება (ჰესტეტუნი,2010).

სპეციფიკური ინსტრუმენტების მეშვეობით მიღებული ინფორმაცია ასევე შეიძლება გახდეს პორტფოლიოს ნაწილი.

ახალგაზრდამ თავისი პროფილისა და მის გარშემო არსებული შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების მიმართულება:

(ა) როგორ მოემზადოს სასურველი სამუშაოსთვის – ჩაერთოს ფორმალურ საგანმანათლებლო პროცესში; მოემზადოს არაფორმალურად; თუ სცადოს ბედი და დასაქმების ადგილზევე გაინაფოს და აითვისოს საჭირო სამუშაო უნარ-ჩვევები.

(ბ) რომელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხოს ან სტაჟირებისა თუ დასაქმების რა ადგილებს მიმართოს.

მაგალითი (გაგრძელება)

ელენესთვის განკუთვნილი ტრანზიციის გეგმაზე მუშაობისას ორიენტაციის ეტაპზე შეიძლება შედგეს ორწლიანი გეგმა, რომელიც განხორციელდება მე-8 და მე-9 კლასში ელენეს სასწავლო პროცესის ფარგლებში ან პარალელურად.

გეგმის მთავარი მიზნები:

— ინტერესების სფეროს გასაფართოებლად, უფროსი ძმისა და კლასის დამრიგებლის მხარდაჭერით, ელენე არკვევს, რა წრეები არსებობს მის ირგვლივ და საცდელად ეწერება მისთვის საინტერესო წრეში/წრეებში;

— ოჯახის წევრებისა და პროფესიული განათლების დაწესებულების მხარდაჭერით ელენე ეცნობა პროფესიული პროგრამების ჩამონათვალს და სტუმრობს მისთვის საინტერესო პროფესიების დასაქმების ადგილებს;

— დასაქმების ადგილების სპეციფიკასა და მოთხოვნებში უკეთ გარკვევის მიზნით, დედისა და სპეციალური მასწავლებლის მხარდაჭერით, ელენე არჩევს დასაქმების რამდენიმე ადგილს და მოსინჯავს თავს მოხალისედ. მაგალითად: რამდენიმე ახლომდებარე, სხვადასხვა ტიპის მაღაზიაში გამყიდველის დამხმარედ.

შესაბამისად, ელენეს ტრანზიციის გეგმის დოკუმენტი აღნიშნულ ეტაპზე შემდგენიარად შეიძლება გამოიყურებოდეს:

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის დოკუმენტი			
სახელი და გვარი ელენე ბ.	სტატუსი მოსწავლე ✓ სტუდენტი სამუშაოს მაძიებელი	იტგ-ის ფაზა I ორიენტაცია ✓ II მომზადება III დასაქმება	თარიღი 2015, 25 სექტემბერი
ძირითადი მიზანი: მე-9 კლასის ბოლოს ელენემ უნდა განსაზღვროს მომავალი დასაქმებისა და შესაბამისი მომზადების ადგილი			
შუალედური მიზნები: ინტერესების წრის გაფართოება, პრიორიტეტული საქმიანობების გამოყოფა; პრიორიტეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული პროფესიების გაცნობა, მოძიება, მოსინჯვა და არჩევანის გაკეთება.			
მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები:			
ელენე არკვევს გარშემო არსებულ და მისთვის საინტერესო წრეებს სხვადასხვა საქმიანობის მოსასინჯად.	ელენე ეცნობა პროფესიებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს, არჩევს პროგრამებს გასაცნობი ვიზიტებისთვის.	ელენე მოსინჯავს თავს მალაზიის გამყიდველის დამხმარედ (სხვადასხვა ტიპის სამ მალაზიაში).	
ვადა: 10 თვე	ვადა: 8 თვე	ვადა: 9 თვე	
პასუხისმგებელი პირი: ელენე დამრიგებელი ძმა	პასუხისმგებელი პირი: ელენე სპეც. მასწავლებელი მამა დედა	პასუხისმგებელი პირი: ელენე სპეც. მასწავლებელი	
ხელმოწერა:	ხელმოწერა:	ხელმოწერა:	
დამატებითი შენიშვნა: წლის ბოლოს, აქტივობებისა და მიზნების გადახედვის შემდეგ, ელენესა და სხვათა მოსაზრებების გაცნობისა და მსჯელობის საფუძველზე შედგება შემდეგი 6 თვის გეგმა.			

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ტრანზიციის პირველი ეტაპი – ორიენტაცია დასრულებულია, როდესაც ახალგაზრდა პირი მიიღებს რეალისტურ და ინფორმირებულ გადანყვეტილებას:

(ა) სასურველი დასაქმების ადგილის შესახებ;

(ბ) დასაქმებისთვის შესაბამისი მომზადების ადგილის შესახებ.

ამ გადანყვეტილებების მიღების შემდეგ პირი ბუნებრივად გადადის ტრანზიციის გეგმის მეორე – მომზადების ეტაპზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ დასაშვებია ახალგაზრდა პირმა პროფესიული ორიენტაციის ფაზის შედეგად მაშინვე გადანყვიტოს დასაქმება და არ მოისურვოს ან არ დასჭირდეს სპეციფიკური მომზადება ან გადამზადება. ამ შემთხვევაში ის ძალიან სწრაფად, დასაქმების ადგილზე, ერთდროულად გაივლის ტრანზიციის მეორე (მომზადება/გადამზადება) და მესამე (დასაქმება) ფა-

ზებს. ამის ერთ-ერთი მაგალითი შეიძლება იყოს კურიერად, ბენზინგასამართ სადგურზე ან ავტოსამრეცხაოში დასაქმება და მუშაობის დაწყებისას შესაბამისი ინსტრუქტაჟის მიღება შესასრულებელი სამუშაოს შესახებ.

2. მომზადების ფაზა

მეორე ფაზა ფოკუსირებულია მომზადების პროცესზე, რომლის მიზანია პიროვნებისთვის სასურველი სამუშაოს შესაბამისი კომპეტენციის დაუფლება, კვალიფიკაციისა და მისი დამადასტურებელი სერტიფიკატის მიღება. როგორც წესი, ამ ეტაპზე პიროვნების მხარდამჭერი სექტორი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა. თუმცა არც აქ არის გამორიცხული, პიროვნება ფორმალური პროფესიული განათლების გარეშე, არაფორმალურად ემზადებოდეს ან იძენდეს კომპეტენციას. ნებისმიერ შემთხვევაში მას მხარდამჭერას უწევს ის დაწესებულება, რომელიც ჩაბმულია მისი მომზადების პროცესში.

მაგალითი (გაგრძელება)

ელენეს შემთხვევაში მეორე ფაზის მაგალითი შეიძლება იყოს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის პირველი ფაზის აქტივობების შედეგად არჩეული გამყიდველ-კონსულტანტის პროფესიულ პროგრამაზე დარეგისტრირება, სწავლა და კვალიფიკაციის მოპოვება. თუ საჭიროება მოითხოვს, ამავე გეგმაში აისახება სწავლის დაწყებამდე აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაო, რათა სასწავლო გარემო ელენესთვის ხელშემწყობი, ხელმისაწვდომი, ბარიერებისგან თავისუფალი გახდეს.

შესაბამისად, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის დოკუმენტში აისახება ინფორმაცია პროცესების განათლების, მომზადების, წინსვლის პროცესისა და მიღწევების შესახებ. ამ შემთხვევაში, ძირითადი მიზანი სასურველი პროფესიული კვალიფიკაციისა თუ კომპეტენციების დაუფლება იქნება. შუალედური მიზნების სახით შესაძლებელია დაიგეგმოს საგანმანათლებლო პროგრამითა და მისი შემადგენელი მოდულებით გათვალისწინებული მიზნები (სასწავლო შედეგები); და თუ აუცილებელია, ყველა მოსამზადებელი სამუშაოს შესრულება, რათა სტუდენტმა სასწავლო პროცესი სრულფასოვნად დაიწყოს. ბოლოს, მიზნების მისაღწევად დაგეგმილ აქტივობებში ჩაინიშნება სწავლა-სწავლების მეთოდები, რომელთა დახმარებითაც სტუდენტი სასურველ პროფესიას ეუფლება.

თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი ახალგაზრდა არ საჭიროებს რაიმე სახის მოსამზადებელ სამუშაოს ან დამატებით მომსახურებას იმისთვის, რომ ჩაებას პროფესიულ სასწავლო პროცესში (მისთვის მისაღებია სტანდარტულად მიმდინარე სასწავლო პროცესი: პროფესიული პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევა მოდულში განსაზღვრული გზებით), ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის დოკუმენტში მოკლედ და არგუმენტირებულად ჩაინერება, თუ რატომ არ არის საჭირო დამატებითი მომზადება. ამით თავიდან იქნება აცილებული პროფესიული პროგრამით განსაზღვრული დებულებების დუბლირება.

მაგალითისთვის განვიხილოთ ელენეს ინდივიდუალური ტრანზიციის მეორე ფაზის გეგმის შესაძლო ნიმუში.

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის დოკუმენტი			
სახელი და გვარი ელენე ბ.	სტატუსი მოსწავლე ✓ სტუდენტი სამუშაოს მაძიებელი	იტგ-ის ფაზა I ორიენტაცია ✓ II მომზადება III დასაქმება	თარიღი 2016, 25 სექტემბერი
ძირითადი მიზანი: ელენეს აქვს გამყიდველ-კონსულტანტის კვალიფიკაცია.			
შუალედური მიზნები:			
<ul style="list-style-type: none"> - სასწავლო გარემო მორგებულია ელენეს სმენის საჭიროებებზე; - სასწავლო მასალა გამრავალფეროვნებულია და ითვალისწინებს ელენეს სმენის საჭიროებებს; - გამყიდველ-კონსულტანტის სასწავლო პროგრამის პედაგოგები ელენესთან კომუნიკაციის ეფექტურ მეთოდებს იყენებენ; - ელენემ ჯგუფელებს მასთან ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენება ასწავლა; - ელენე დაეუფლა გამყიდველ-კონსულტანტის სასწავლო პროგრამით დადგენილ კომპეტენციებს (მოდულებისა და სასწავლო მეთოდების, აგრეთვე მათი შეფასებების შესახებ იხ. პროგრამისა და მოდულების სტანდარტული დოკუმენტები და შეფასების უწყისები). 			

მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები:			
ყველა ოთახში, სადაც მიმდინარეობს გამყიდველ-კონსულტანტის პროგრამის სწავლება, მინიმუმამდეა შემცირებული ფონური ხმაურის დონე, უზრუნველყოფილია კარგი განათება, სკამები განლაგებულია ნახევარწრეზე; სასწავლებელში განგაშის სიგნალი ³ მოიცავს ნათებასაც.	ყველა მოდულის სასწავლო აუდიო- და ვიდეომასალას თან ერთვის ტექსტი.	ყველა მასწავლებელი ელენესთან ურთიერთობისას მიმართავს ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიებს: დაფას, პირისპირ ესაუბრება სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში ტერმინსა და მის განმარტებას წერს დაფაზე, აქტიურად იყენებს ვიზუალურ მინიშნებს.	ჯგუფის წევრების შესაამხანაგებლად და გასაცნობად აქტივობა-თამაში: „რა მიყვარს„ და „რა მეხმარება სწავლასა და ურთიერთობებში„.
ვადა: 1 კვირა, სწავლის დაწყებამდე	ვადა: 1 კვირა, სწავლის დაწყებამდე	ვადა: 3 დღე, სწავლის დაწყებამდე	ვადა: 3სწავლის დაწყების 1 დღე (შეიძლება გამეორება პირველი კვირის განმავლობაში)
პასუხისმგებელი პირი: პროფესიული სასწავლებლის ტექნიკური პერსონალი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი	პასუხისმგებელი პირი: პროფესიული სასწავლებლის IT სპეციალისტი, მოდულების მასწავლებლები	პასუხისმგებელი პირი: მოდულის მასწავლებლები, ელენე, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი	პასუხისმგებელი პირი: ელენე, გამყიდველ-კონსულტანტის პროგრამის პრაქტიკის მასწავლებელი
ხელმძღვანელი:	ხელმძღვანელი:	ხელმძღვანელი:	ხელმძღვანელი:
დამატებითი შენიშვნა:			
ინკლუზიური განათლების სპეციალისტი გადაამოწმებს ელენესთან, ხომ არ გამოვლინდა სწავლა-სწავლების ან სტუდენტური ცხოვრების მიმდინარეობისას დამატებითი საჭიროება. შემდეგი შეხვედრა ჩანიშნულია 25 ნოემბერს, 16:00-ზე, ინკლუზიური განათლების სპეციალისტის სამუშაო ოთახში.			

ელენეს ტრანზიციის გეგმიდან ნათლად ჩანს, როგორ ემზადება პროფესიული სასწავლებელი მთლიანად, კონკრეტული პროგრამის ყველა მასწავლებელი და თავად ელენე სასწავლო პროცესის დასაწყებად. ელენეს საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით (სმენის სირთულე) საჭიროა სტანდარტულად განსაზღვრულ სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია (ოთახები, აუდიო-

ვიდეო სასწავლო რესურსი, მასწავლებლები და ჯგუფელები). შესაბამისად, სწავლის დაწყებამდე სრულდება სწორედ ის სამუშაო, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროცესში ელენეს სრულფასოვნად ჩაბმას.

შემთხვევები, როდესაც აუცილებელი ხდება სასწავლო მოდულში განსაზღვრული სასწავლო

³ ყველა სასწავლო დაწესებულებაში არსებობს კრიტიკულ სიტუაციაში მოქმედების გეგმა, განგაშის სიგნალი და ევაკუაციის გეგმა. მნიშვნელოვანია, რომ ეს ხელმისაწვდომი იყოს ყველასთვის, მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის. ამისთვის საჭიროა სასწავლებლის საგანგებო სიტუაციების მართვის ჯგუფმა განიხილოს პროცესების საჭიროებები მასთან ერთად, მოარგოს გარემო მის საჭიროებებს და ჩააბას ის გარკვეული რეგულარულობით დაგეგმილ ევაკუაციის ვარჯიშებში.

შედეგებისა და შეფასების პროცესის ინდივიდუალური მორგება, გზამკვლევი დეტალურად არის განხილული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში.

ყველა კომპეტენცია, რომლებსაც ამ ეტაპზე ელენე ეუფლება, მისი შესრულებული დავალებები და შესაბამისი უკუკავშირები, გავლილი პრაქტიკის დროს მიღებული რეკომენდაციები ორგანიზებული სახით დაემატება ელენეს პორტფოლიოს, რაც პირადად მას და მომავალში დამსაქმებელსაც ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მისი შესაძლებლობების, გამოცდილებისა და მიღწევების შესახებ.

ტრანზიციის მეორე ეტაპი პროცესების ფორმალურ ან არაფორმალურ საგანმანათლებლო (მომზადება/გადამზადების) პროცესთან ერთად მთავრდება. თუმცა, მნიშვნელოვანი და ტრანზიციის ერთიანი პროცესისთვის გადამწყვეტია, რომ მესამე, დასაქმების ეტაპზე ზრუნვა – დასაქმების ადგილების მოძიება და დამსაქმებლებთან მოლაპარაკება – მომზადების ფაზის დასრულებამდე დაიწყოს.

3. დასაქმების ფაზა

მესამე ფაზა საბოლოო შედეგის მიღწევას – დასაქმებას უკავშირდება. აღნიშნული ფაზის მი-

ზანია ახალგაზრდა დასაქმდეს, შეინარჩუნოს სამსახური და მიიღოს თანამდევი სარგებელი – გაიუმჯობესოს ცხოვრების ხარისხი.

მხედველობაშია მისაღები, რომ, როგორც სამუშაო ადგილის ტიპი, ისე დამსაქმებელი შეიძლება მეტად მრავალფეროვანი იყოს: თავისუფალ ბაზარზემცირე, საშუალო თუ დიდ კომპანიაში სრული ან არასრული დატვირთვით მუშაობიდან მოყოლებული, თვითდასაქმებით, მხარდაჭერით ან დაცულ სამუშაო ადგილზე (მაგალითად, სოციალურ სანარმოში) დასაქმებით დამთავრებული.

შესაბამისად, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის მესამე ეტაპზე ახალგაზრდა პირი, საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერთან ერთად, აფორმებს ხელშეკრულებას დამსაქმებელთან. ეს ხელშეკრულება შეიძლება მოიცავდეს დასაქმებას საცდელი ვადით, სტაჟირებას, დასაქმების ადგილზე გარემოს ან საქმიანობის ადაპტირებისა და უზრუნველყოფის პირობებს, დატვირთვის, დასვენებისა და დახმარების მოქნილ გრაფიკს ანდა სამსახურთან შეგუების პროცედურას. ამ დროს ახალგაზრდის მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი დასაქმების ადგილზე მიჰყვება პროცესებს, თვალს ადევნებს ხელშეკრულების გაფორმების პირობებსა და პირველადი შეგუების პროცესს.

მაგალითი (გაგრძელება)

ელენეს შემთხვევაში, ამ ფაზის მაგალითი შეიძლება იყოს სამთვიანი საცდელი ვადით ახლომდებარე დიდ სასურსათო მაღაზიაში გაფორმებული ანაზღაურებადი სამუშაო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ელენეს პროდუქტის სარეალიზაციოდ გატანამდე მისი რაოდენობრივი და თვისებრივი შემოწმება, დახლზე განლაგება და პროდუქტის შენახვის ვადების კონტროლი ევალება. ელენეს შეუძლია მომხმარებელს კონსულტაცია გაუწიოს ან სხვა კონსულტანტთან გაგზავნოს. საცდელი ვადის დასრულების შემდეგ ელენეს გრძელვადიანი ხელშეკრულება გაუფორმდება.

ინდივიდუალური ტრენინგის გეგმის დოკუმენტი			
სახელი და გვარი ელენე ბ.	სტატუსი მოსწავლე სტუდენტი სამუშაოს მაძიებელი სხვა: დასაქმებული ხანმოკლე ხელშეკრულებით ✓	იტგ-ის ფაზა I ორიენტაცია II მომზადება III დასაქმება✓	თარიღი 2016, 17 აპრილი
ძირითადი მიზანი: ელენე სასურსათო მაღაზიაში გამყიდველ-კონსულტანტად მუშაობს.			
შუალედური მიზნები: - სახლთან ახლომდებარე სასურსათო მაღაზიების იდენტიფიცირება, გაცნობა და დასაქმების შესაძლებლობის მოკვლევა: მეპატრონესთან, მენეჯერთან შეხვედრა, მოლაპარაკება; სამთვიანი საცდელი ვადით ელენეს გამყიდველის დამხმარედ გაფორმება; - ელენესთვის სამთვიანი ხელშეკრულების პირობებში გამყიდველის დამხმარის პოზიციაზე გამოცდილების მიღება; - ელენესთან გრძელვადიანი შრომითი ხელშეკრულების გაფორმებაზე მუშაობა სამთვიანი სამუშაო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე.			
მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქტივობები:			
<ul style="list-style-type: none"> • ელენე მხარდამჭერ პირთან ერთად ეცნობა სახლთან ახლომდებარე სასურსათო მაღაზიებს; • მხარდამჭერ პირთან ერთად არკვევს, არის თუ არა ვაკანსია გამყიდველის დამხმარის პოზიციაზე; • დამსაქმებლის იდენტიფიცირების შემთხვევაში ელენე მხარდამჭერ პირთან ერთად ხვდება მას, თავს წარუდგენს და უთანხმებს საცდელი ვადით დასაქმების ხელშეკრულების პირობებს. 		<ul style="list-style-type: none"> • ელენე ეცნობა გამყიდველის თანაშემწის საქმიანობას, სამუშაო გარემოს და თანამშრომლებს; • ელენე ასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ საქმიანობებს თანაშემწის ან გამყიდველის დახმარებით, და ეს დახმარება თანდათან მცირდება. 	
ვადა: 2 თვე		ვადა: 3 თვე	
პასუხისმგებელი პირი: ელენე მხარდამჭერი პირი დამსაქმებელი		პასუხისმგებელი პირი: ელენე მხარდამჭერი პირი გამყიდველი	
ხელმოწერა:		ხელმოწერა:	
დამატებითი შენიშვნა: მას შემდეგ, რაც დამსაქმებელს გააცნეს ელენეს საჭიროებები და ამ საჭიროებებთან გამკლავების სტრატეგიები, დამსაქმებელმა გადაწყვიტა, გარკვეულწილად შეეცვალა გარემო, რათა შეემცირებინა ფონური ხმაურის წყარო მაღაზიაში. შეცვლილმა პირობებმა დადებითად იმოქმედა ელენეს სმენით აღქმაზე, შემცირდა სხვა თანამშრომლების გადაღლილობის ხარისხი და ეს მომხმარებელთა ინტერესებსაც შეეხო.			

დასაქმების შემდეგ მნიშვნელოვანია ახალგაზრდა პირისთვის „მიყოლის„ მომსახურების განწესა, რომლითაც დადგინდება, თუ რამდენად ეფექტურად ჩაება დასაქმებული პირი სამუშაო ცხოვრების რუტინაში, როგორ მიმდინარეობს სამუშაოსთან ადაპტირების პროცესი, ხომ არ გამოიკვეთა რაიმე სირთულე ან ხომ არ სჭირდება დამატებითი მხარდაჭერა.

„მიყოლის„ მომსახურების მეშვეობით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება წარმოქმნილ სირთულეებზე დროული და ადეკვატური რეაგირება. ეს კი ამცირებს სამუშაოს მიტოვების ან სამუშაოდან პიროვნების დათხოვნის რისკს. თუ დასაქმებულს დროულად აღმოუჩენენ საჭირო დახმარებას, ის აგრძელებს მუშაობას და სწავლობს სირთულეებთან დამოუკიდებლად გამკლავების სტრატეგიებს.

ადგილობრივი დასაქმების სამსახურის სპეციალისტი 3 თვეში ერთხელ ხვდება ელენესა და დამსაქმებელს, რათა დარწმუნდეს, რომ:

დროებითი ხელშეკრულების შემდეგ გაფორმდა ხანგრძლივი ხელშეკრულება; დასაქმებული, დამსაქმებელი და მომხმარებელი არ აწყდება განსაკუთრებულ სირთულეს მომსახურების/მუშაობის პროცესში.

ვიზიტების სიხშირე მცირდება წინამორბედი ვიზიტის შედეგებიდან გამომდინარე:

3 თვეში, მოგვიანებით — წელიწადში ერთხელ და ბოლოს წყდება. თუმცა, როცა აუცილებელია, ელენეს ყოველთვის შეუძლია გამოიჩინოს ინიციატივა და დახმარებისთვის ადგილობრივი დასაქმების სამსახურის სპეციალისტს მიმართოს.

„მიყოლის„ მომსახურების ფარგლებში ვიზიტების სიხშირე მცირდება და ბოლოს სრულდება მას შემდეგ, რაც ამ მომსახურების მიმწოდებელი დარწმუნდება, რომ დასაქმებული საკმარისად გაძლიერდა; გაიზარდა დასაქმებულისა და მისი თანამშრომლების ურთიერთმხარდაჭერის კომპეტენცია; დამსაქმებელსა და დასაქმებულს დამოუკიდებლად შეუძლიათ ნებისმიერ სირთულესთან გამკლავება.

დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის დადებული ხელშეკრულება, უშუალო ხელმძღვანელის, თანამშრომლისა თუ კლიენტისგან მიღებული უკუკავშირი და შეფასება პიროვნების არსებულ პორტფოლიოში ინახება. მომავალში, ეს მასალა დაეხმარება პორტფოლიოს მფლობელს, მხარდამჭერ პირებთან ერთად დაგეგმოს განათლები-სა თუ კარიერული წინსვლის შემდგომი პროცესი.

ამ თავში მოყვანილი მსჯელობებითა და კონკრეტული მაგალითებით ნათლად გამოჩნდა, რომ ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმაზე მუშაობის პროცესი, რამდენიმე მონაწილე პირის გარდა, მასში ჩართულ სხვადასხვა დაწესებულებასა და სექტორს მოიცავს. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ტრანზიცია, ანუ გადასვლა ცხოვრების გარკვეული ეტაპიდან შემდეგზე, კომპლექსური ხასიათის პროცესია და მის ეფექტურად წარმართვას არა მხოლოდ სხვადასხვა გამოცდილების მქონე პირების, არამედ სხვადასხვა ორგანიზაციის, დაწესებულებისა თუ სფეროს გაერთიანებული და კოორდინირებული ძალისხმევა სჭირდება (European Agency for Development in Special Needs Education, 2002).

გარდა ახალგაზრდა პირისა და მისი ოჯახისა, ზოგადასაგანმანათლებლო სკოლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისა და დამსაქმებლისა, საჭიროების შემთხვევაში, ტრანზიციის პროცესში მონაწილე მხარეები შეიძლება გახდნენ: თემი, ადგილობრივი მართვის ორგანოები, დამსაქმებელთა ორგანიზაციები, დღის მოვლისა თუ რეაბილიტაციის ცენტრები, სამსახურის მოძიებაში მონაწილე სააგენტოები, პროფესიული კავშირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციები, სოციალური სანარმოები, ადვოკატირებით დაკავებული სამთავრობო თუ არასამთავრობო, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები და სხვა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ტრანზიციის პროცესზე მუშაობა მრავალსექტორული თანამშრომლობაა.

მრავალსექტორული თანამშრომლობისა და წესებულებები კოორდინირებულად და რეგულარულად თანამშრომლობენ, საერთო მიზნებისა და პრაქტიკაში გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ ხვეწენ მომსახურებასა და რეგულაციებს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მათ მუდმივ წინსვლას.

იმისთვის, რომ მრავალსექტორული თანამშრომლობა ეფექტურად წარიმართოს, თავიდან იყოს აცილებული საქმიანობის დუბლირება და დროის ფუჭად ხარჯვა, რეკომენდებულია, რომ ტრანზიციის პროცესის ყველა ეტაპზე (პროფესიული ორიენტაცია, მომზადება და დასაქმება), და განსაკუთრებით კი ერთი ეტაპიდან მომდევნოზე გადასვლამდე, სხვადასხვა უწყებას შორის დროული და ეფექტური კომუნიკაცია დამყარდეს.

მრავალსექტორული თანამშრომლობის წახალისებასა და ორგანიზებას სწორედ ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა უწყობს ხელს, ერთი მხრივ, სხვადასხვა მხარესთან სამუშაო შეხვედრებით და, მეორე მხრივ, პროცესის დოკუმენტური ასახვით. შესაბამისად, რეკომენდებულია ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის დოკუმენტი იყოს სტრუქტურულად მარტივი და არა გადატვირთული, მასში გამოყენებული ტერმინოლოგია კი – ნათელი და გასაგები ყველა მონაწილე მხარისთვის, განსაკუთრებით თავად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ახალგაზრდისთვის.

შეჯამება

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის მთავარი ორიენტირი პიროვნების დასაქმების ადგილზე/ზრდასრული ადამიანის ცხოვრების ეტაპზე გადასვლის ხელშეწყობაა. ეს კი მხარეებს შორის სამოქმედო გეგმის შემუშავებითა და პროცესის მუდმივი თვალის მიდევნებით ხორციელდება.

ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა და მის შექმნაში მონაწილე მხარეთა გუნდი პიროვნებას ეხმარება:

1. გახდეს უფრო მეტად დამოუკიდებელი, აიმაღლოს მოტივაცია, უკეთ აღიქვას საკუთარი თავი და გაუჩნდეს თავდაჯერებულობის განცდა;
2. მოიძიოს დასაქმების შესაძლებლობა მისთვის სასურველ და სტაბილურ სამუშაო ადგილზე;
3. ეცადოს და თავისი ინტერესები თუ შესაძლებლობები შეუსაბამოს სამუშაოს მოთხოვნებსა და გარემოს;
4. პიროვნებასა და დამსაქმებელს შორის შექმნას ურთიერთმომგებიანი („WIN-WIN“) სიტუაცია.

ინდივიდუალური ტრანზიციის პროცესზე მუშაობა ახალგაზრდა პირთან ინტენსიურ კომუნიკაციას, მის პორტფოლიოში თავმოყრილი ინფორმაციის ერთობლივ ანალიზს ეყრდნობა და, თავის მხრივ, ამ პორტფოლიოს ნაწილიც ხდება.

პორტფოლიო და ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის დოკუმენტი მოიცავს ღრმა და ამომწურავ ინფორმაციას პიროვნების, მისი ოჯახის, პროფესიონალებისა და დასაქმებულების თანმიმდევრულად და გუნდურად შესასრულებელი საკითხების შესახებ.

პორტფოლიოს და ტრანზიციის გეგმის მფლობელი, აგრეთვე არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის გარანტი თავად ახალგაზრდაა. ამასთან, დასაქმებისას ახალგაზრდას წამყვანი როლი ეკისრება, რადგან თავისი ცხოვრების მონყოფით ყველაზე მეტად თვითონ არის დაინტერესებული. ამგვარად და თანდათანობით პიროვნება ძლიერდება საიმისოდ, რომ მომავალში დამოუკიდებლად მართოს საკუთარი ცხოვრება (Soriano, 2006).

შეჯამება

ამ პროცესში განსხვავებულია მონაწილე მხარეთა წვლილი და კომპეტენცია. ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია მოზარდისა და მისი ოჯახის წარმოდგენა სასურველ მომავალზე, რადგან თავიანთი მდგომარეობის ექსპერტები სწორედ ისინი არიან; მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირისა და მისი ოჯახის სურვილებს სასურველი შედეგის მიღწევის პროცესში დახმარება აღმოუჩინონ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებმა, რომლებმაც იციან, რა რესურსებით, გზებით, მოქმედებებით და რა ვადებშია შესაძლებელი მიზნის მიღწევა.

მთავარია, ახალგაზრდა პირი უზრუნველყოფილი იყოს ყველა საჭირო ინფორმაციით, პირობითა და მხარდაჭერით, რათა მოირგოს აქტიური როლი და ეს როლი შეინარჩუნოს ამ პროცესში. ამიტომ, ხშირად, ოჯახი აქტიურად ერთვება ტრანზიციის მუშაობის დროს, როგორც ახალგაზრდა პირის ადვოკატი. თუმცა, ოჯახის მხრიდან მხარდაჭერისას, მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა – არა დომინანტური, არამედ საჭიროებიდან გამომდინარე საყრდენის ფუნქციის შესრულება.

შესაბამისად, მუშაობის პროცესში პროფესიონალების მხრიდან ახალგაზრდა პირის პირობებს (მის კულტურას, ფასეულობებს, რესურსებს) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

იტგ-ზე მუშაობის პროცესის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპებია:

- სპეციალური საჭიროების მქონე პირის აქტიური მონაწილეობა საკუთარი იტგ-ის შექმნაში;
- მისი ოჯახის მონაწილეობა პროცესში;
- მულტისექტორული თანამშრომლობა, კავშირი ზოგად, პროფესიულ, არაფორმალურ განათლებასა და დამსაქმებელს შორის;
- მოქნილი პროცესი, რომელიც დროის სვლასთან ერთად პასუხობს ამ პროცესში ფასეულობებისა და გამოცდილების ცვლილებას.

თავი 3:

მიზნადგა და მოუკიდებელი სწორებისა და დასაქმების

ამ თავში განხილულია ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის პირველი ფაზა — როგორ იწყება პიროვნების ორიენტაცია საკუთარ თავში, გარშემო არსებულ შესაძლებლობებში და როგორ ყალიბდება დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სასურველი მომავალი საქმიანობის შესახებ ინფორმირებული გადაწყვეტილება. მოცემულ თავში გარკვეული ადგილი ეთმობა სხვადასხვა მონაწილე მხარის როლს ამ პროცესში.

რა არის პროფესიული ორიენტაცია?

კონკრეტული დასაქმების ადგილისა თუ საგანმანათლებლო პროგრამის არჩევამდე ადამიანი, ეტაპობრივად, გაცილებით უფრო ხანგრძლივ გზას გადის, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

პროფესიების შესახებ წარმოდგენები ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში უახლოესი გარემოცვიდან, ოჯახის წევრებისა თუ ახლობლების პროფესიების გაცნობით ჩნდება. შემდეგ ემატება სკოლამდელი განათლების დაწესებულებაში მიღებული გამოცდილება, სულ მცირე, იმ რამდენიმე პროფესიის შესახებ, რომლებიც ბავშვის უსაფრთხოებასა და დაცულობას უზრუნველყოფს (მაგალითად, საგანგებო და გადაუდებელი დახმარების მომსახურება – 112: მაშველი, მეხანძრე, პოლიციელი, ექიმი). ხშირ შემთხვევაში ბავშვები სტუმრობენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებს მათ სამუშაო

ადგილზე ან პირიქით, მასპინძლობენ მათ ბაგაბალებში; ეცნობიან სამუშაო გარემოს, მასალას, უნიფორმას, სპეციალურ თამაშებს მართავენ ამ პროფესიებთან დაკავშირებული მასალითა და სათამაშოებით. ეს პროცესი სკოლაში კიდევ უფრო ინტენსიური ფორმით ვლინდება. ერთი მხრივ, ანალოგიური აქტივობები გრძელდება ექსკურსიებზე, სკოლაში სტუმრების მონვევის დროსაც. მეორე მხრივ, გამოცდილება მდიდრდება და უფრო სპეციფიკური ხდება სხვადასხვა საგნისა თუ საგანთა ჯგუფების შესწავლის პროცესში. მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა საქმიანობას და ერთმანეთს ადარებენ მომიჯნავე სპეციალობებს, მაგალითად, როგორებიც შეიძლება იყოს ისტორიკოსი, არქეოლოგი, არქიტექტორი, არქიტექტურული დეტალების რესტავრატორი და ა. შ.

საშუალო განათლების საფეხურის მისიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლის

მომზადებას მომავალი ცხოვრების დაგეგმვის, სწავლის გაგრძელებისა თუ შრომით საქმიანობაში ჩაბმისთვის (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2017-2023).

ამ პროცესში მშობლის, აღმზრდელის, მასწავლებლის როლი არა მხოლოდ პროფესიებზე ცოდნის გადაცემა და თვალსაზრისის გაფართოებაა, არამედ ფორმალურ თუ არაფორმალურ საგანმანათლებლო კონტექსტში იმის შემჩნევა და დანახვა, თუ რის მიმართ იჩენს ბავშვი განსაკუთრებულ ინტერესს, რა აქტივობა (ხელოვნების, მეცნიერების, კონსტრუირების, სხვებთან ურთიერთობის, ტექნოლოგიის და ა. შ.) იტაცებს და ახალისებს მას. ეს, ცხადია, უცილობლად არ გულისხმობს კავშირს მომავალ პროფესიასთან, თუმცა ამგვარი ინფორმაცია ინტერესების, მიდრეკილებებისა და ფასეულობების შესახებ ახალგაზრდას ეხმარება საკუთარი განვითარების გზის გაანალიზებასა და სასურველი პროფესიის არჩევაში.

მომავალ ცხოვრებასა და საქმიანობაზე ფიქრი ოცნებებითა და ზოგადი წარმოდგენებით იწყება და თანდათან, ინტერესების დავინრობითა და რამდენიმე ვარიანტიდან სასურველის არჩევით სრულდება.

ცხოვრების მოცემულ ეტაპზე გაკეთებული არჩევანი კარგად გააზრებული რომ იყოს, არსებობს ღონისძიებათა სისტემა, რომელსაც პროფესიული ორიენტაცია ჰქვია და რომელიც საკუთარი თავის, შრომითი ბაზრისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, ორგანიზებასა და სისტემად ქცევას გულისხმობს (კუტალაძე, 2013; საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ).

სავალდებულო სასწავლო საფეხურიდან დასაქმების ადგილზე გადასვლა, ხშირ შემთხვევაში, კვალიფიკაციის მიღებასა და შესაბამის პროფესიულ განათლებას მოითხოვს. ასეთი ტრანზიცია მოქნილად და ეფექტურად ხორციელდება სწორედ წინასწარ დაგეგმილი, პროფესიული ორიენტაციის პროცესით, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდა ინფორმირებულ გადანყვეტილებას იღებს. თანმიმდევრული პროფესიული ორიენტაციის პროცესი ამცირებს პროფესიასთან მიმართებით მცდარი გადანყვეტილებების ალბათობას, მომავალში არასასურველი საქმიანობის უხარისხოდ შესრულების ან ამ საქმიანობის მიტოვების რისკს.

არცთუ იშვიათად, მიუხედავად გაცნობიერებული არჩევანისა, ადამიანები პროფესიას იცვლიან, ახალი სპეციალობით ინტერესდებიან, მუშაობას სხვა განხრით იწყებენ. ეს ბუნებრივი პროცესია და იგი ასევე პროფესიული ორიენტაციის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. შესაბამისად, პროფესიული ორიენტაცია ცხოვრებასთან ერთად მიმდინარე, უწყვეტი პროცესია, რომელიც განსაკუთრებულ აქტუალობას გარკვეული ცვლილებებისთვის მომზადების ეტაპზე იძენს.

ძირითადად, პროფესიული ორიენტაცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლის დროს ჩნდება და ამ პროცესის წარმართვისას მხარდამჭერიც, უპირატესად, ოჯახთან ერთად სკოლის გუნდია. თუმცა, შესაძლებელია, მოზარდმა მხარდამჭერისთვის სხვა ორგანიზაციებსაც მიმართოს.

ამავდროულად, ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკრეტული პიროვნება, რომლის ცხოვრებაშიც ეს ფაზა აქტუალური, არ სწავლობს სკოლაში (მაგალითად, 6-7 წლის წინ დაამთავრა). ამ შემ-

თხვევაში პროფესიულ ორიენტაციაში წვლილის შეტანა, ოჯახისა და ახლობელი ადამიანების გარდა, სხვადასხვა დანესებულების ამოცანაა. ეს შეიძლება იყოს პროფესიული საგანმანათლებლო დანესებულება, დღის ზრუნვის ცენტრი, სოციალური მომსახურების სააგენტო, დასაქმების ბიურო, პროფესიული კავშირები და ა. შ.

პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობის საკითხში თითოეულ ჩამოთვლილ მხარდამჭერ დანესებულებას თავისი ძლიერი მხარე აქვს. შესაბამისად, რაც უფრო მრავალფეროვანია მონაწილე მხარეთა ჩართულობა და შეთანხმებულია მუშაობა პროფესიული ორიენტაციის პროცესში, მით უფრო მოქნილი და გააზრებულია ცხოვრების შემდეგ ეტაპზე გადასვლა (ტრანზიცია). მაგალითად, დასაქმების ბიუროს აქვს განახლებული და მდიდარი ინფორმაცია მოთხოვნადი სამუშაოს ანდა სპეციალისტების შესახებ; დამსაქმებელი კი დაინტერესებულ პირს სთავაზობს, რეალური პროფესიული საქმიანობა და მასთან დაკავშირებული მოთხოვნები ბუნებრივ პირობებში, სამუშაო ადგილზე ნახოს; პროფესიულ სასწავლებელში ერთ სივრცეში განსხვავებული თუ მომიჯნავე პროფესიების გაცნობაა შესაძლებელი; ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, როგორც წესი, მრავალფეროვან ინფორმაციას ფლობს მოსწავლის ინტერესების, მისი რესურსებისა და მისთვის აუცილებელი მხარდაჭერის შესახებ, რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში და სხვადასხვა საგანთან მიმართებით აკვირდებოდა მოსწავლის ქმედებას.

მნიშვნელოვანია, ჩამოთვლილთაგან თითოეული მხარე აცნობიერებდეს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებს პროფესიულ ორიენტაციასთან დაკავშირებით და, შესაბამისად, ერთმანეთთან

თანამშრომლობით ავსებდეს და ამდიდრებდეს პროფესიული ორიენტაციის პროცესში ახალგაზრდა პირის მხარდაჭერას. ნებისმიერ შემთხვევაში, ორგანიზაციებს ერთი მიზანი აერთიანებთ – დაინტერესებული პირის ინფორმაციით უზრუნველყოფა და გაძლიერება, რათა მან თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე სწავლის გაგრძელებისა თუ დასაქმების შესახებ.

განვიხილოთ ამ პროცესში მონაწილე მხარეების წვლილი და გასათვალისწინებელი ასპექტები.

როგორია პროფესიული ორიენტაციის პროცესში სხვადასხვა მონაწილე მხარის (სკოლა, დამსაქმებელი, პროფესიული სსსწავლებელი) როლი?

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

საქართველოში სავალდებულო განათლება IX კლასით სრულდება. ამ ეტაპზე თითოეული მოსწავლე დგება შემდეგი მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე:

- სწავლა გააგრძელოს სრული ზოგადი განათლების მისაღებად და მოემზადოს უმაღლესი ანდა IV-V დონის პროფესიული განათლებისთვის;
- სწავლა გააგრძელოს პროფესიულ საგანმანათლებლო დანესებულებაში III დონის პროფესიულ პროგრამებზე;
- ამ ეტაპზე შეწყვიტოს სწავლა ანდა დასაქმდეს.

ამ მნიშვნელოვანი გადანყვეტილების პირისპირ მოსწავლეთა მხარდასაჭერად საქართველოს საჯარო სკოლებში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის აქტივობები მიმდინარეობს: ერთი მხრივ, სადამრიგებლო საათის, ხოლო, მეორე მხრივ ექსკურსიების სახით, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა გაცნობითა და მათთან გასაუბრებით.

პროფესიული ორიენტაცია ყველასთვის თანაბრად აქტუალურია, მოსწავლეები კი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ინტერესებით, შესაძლებლობებითა და საჭიროებებით, ამიტომაც უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.

თითოეულისთვის ხელმისაწვდომი პროფესიული ორიენტაცია კი უზრუნველყოფილი იქნება მაშინ, თუკი პროცესში უნივერსალური დიზაინის პრინციპები და მოსწავლეთა მრავალფეროვანი ინდივიდუალური მახასიათებლები წინასწარ არის გააზრებული. კერძოდ:

- სადამრიგებლო საათის დროს მასწავლებელი მოსწავლეებს ინფორმაციასა და აქტივობებს მიაწოდებს მრავალფეროვანი და ნებისმიერი მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი ფორმით; ინფორმაციის გაცვლისას გამოიყენებს მოქნილ და მრავალფეროვან მეთოდებს – თვალსაჩინო ბარათებს, მოკლე/ადაპტირებულ ტექსტებს, ინფორმაციის განმეორებით მიწოდების შესაძლებლობას და ა. შ.; ასეთი საშუალებების გამოყენებით ინფორმაცია მისაწვდომი იქნება ინტელექტუალური სირთულეების მქონე მოსწავლეებისთვისაც;

- ექსკურსიების ორგანიზებისა და პროფესიონალი სპეციალისტების სტუმრად მოწვევისას მასწავლებელი ანდა პროფორიენტაციის სპეციალისტი ითვალისწინებს გარემოს ხელმისაწვდომობას, რის საფუძველზედაც ასეთ შეხვედრა-ექსკურსიებს არ გამოაკლდებიან, მაგალითად, სავარძელ-ეტილის მომხმარებლები და სუსტად მხედველი მოსწავლეები;

- სტუმრად მოწვეულ პროფესიონალებს შორის იქნებიან განსხვავებული საჭიროების მქონე პირები (მაგალითად, პარაოლიმპიელები, სხვადასხვა საჭიროების მქონე მეცნიერები, მწარმეები, მსახიობები), რაც ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მოსწავლეებს ადამიანში უსაზღვრო პოტენციალის არსებობის შესახებ;

- თითოეულ მოსწავლეს მიეცემა შესაბამისი დრო მისთვის საინტერესო პროფესიული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვისა და შემეცნებისთვის.

ამავე დროს, მხედველობაში უნდა მივიღოთ საერთაშორისო რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც მიზანშეწონილია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ტრანზიციის გეგმის შემუშავება და პროფესიული ორიენტაციის პროცესი დაიწყოს სავალდებულო განათლების დასრულებამდე სამი წლით ადრე (Soriano, 2006). ასეთ შემთხვევაში, მათ საკმარისი დრო ექნებათ საკუთარი თავისა და მათ გარშემო არსებული პროფესიების სპექტრის შესაცნობად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის პროფესიული ორიენტაციის პროცესი მისი ინდივიდუალური ტრანზიციის

გეგმის ნაწილია (პირველი ფაზა). შესაბამისად, მოსწავლის პროფესიულ ორიენტაციაში ჩართული უნდა იყვნენ სკოლაში მისი მხარდამჭერი გუნდის წევრები:

- დამრიგებელი, რომელიც ამომწურავ ინფორმაციას ფლობს მოსწავლის შესაძლებლობებზე და თან უძღვება პროფესიული ორიენტაციის საათს;
- სპეციალური მასწავლებელი, რომელიც კარგად იცნობს მოსწავლეს, მის ინტერესებს, შესაძლებლობებს, სწავლის სტილს და, აქედან გამომდინარე, შეუძლია დაეხმაროს დამრიგებელს, მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმოს და განახორციელოს სადამრიგებლო საათი;
- საგნის მასწავლებლები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მოსწავლის მიღწევებს მოცემულ საგანში და რომლებსაც შეუძლიათ საინტერესო ინფორმაციით გაამდიდრონ მოსწავლის შესახებ არსებული მონაცემები;
- მოსწავლე – პროფესიული ორიენტაციის მიზანი სწორედ მისი გაძლიერებაა, რათა თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება თავისი მომავალი ცხოვრების ეტაპის შესახებ;
- ოჯახის წევრები, რომლებიც სრულად არიან ჩართული პროცესში და საკუთარ მოლოდინებსა და მოსაზრებებს უზიარებენ გუნდს;
- სხვა პროფესიონალები, რომლებიც შეიძლება მონაწილეობდნენ ამ პროცესში როგორც სკოლის შიგნით, ისე სკოლის გარეთ.

აღნიშნული გუნდის მიზანია, მოსწავლისთვის მრავალფეროვანი და ხელმისაწვდომი აქტივობების დაგეგმვა, დასაქმების ადგილებისა და პროფესიების უკეთ გაცნობის, პრაქტიკული აქტივობების მოსინჯვის მიზნით დამსაქმებლებსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან შუამდგომლობა; და მოსწავლესთან ერთად მიღებულ შთაბეჭდილებებზე რეფლექსია.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო ადგილზე ტრანზიცია და ამ პროცესში მხარდაჭერა იმ ადამიანს ესაჭიროება, ვინც სკოლა დიდი ხნის წინ დაამთავრა ან საერთოდ არ უსწავლია, ბუნებრივია, სკოლის ნაცვლად დამსაქმებელი ანდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება გახდება ის მნიშვნელოვანი რგოლი, რომელიც მას დასაქმების ადგილზე გადასვლაში (ტრანზიციაში) ხელს შეუწყობს.

დამსაქმებლის როლი

პროფესიული ორიენტაციის პროცესში და ტრანზიციის გეგმაზე მუშაობის დაწყებისას უმნიშვნელოვანესი პარტნიორი დამსაქმებელია (UNESCO, 2001).

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ მოსწავლის ინფორმირება, სამუშაო ადგილისა და ამოცანების გაცნობა, სამუშაოს მოსინჯვა, ხანმოკლე ვადით სამუშაოზე დაშვება, მოხალისეობის ან შეგირდობის ადგილის უზრუნველყოფა – შეუძლია სწორედ დამსაქმებელს, რომელიც შეძლებისდაგვარად სრულ წარმოდგენას შეუქმნის ადამიანს მომავალ პროფესიაზე.

დასაქმების ადგილის ნახვა და გარკვეული გამოცდილების მიღება ეხმარება ადამიანს გაიაზროს: რამდენად მოსწონს ან უნდა თუ არა ასეთი საქმიანობა; რა მომზადება, კომპეტენციაა საჭირო ამ საქმიანობისთვის. ხანმოკლე პრაქტიკა ან შეგირდობა კიდევ უფრო მეტად ეხმარება ახალგაზრდას სწორი არჩევანის მიღებაში.

შესაბამისად, რეკომენდებულია, ტრანზიციის გეგმის შედგენის პირველ ეტაპზევე განისაზღვროს შესაბამისი დასაქმების ადგილები და დამსაქმებლებთან ურთიერთობა.

დამსაქმებლების მოძიებაში აქტიური როლი აკისრია ტრანზიციის პროცესის გუნდის წარმომადგენელს, რომელიც შეიძლება იყოს მოსწავლის დამრიგებელი, სპეც. მასწავლებელი ან ოჯახის წევრი, თუკი ტრანზიციის გეგმა სკოლაშია შედგენილი. ამავდროულად, ტრანზიციის გუნდის წევრს შეუძლია მხარდაჭერისთვის მიმართოს სამსახურის მოძიების სააგენტოს, პირადად შეხვდეს დამსაქმებელს კონკრეტული სამუშაოს სპეციალისტის, ადამიანური რესურსების ან კადრების შერჩევის სპეციალისტის შუამდგომლობით.

მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო ადგილზე ხანმოკლე დაყოვნების ნებისმიერი შესაძლებლობა ხელშეკრულების სახითა და ფორმალური შეთანხმების საფუძველზე მიმდინარეობდეს. ხელშეკრულებაში, რომელიც ტრანზიციის გეგმის ნაწილი ხდება, უნდა დაზუსტდეს: რა პერიოდით, რა პირობებში, რა ტიპის ჩართულობითა და რა პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისების მიზნით წარიმართება მოზარდის პროფესიული ორიენტაცია.

იმავე დამსაქმებელთან თანამშრომლობა შესაძლებელია გაგრძელდეს პროფესიული ორიენტაციის დასრულების შემდეგაც – პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის მიღებისას. პროფესიულ ორიენტაციაში მონაწილე დამსაქმებელს შეუძლია, პიროვნებას პროფესიული მომზადების დროს სანარმოო პრაქტიკის ბაზა შესთავაზოს. ხოლო, მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა გამოცდილებას დააგროვებს და სამუშაო ადგილზე გარკვეული კომპეტენციების დაუფლებას შეძლებს, არ არის გამორიცხული, დამსაქმებელი გრძელვადიანი დასაქმების კონტრაქტის გაფორმებითაც დაინტერესდეს.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების როლი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება მომავალ სტუდენტს სპეციალობებსა და პროფესიული მომზადების პროგრამებს სთავაზობს. შესაბამისად, პროფესიული ორიენტაციის ეტაპზე დეტალურად აცნობს დაინტერესებულ პირს პროფესიულ სტანდარტსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს: აუცილებელ პროფესიულ მოთხოვნებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში; გარემოს, რომელშიც უწევს პროფესიონალს მუშაობა; პროფესიონალის პიროვნულ თვისებებს; პროფესიულ კომპეტენციებს, რომელთა დაუფლებაც პროფესიული განათლებით მიიღწევა და რომლებიც პროფესიის სტანდარტით არის განსაზღვრული; სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობასა და კარიერულ შესაძლებლობებს.

მაგალითი: ფილამნოები – პროფესიული სტანდარტი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	
სპეციალობა და პროფესიული მომზადების პროგრამა	ფილამნოები
აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები	კანონმდებლობით არ არის დადგენილი
სამუშაო გარემო	შესაძლოა მუშაობა: <ul style="list-style-type: none"> - დახურულ ან ღია სივრცეში; - სიმაღლეზე; - კომერციულ ან არაკომერციულ საცხოვრებელი ტიპის შენობა-ნაგებობებში.
პიროვნული თვისებები	ზუსტი, პუნქტუალური, კომუნიკაბელური, ორგანიზებული
კომპეტენცია (ცოდნა და უნარ-ჩვევა) და პროფესიული მოვალეობა	მაგალითი: <ul style="list-style-type: none"> - შეუძლია საბათქაშე დუღაბის მომზადება პროპორციების დაცვით; - ჭრის ფილას მრუდნილად.
სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა	18 თვე
კარიერული შესაძლებლობები	<ul style="list-style-type: none"> - სამშენებლო კომპანიაში სამშენებლო გუნდის წევრი; - სხვადასხვა ზედაპირის ფილებით მომპირკეთებელი ორგანიზაცია; - თვითდასაქმება; - შესაძლებელია მუშაობა დამხმარესთან ერთად. <ul style="list-style-type: none"> - დამკვეთი: კერძო პირი ანდა ნებისმიერი ტიპის ორგანიზაცია

ორედ პროფესიული განათლების დაწესებულებაში შეძლებს ადამიანი ზუსტად გაერკვეს და ერთმანეთს შეადაროს მომიჯნავე პროფესიების განმასხვავებელი ნიშნები (მაგალითად: ვებინტერფეისის დეველოპერი; ვებინტერფეისის დიზაინერი; და ვებპროგრამისტი); პროფესიული სასწავლებლის მასწავლებლებსა და სხვა სპეციალისტებთან ერთად გააანალიზოს საკუთარი ინტერესები, ფასეულობები, სურვილები, პიროვნული თვისებები, უნარ-ჩვევები პროფესიებთან მიმართებით და გაერკვეს, პროფესიის დასაუფლებლად რა ძალისხმევა და დრო დასჭირდება.

დღესდღეობით, პროფესიულ დაწესებულებებში მსგავსი ინფორმაციის წარდგენა ე. წ. „ღია კარის დღეებზე“, ხდება. თუმცა, სწავლა-სწავლების უნივერსალური დიზაინის პრინციპებიდან გამომდინარე, უმჯობესია, თუ იმავე მიზნით გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და მოქნილი მიდგომა და პროცედურა შემუშავდება. მაგალითად, მოქნილი და გახანგრძლივებული დრო პროფესიების გასაცნობად, სწავლა-სწავლების პროცესზე უშუალო დასწრება – განსხვავებული საჭიროების მქონე უფრო მეტ პირს მისცემს პროფესიებში გარკვევისა და სასურველი პროფესიული პროგრამის არჩევის შესაძლებლობას. ეს კი, თავის

მხრივ, შეამცირებს არასასურველი პროფესიების არჩევის, დაბალი მოტივაციის ანდა სწავლის მიტოვების შემთხვევებს.

თითოეულ პროფესიულ სასწავლებელს თავად შეუძლია განსაზღვროს და დანერგოს პროფესიული ორიენტაციის მოქნილი მიდგომები უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე დაყრდნობით.

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება პროფესიულმა სასწავლებელმა, სრულიად დამოუკიდებლად, თავისივე რესურსებითა და მინიმალური დანახარჯით, საკუთარი ელექტრონული გვერდის ანდა საინფორმაციო დაფის გამოყენებით წარმართოს პროფესიული ორიენტაციის თანმიმდევრული პროცესი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორიენტირებული პროფესიული ორიენტაციის მოდელი

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიული ორიენტაციის პროგრამის დანერგვის წინაპირობა

ერთ-ერთმა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უკანასკნელი 3 წლის სასწავლო პროცესის შედეგების სტატისტიკური ანალიზისას აღმოაჩინა, რომ:

- სტუდენტების საერთო რაოდენობიდან მხოლოდ 40 პროცენტმა დაამთავრა ის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზედაც ჩაირიცხა და მიიღო შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სტუდენტების 15 პროცენტმა დაამთავრა სასწავლო პროგრამა კვალიფიკაციის მიღების გარეშე;
- სტუდენტების 25 პროცენტი სწავლის პროცესში გადავიდა სხვა სასწავლო პროგრამაზე;
- სტუდენტების 20 პროცენტმა სწავლის პროცესი საერთოდ მიატოვა;
- სანდო მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი მათგანი დასაქმდა, ვერ შეგროვდა.

ამ არასახარბიელო შედეგებში გარკვევისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ჩაატარა სიღრმისეული კვლევა. სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგად გაირკვა ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სტუდენტები ტოვებენ სასწავლო პროცესს, გადადიან სხვა პროგრამაზე ან ვერ იღებენ კვალიფიკაციას – ეს არის დაბალი მოტივაცია სწავლის მიმართ. მოტივაციის ნაკლებობა კი სწავლის დაწყებამდე მომავალი სტუდენტების ბუნდოვან წარმოდგენას უკავშირდება, ერთი მხრივ, იმ პროგრამაზე, რომელზედაც აბარებენ და, მეორე მხრივ, სხვა, არსებული პროგრამების შესახებ, რომლებზედაც შეეძლოთ სწავლა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ორიენტირებული პროფესიული ორიენტაციის მოდელი

მასწავლებლებმა გამოხატეს მზადყოფნა, მონაწილეობა მიეღოთ ისეთ ღონისძიებებში, რომელთა მეშვეობითაც მომავალი სტუდენტები წინასწარ გაარკვევდნენ დარგის სპეციფიკას, სასწავლო პროცესის რაგვარობასა და საკუთარ მოტივაციას.

შესაბამისად, პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციამ მასწავლებლებთან, კარიერის დაგეგმვისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებთან ერთად პროფესიულ სასწავლებელში პროფორიენტაციის მხარდაჭერი სისტემა შეიმუშავა, რაც რესურსების მინიმალური გამოყენებით, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის პარალელურად მიმდინარეობდა.

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მსურველთა პროფესიული ორიენტაციის სისტემის დანერგვა

- ❖ პირველ ეტაპზე განისაზღვრა დაინტერესებულ პირთა პროფესიული ორიენტაციის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი გუნდი. შეთანხმდნენ, რომ პროცესს კოორდინაციას კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი გაუწევენ. ისინი პროფესიული ორიენტაციის საკითხებს კვირაში 1,5-2 საათს დაუთმობენ. პროფესიული ორიენტაცია განხორციელდება სასწავლო პროგრამების სწავლების პარალელურად და მასში მონაწილეობას მიიღებენ პროფესიული მასწავლებლები, რომელთა მიერ წარმართული სასწავლო პროცესის გაცნობა და დაკვირვებაა სწორედ მსურველთა მიზანი.
- ❖ პროფესიული ორიენტაციის დანერგვაზე პასუხისმგებელი გუნდის ინიციატივით პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ელექტრონულ გვერდზე გაჩნდა პროფესიული ორიენტაციის პროგრამაზე მსურველთა რეგისტრაციის შესაძლებლობა. ვებგვერდს დაემატა პროფესიული ორიენტაციაზე რეგისტრაციის განყოფილება, სადაც დაინტერესებულ პირებს საკუთარი სურვილის გამოხატვის შესაძლებლობა მიეცათ. რეგისტრაციის პროცესისთვის თვალყურის მიდევნება და კოორდინაცია კარიერის დაგეგმვისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს დაევალებათ.
- ❖ კარიერის დაგეგმვისა და ინკლუზიური განათლების სპეციალისტები დარეგისტრირებულ მსურველებს პროფესიული ორიენტაციის განრიგს უდგენენ: ანაწილებენ მცირე ჯგუფებში (5-7 ადამიანი) ან სურვილისამებრ ინდივიდუალურად ხვდებიან.
- ❖ პროფესიული ორიენტაცია მიმდინარეობს ორი ძირითადი მიმართულებით:

ზოგადი მიმართულება: პროფესიული სასწავლებლისა და მასში არსებული პროგრამების გაცნობა.

პროფესიული სემინარიათა დაწესებულების მიერ ორგანიზებული პროფესიული ორიენტაციის მოდელი

ორიენტაციის ეს ეტაპი დაინტერესებულ პირს ეხმარება პასუხი გასცეს შემდეგ მთავარ კითხვებს: პროფესიების რა სპექტრი არსებობს ამ სასწავლებელში? როგორია სტუდენტური ცხოვრება ამ სასწავლებელში?

კონკრეტული მიმართულება: კონკრეტული პროფესიის/პროფესიების სასწავლო კურსის სიღრმისეული გაცნობა.

ორიენტაციის ეს ეტაპი დაინტერესებულ პირს ეხმარება მიიღოს პასუხი შემდეგ ძირითად კითხვებზე: როგორია ეს პროფესია? როგორია სწავლა ამ პროფესიულ პროგრამაზე?

დაინტერესებულ პირს შეუძლია პროფესიული ორიენტაციის ორივე მიმართულებაში მონაწილეობა.

- ❖ მას შემდეგ, რაც დაინტერესებული ახალგაზრდა დარეგისტრირდება პროფესიული ორიენტაციისთვის (და თუკი შესაძლებელია, მიუთითებს მისთვის საინტერესო რამდენიმე პროფესიას და არჩეულთა შორის – პრიორიტეტულს), პროფესიული სასწავლებლის თანამშრომლები გეგმავენ რამდენჯერმე მისვლას სასწავლებლის სახელოსნოებში, საწარმოო პრაქტიკის ადგილზე, ლექციებზე.
- ❖ თითო პროგრამის ახლო/დეტალურად გასაცნობად ერთ მსურველს ეძლევა შესაძლებლობა, საშუალოდ 10-ჯერ სტუმრობისას მიიღოს საჭირო ინფორმაცია. 2-3 შეხვედრა ეთმობა თეორიულ კურსს, 3-4 – საწარმოო პრაქტიკის, ხოლო 3-4 – სახელოსნოში სამუშაო პროცესის გაცნობას. ასეთი აქტივობა, პროგრამის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, 2-3 კვირაში ერთხელ იგეგმება – ხან ინდივიდუალურად, ხან პატარ-პატარა, 3-5-კაციან ჯგუფში.
- ❖ პროფესიული ორიენტაციის აღნიშნული შესაძლებლობა იმასაც ითვალისწინებს, რომ დაინტერესებულმა პირმა ეტაპობრივად გამოიციხოს პროგრამა/პროგრამები საკუთარი ინტერესების ჩამონათვალიდან. თუ იგი ასეთი აქტივობების შემდეგ ისევ ორჭოფობს და არ იცის, რომელი პროგრამა შეარჩიოს, სპეციალურად მისთვის იმართება გაერთიანებული შეხვედრა ორი ან სამი პროფესიის პედაგოგთან ერთად.

როგორც წესი, შემაჯამებელი გასაუბრებისას დაინტერესებულ პირს პასუხს იღებს შემდეგ კითხვებზე: რა საკითხები დარჩა ბუნდოვანი? რა შეუქმნიდა მას უფრო ნათელ წარმოდგენას პროფესიული პროგრამის შესახებ? რა დაეხმარებოდა მას გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღებაში?

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება შეეცდება შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოს იგი შესაბამისი ღონისძიებებით.

შეჯამება

შემოთავაზებული განხილვა მკაფიო წარმოდგენას ქმნის იმის შესახებ, რომ მხარეები – სკოლა, დამსაქმებელი, პროფესიული სასწავლებელი – მოსწავლისა თუ დაინტერესებული პირის დასაქმების ადგილზე გადასვლისა და შესაბამისი განათლების მიღების ერთიანი პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილენი არიან.

პროფესიული ორიენტაციის პროცესში სკოლას, დამსაქმებელსა და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, როგორც ცალ-ცალაკე, ისე ერთობლივად, შეუძლიათ განსაკუთრებული როლის შესრულება.

ტრანზიციისა და პროფესიული ორიენტაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილებელია მათ შორის პარტნიორული, გუნდური მუშაობა და მჭიდრო თანამშრომლობა – ერთმანეთში ინფორმაციისა და მოსაზრებების გაცვლა, პასუხისმგებლობებისა და როლების მკაფიოდ განსაზღვრა, ერთობლივი მოქმედებების უწყვეტი ციკლის განხორციელება. გადამწყვეტია პროცესის დოკუმენტირება და გადამონმება/მონიტორინგი.

აღნიშნული პროცესის ორგანიზების ინსტრუმენტი კი, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმაა, რომელშიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ძირითადი ორიენტირები:

- რას უნდა მიაღწიოს ახალგაზრდამ დასაქმებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების მხრივ?
- როგორ უწყობს მას ხელს პარტნიორების გუნდი?
- ვინ რა მოქმედებაზე/ამოცანაზეა პასუხისმგებელი?
- რა ვადებშია მოქმედებების განხორციელება დაგეგმილი?
- რა რესურსებია ამისთვის საჭირო?

ასეთი მუშაობის პირობებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი ინფორმირებული და აქტიურად ჩაბმული იქნება თავისი ზრდასრული ცხოვრების დაგეგმვის პროცესში; მიიღებს პროფესიულ განათლებას მისთვის შესაფერისი ტემპითა და სტილით; შესაძლებლობის ფარგლებში მიაღწევს პროფესიით განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს; და საბოლოოდ დასაქმდება, რაც ხელს შეუწყობს უკვე არსებული დონის გაუმჯობესებას და დამოუკიდებელ ცხოვრებას.

თავი 4:

საეხილური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის პროფესიული მომზადების პროცესის ორგანიზება

მოცემულ თავში აღწერილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის მოქმედი პროცედურა. პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხვა ინდივიდუალური ტრანზიციის პროცესთან მიმართებით შეიძლება შეფასდეს როგორც პირველი ფაზიდან მეორეში გადასვლის მომენტი. საუკეთესო შემთხვევაში, ახალგაზრდას ამ დროისთვის უკვე გავლილი აქვს საფუძვლიანი პროფესიული ორიენტაციის ეტაპი, გაკეთებული აქვს არჩევანი და ჩარიცხვის პროცესი მხოლოდ არჩევანის დაფიქსირების ანდა მომიჯნავე სპეციალობების საბოლოო გადამოწმებისა და მათ შორის უპირატესის შერჩევის შესაძლებლობა იქნება. თუმცა, იმის გამო, რომ დღესდღეობით ახალგაზრდების უმრავლესობას არ გაუვლია მიზანმიმართული პროფესიული ორიენტაციის ეტაპი, ჩარიცხვის პროცედურა მას მცირე დროში სამი სხვადასხვა პროფესიის მოსინჯვის შესაძლებლობას სთავაზობს.

როგორია საეხილური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიული განათლების სისტემაში ჩარიცხვის წესი?

დღესდღეობით, საქართველოში პროფესიული განათლების მიღებით დაინტერესებულ პირთა სისტემაში ჩართვა პროფესიული ტესტირების გზით ხორციელდება (პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №152/6 და №430). პროფესიული ტესტირების მიზანია დაადგინოს, რამდენად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის მსურველთა უნარები და შესაძლებლობები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მოთხოვნილ

უნარებს. ამისთვის, პროფესიული ტესტირების სტანდარტულ პროცედურებში განსაზღვრულია პროფესიული უნარების ტესტისა და კონკრეტული საგნის/საგანთა ჯგუფის ჩაბარება (პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება, 2013).

პროფესიული პროგრამის მიმართ მსურველთა დიდი დაინტერესების შემთხვევაში, სისტემაში პირველ რიგში ტესტირებაში საუკეთესო შედეგების მქონე პირები ირიცხებიან. ამავდროულად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ითვალისწინებს მოცემულობას: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები, მათი განსხვავებული შესაძლებლობის გამო, მონაცვლადი არიან კონკურსის წესით შერ-

ჩვეის მიმართ, თუ შერჩევა ეფუძნება შეფასების სტანდარტულ პროცესს და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მიმართ მათი საგანმანათლებლო საჭიროების გაუთვალისწინებლად სტანდარტული მოთხოვნებია დადგენილი. ამ შემთხვევაში, საფრთხე ემუქრება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების ხელმისაწვდომობას.

სწორედ ამიტომ, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში დაინერგა პროფესიული განათლების პროგრამებზე ჩარიცხვის ალტერნატიული ფორმა, რათა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომი იყოს პროფესიული განათლება,

ალტერნატიული ფორმით პროფესიული ტესტირების გავლის მთავარი მიზანია, ერთი მხრივ, პროფესიული განათლების მიღების მსურველ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, პირს მიეცეს შესაძლებლობა, საბოლოო არჩევანის გაკეთებამდე:

- პრაქტიკულად მოსინჯოს მისთვის საინტერესო, სასურველი ერთი, ორი ან სამი პროფესია და საკუთარი თავი ამ პროფესიის ამოცანის შესრულებისას;
- ნათელი წარმოდგენა შეიქმნას პროფესიულ სასწავლებელში არსებულ სასწავლო გარემოზე, პროცესსა და პროგრამაზე;

მეორე მხრივ კი, თავად პროფესიული განათლების დაწესებულების თანამშრომლებმა (მასწავლებელმა და სპეციალისტმა) გაიცნონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მომავალი სტუდენტი, რათა სასწავლო პროცესის

დაწყებამდე მასთან ერთად დაგეგმონ და წინასწარ გაიაზრონ სასწავლო გარემოსა თუ სასწავლო პროცესში შესატანი შესაბამისი ცვლილებები. ასეთი ცვლილებები შეიძლება ეხებოდეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: პროფესიული ლიტერატურის დაბეჭდვა ბრაილის შრიფტით ან სახელმძღვანელოს აუდიოჩანაწერის უზრუნველყოფა; შესასვლელის ადაპტირება ეტლის მომხმარებლისთვის; ყესტური ენის თარჯიმნის, ქცევის მართვის სპეციალისტისა თუ ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა; სასწავლო გეგმაში ახალი თემის (მაგალითად, ინკლუზიური ტურიზმის) შეტანა; პროგრამის სწავლა-სწავლების სტილის, სასწავლო რესურსისა და მეთოდების მორგება და ა. შ.

ასეთი „ურთიერთგაცნობა“ ხელს უწყობს:

პროფესიის შესწავლის მსურველს გაცნობიერებული და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში იმის შესახებ, ცხოვრების მოცემულ ეტაპზე რომელ სასწავლო პროგრამაზე ისწავლოს;

პროფესიული სასწავლებლის გუნდს საჭირო ცვლილებების განხორციელებასა და სათანადოდ მომზადებაში.

ალტერნატიული ტესტირების აგების პროცედურა ინკლუზიური განათლების პრინციპს ეფუძნება და გულისხმობს პროფესიის ერთ-ერთი მთავარი აქტივობის/ამოცანის შესრულებას – მოსინჯვას ბუნებრივ, ჩვეულ გარემოში. შესაბამისად, თითოეული აქტივობისთვის მზადდება შესაბამისი პროფესიის სახელოსნო, პროფესიის ამოცანის შესასრულებლად საჭირო შესაბამისი მასალით, ინსტრუმენტებითა და აღჭურვილობით.

პროფესიული ტესტირების ალტერნატიული ფორმით ჩატარების პროცესი, პირობითად, შეიძლება დაიყოს ხუთ ეტაპად:

1. ალტერნატიული ტესტირებით სარგებლობის უფლების მოპოვება;
2. აპლიკანტისთვის ინდივიდუალური ალტერნატიული ტესტირების დაგეგმვა;
3. აპლიკანტის მიერ პროფესიის პრაქტიკული აქტივობის/ამოცანის უშუალო მოსინჯვა;
4. აპლიკანტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე გუნდური შეხვედრის გამართვა ინფორმაციის გაცვლის მიზნით;
5. აპლიკანტის მხრიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მისი არჩევანის დამტკიცება.

განვიხილოთ თითოეული ეტაპი დეტალურად.

1. ალტერნატიული ტესტირებით სარგებლობის უფლების მოპოვება

პროფესიული განათლების მიღების მსურველს პროფესიული განათლების პროგრამაზე ალტერნატიული ტესტირების გზით მოსახვედრად უნდა დაუდასტურდეს სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროება. შეიძლება ახალგაზრდას ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი. საქართველოში უპირატესად ჯანმრთელობის მდგომარეობას უკავშირდება ეს სტატუსი და მისი არსებობისას საჭიროა, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ცნობა და/ან ფორმა №100⁴) წარედგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის წევრებს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსის დასადასტურებლად/მისაღებად, რომელიც აუცილებლობით არ უკავშირდება ჯანმრთელობის მდგომარეობას და გულისხმობს განათლების მიღების პროცესში დამატებითი მხარდაჭერის საჭიროებას, მოქალაქემ შეფასებისთვის უნდა მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდს. სამინისტროს ექსპერტთა გუნდი შეაფასებს მის აკადემიურ საჭიროებებსა და დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევებს (შეფასების ფორმა იხ. დანართი №1), რათა განისაზღვროს, თუ რა ტიპის განსაკუთრებული მხარდაჭერა დასჭირდება პირს პროფესიული განათლების მიღებისას. ექსპერტთა გუნდი საამისოდ იყენებს ინტერვიუს, ფსიქიკური და აკადემიური უნარების შესაფასებელ ცალკეულ დავალებებს, რის საფუძველზეც დასკვნას წერს. დასკვნაში ან დასტურდება პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, ან არა.⁵

4 სმენის სირთულეების შემთხვევაში – აუდიოგრამა, მხედველობის სირთულეების დროს – ოფთალმოლოგის დასკვნა, ფსიქიკური ჯანმრთელობის გარკვეული მდგომარეობისას – ფსიქიატრის დასკვნა.

5 აღნიშნულ ფორმას, კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირისთვის შევსებულს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უგზავნის იმ პროფესიულ სასწავლებელს, რომელშიც კონკრეტულად ამ პირისთვის ალტერნატიული ტესტირება იგეგმება.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსის შესაბამისად, მოქალაქე მოიპოვებს პროფესიული ტესტირების ალტერნატიული ფორმით გავლის უფლებას. სხვა შემთხვევაში ნებისმიერი მსურველი გაივლის სტანდარტულ პროფესიულ ტესტირებას (არა ალტერნატიული ფორმით).

სტატუსის მოპოვების შემდეგ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მონაცემები მუშავდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბაზაში და იქმნება ალტერნატიული ტესტირების განრიგი.

2. ინდივიდუალური აპლიკანტისთვის ალტერნატიული ტესტირების დაგეგმვა

პროფესიული ტესტირება იგეგმება თითოეული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირისა და მის მიერ შერჩეული ერთი, ორი ან სამი პროფესიისთვის ცალ-ცალკე. დაგეგმვის მიზანია, პროფესიის პრაქტიკის მასწავლებელთან ერთად ტესტირების მონაწილემ მიიღოს შერჩეული პროფესიის ერთ-ერთი მთავარი პრაქტიკული აქტივობის შესრულების გამოცდილება, რომელიც შემდგომ მხარდამჭერ გუნდთან ერთად გადაწყვეტილების მიღების მიზნით განიხილება.

ყოველი პროფესიული აქტივობის მოსინჯვა – ანუ ალტერნატიული გზით პროფესიული ტესტირება, ხორციელდება პროფესიულ სასწავლებელში. ამისთვის, თითოეული შერჩეული პროფესიისთვის პროფესიის პრაქტიკის მასწავლებელი ინკლუზიური განათლების სპეციალისტსა და სპე-

ციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტთან ერთად არჩევს პროფესიისთვის დამახასიათებელ აქტივობას. შერჩევას მნიშვნელოვანია შემდეგი მახასიათებლების გათვალისწინება:

- ისეთი აქტივობის შერჩევა, რომელიც წარმოაჩენს როგორც პროფესიის ხიბლს, ისე მის რუტინულ მხარეს;
- აქტივობის შესრულება შესაძლებელია დაახლოებით 30-40⁶ წუთში;
- აქტივობა საჭიროებს პროფესიისთვის დამახასიათებელი ინსტრუმენტებისა და მასალის გამოყენებას და ტარდება პროფესიის პრაქტიკულ სახელოსნოში.

ცხადია, რომ ასეთი აქტივობის შერჩევა მხოლოდ პროფესიული პრაქტიკის მასწავლებელს შეუძლია. თუმცა ამ პროცესში მნიშვნელოვანია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მონაწილეობაც, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს და მასთან ერთად მოსინჯავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის დასკვნის ინტერპრეტაციას აპლიკანტის მდგომარეობისა და საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ.

ექსპერტთა გუნდის შეფასების ფორმაში, აღწერილ ინფორმაციაზე დაყრდნობით, პროფესიული აქტივობის დაგეგმვისას განისაზღვრება ტესტირების მონაწილესთან კომუნიკაციის სტილი და ტემპი, ამოცანის, ინსტრუმენტებისა და აღჭურ-

⁶ ეს დრო ახლოა აკადემიური საათის ხანგრძლივობასთან; ითვალისწინებს ახალ, უცხო და ამის გამო სტრესულ სიტუაციაში აპლიკანტის გადაღლის ფაქტორს; ასევე, სხვადასხვა აპლიკანტის ალტერნატიული ტესტირების განრიგს.

ვილობის უსაფრთხოება და შესაბამისობა მონაწილის შესაძლებლობებთან.

დაგეგმვისას მასწავლებელი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად წარმოიდგენს ტესტირების შესაძლო სიუჟეტს კონკრეტული აპლიკანტისთვის და არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით გეგმავს ტესტირების საინტერესო პროცესს: შესასრულებელი აქტივობების თანმიმდევრობას, მასალას, გარემოს, ინსტრუქციებს და ა. შ.

ალტერნატიული ტესტირების დაგეგმვისას, პროფესიის პრაქტიკის მასწავლებელმა შეიძლება შეარჩიოს ყველაზე მარტივი აქტივობა – მისი აზრით, ვაითუ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს გაუჭირდეს სხვა, პროფესიისთვის უფრო დამახასიათებელი, კომპლექსური ამოცანის შესრულება. თუმცა მნიშვნელოვანია, მასწავლებელს ახსოვდეს, რომ პროფესიის მოსინჯვის მთავარი მიზანი პროფესიის ხიბლისა და მისი კომპლექსურობის გაცნობაა. ზედმეტად მარტივი ამოცანის შერჩევისას მონაწილე ვერ დაინახავს პროფესიის მახასიათებლებს და პროფესიული განათლების მიღების საჭიროებას.

ზოგადად, არ არის აუცილებელი მონაწილემ პირველივე მოსინჯვისას სრულად, ოსტატურად და დამოუკიდებლად შეასრულოს აქტივობა (რაც პროფესიული განათლების საბოლოო მიზანია). მთავარია, მან პრაქტიკოსთან ერთად პროფესიულ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობის გამოცდილება მიიღოს. მაგალითად: პრაქტიკის მასწავლებელმა და მონაწილემ ერთად მიამაგრონ თაბაშირ-მუყაოს ნაჭრები კარკასზე; გააკრან კაფელი კედელზე; შეკერონ მუთაქის პირი; შეამონწონ საკვები პროდუქტი და ა. შ.

პროფესიული პრაქტიკის მასწავლებელი უნდა ახდენდეს შესასრულებელი აქტივობის დემონსტრირებას და ეტაპობრივად რთავდეს, „ინვედეს“, მონაწილეს იმავე საქმიანობის შესრულებაში.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ამოცანა შეიძლება მოიცავდეს ისეთ კომპონენტებსაც, როგორებიცაა: გაზომვა, გამოანგარიშება, შაბლონთან შემოწმება ან რაიმეს ჩანიშვნა, რათა გამოჩნდეს იმ თეორიული ცოდნის არსებითი ელემენტიც, რასაც პროფესია ეფუძნება. აღსანიშნავია, რომ ტესტირებისას თეორიული საკითხის ახსნა არ არის საჭირო. ეს პროფესიული განათლების მიზანი და პრეროგატივაა. უმჯობესია, ტესტირებისას თეორიული კომპონენტი მინიმალურად იყოს წარმოდგენილი, ისიც უფრო მეტად მასწავლებლის მხრიდან, და ლოგიკურად, მოქნილად ერწყმოდეს პრაქტიკულ პროცესს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, დაგეგმვისას ამოცანის არა იზოლირებულად წარმოდგენა, არამედ მისი კავშირის ჩვენება მომავალ პროფესიასთან. მაგალითად, თუ აპლიკანტს მოვასინჯინებთ ელექტრული წრედის აგების ამოცანას, ეს ყველაფერი კი ავტომობილის ელექტროობას უკავშირდება, მაშინ აუცილებელია ავტომობილში (თუნდაც ნახევრად დაშლილ ავტომობილში) იმ გზის ჩვენება, რომელსაც კვების წყაროდან ნათურასთან (ავტომობილის ფართან) მივყავართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, აპლიკანტმა შეიძლება ვერ დააკავშიროს მაგიდაზე აწყობილი ელექტრული წრედი ავტომობილში არსებულ წრედთან, და შესაბამისად – შერჩეულ პროფესიასთან.

დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება აპლიკანტთან ურთიერთობის დამყარებასა და კომუნიკაციის სტილის შერ-

ჩვენს: როგორ გააგებინებს და გამოხატავს აპლიკანტი თავის მოსაზრებებსა და სურვილებს, და როგორ აღიქვამს ის სხვის მოსაზრებებსა და სურვილებს. მნიშვნელოვანია, კომუნიკაციის სხვადასხვა სტრატეგიის განხილვა პროფესიის პრაქტიკის მასწავლებელსა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს შორის და შესაბამისი კომუნიკაციის გზის დადგენა ან გამოძებნა.

3. პროფესიის პრაქტიკული ამოცანის უშუალო მოსინჯვა

პრაქტიკის მასწავლებლის მიერ პირველი კონტაქტის დამყარება აპლიკანტთან ხშირად მისი სახელის კითხვით და იმის გადამოწმებით იწყება, რატომ აირჩია ეს პროფესია მოსასინჯად. თუმცა, უფრო ბუნებრივია, თუ პროფესიული სასწავლებლის გუნდის წევრები ტესტირებაზე მოსულ პირს შეგებებისას სახელით მიმართავენ – ამით გამოჩნდება, რომ არსებული ინფორმაციის საფუძველზე ისინი საგანგებოდ მოემზადნენ აპლიკანტთან შესახვედრად. შესაბამისად, უმჯობესია, თუ ჯერ მასწავლებელი გააცნობს თავს და სხვა დამსწრე პირებს მოსულს, ხოლო თითოეული მათგანი მოკლედ ახსნის ალტერნატიული ტესტირებისას თავის როლს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესავსები დოკუმენტაციის ჩვენება (პროფესიული ტესტირების შეფასების ფორმები იხ. დანართში №2) და ძალიან მოკლედ, ერთი წინადადებით იმის ახსნა, რა ჩანაწერებს აკეთებენ გუნდის წევრები ტესტირების პროცესში და რაში დაეხმარება ეს ყველაფერი საბოლოოდ აპლიკანტს. უთუოდ უნდა ითქვას ხმამაღლა ისიც, რომ აპლიკანტს აღნიშნულ დოკუმენტაციაზე ხელი მიუწვდება – ასლი მას გადაეცემა.

უშუალოდ ტესტირების დაწყებამდე შეიძლება იმის დაზუსტებაც, თუ რა შეხება ჰქონია მოსულს მისთვის საინტერესო პროფესიასთან: უნახავს, ვინმესგან მოუსმენია, გაუკეთებია რაიმე მსგავსი თუ სხვა. კითხვა უნდა დაისვას მარტივად, გამოკითხვისა და შემოწმების ელფერის გარეშე, და გამოხატავდეს გულწრფელ დაინტერესებას. ასეთი კითხვის დასმა არ არის მარტივი და მას ფაქიზი ფორმულირება სჭირდება. ხშირად ხდება ხოლმე, რომ, რაც აპლიკანტს აინტერესებს, მას ცხოვრებაში უკვე გარკვეული სიხშირით გაუკეთებია კიდეც და სწორედ ამიტომ ფიქრობს ამ დარგის შესწავლასა და თავის პროფესიად ქცევას. ამ შემთხვევაში სასურველია პროფესიის მოსინჯვა უფრო მეტს სთავაზობდეს მას, ვიდრე მისი წარსული გამოცდილებაა. მაგალითად, თუ ავტომობილის შემკეთებლის პროფესიის პრაქტიკული ამოცანის მოსინჯვაზე მოსულ აპლიკანტს, რომლის ოჯახს რამდენიმე ავტომობილი ჰყოლია, მას კი ავტომობილზე საბურავის გაბერვისა და გამოცვლის პრაქტიკა აქვს, ალტერნატიულ ტესტირებაზე საბურავის მოხსნასა და გაბერვას შესთავაზებენ, ეს ნაკლებად ინფორმაციული იქნება.

ამიტომ, ერთი მხრივ, სასურველია აპლიკანტის შესახებ მიღებული დოკუმენტაციის საფუძველი ანალიზი მისი გამოცდილების დასადგენად; მეორე მხრივ, უმჯობესია, შერჩეული ამოცანის გარდა ერთი-ორი „სათადარიგო“, აქტივობის დაგეგმვაც. თუ მასწავლებელს ორი ან სამი სხვადასხვა ამოცანა წინასწარ ექნება მოფიქრებული, მოსული პირის გამოცდილებისა და გამოვლენილი უნარ-ჩვევების შესაბამისად, უფრო მარტივად შესთავაზებს მას საინტერესო ამოცანას. არც ისაა გამორიცხული, შერჩეული და მონაწილისთვის ნაცნობი ამოცანა მასწავლებელმა შეასრულოს განსხვავებული წესით, პროფესიული ხარისხის კრიტერიუმების გათვალისწინებით, რაც

განასხვავებს პროფესიონალისა და მოყვარულის შესრულების ხარისხს.

პროფესიის მოსინჯვის დაწყებამდე საჭიროა ზრუნვა უსაფრთხოების წესების დაცვაზე: დამცავი სათვალე, შესაბამისი უნიფორმა, ხელთათმანი და ა. შ. უნდა გამოიყენოს როგორც მასწავლებელმა, ისე აპლიკანტმა. უსაფრთხოების გათვალისწინება უკავშირდება ასევე განათლების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის შეფასების ფორმაში არსებულ ინფორმაციას. მასზე დაყრდნობით პროფესიული ტესტირების გუნდი ისე გეგმავს ალტერნატიული ტესტირების პროცესს, რომ, ერთი მხრივ, მასში აპლიკანტის და სხვათა უსაფრთხოებაც იყოს დაცული და, მეორე მხრივ, ხელი არ შეეშალოს (თავიდან არ აარიდონ) პროფესიის ამოცანის პრაქტიკული მოსინჯვის პროცესს.

სასურველია, პროფესიული ტესტირების შედეგად მიღებული საბოლოო პროდუქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ნიმუშის, თვალსაჩინოების სახით იყოს მოცემული. ეს განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს მხედველობის სირთულეების მქონე პირისთვის, რომ ხელით შეეხოს, ხელებით „დაათვალიეროს„ (ცხადია, თუ ეს უსაფრთხოა) ნაწარმი. ასევე მნიშვნელოვანია საბოლოო პროდუქტის ჩვენება სწავლის ანდა კომუნიკაციის სირთულეების მქონე პირებისთვის პროცესზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად.

ტესტირებაზე მოსული პირისთვის პროფესიული ამოცანის დემონსტრირებას ახდენს პროფესიის პრაქტიკის მასწავლებელი. აპლიკანტისთვის მომზადებულია იგივე მასალა, იარაღები და ჩვენებასთან ერთად მასწავლებელი მას საქმიანობაში ჩაბმას სთავაზობს. მასწავლებელი და აპლიკანტი ნაბიჯ-ნაბიჯ ასრულებენ წინასწარ დაგეგმილ ამო-

ცანას. მაგალითად, მომზადებულია ორი ფუნჯი, ერთით ღებავს მასწავლებელი, მეორეს სთავაზობს მონაწილეს. შეიძლება მოხდეს ისეც, რომ მასწავლებელმა ამოცანის შესრულების პროცესში ჩააბას აპლიკანტი დემონსტრირების აქტივობაში, განსაკუთრებით, თუ ტესტირებაზე მოსული პირი პასიურია და არ ავლენს ინიციატივას. მაგალითად, აჩვენოს, თუ როგორ აფენს მატყლს და შემდეგ მას გადაანოდოს მატყლის ფთილა. პირველ რიგში, მასწავლებელი მხოლოდ ჩვენებას ცდილობს და საშუალებას აძლევს აპლიკანტს, იგივე დამოუკიდებლად შეასრულოს. აპლიკანტისთვის არჩევანის შეთავაზება (მაგალითად, ნაჭრის ან მოსართავი აქსესუარის, ფერის და ა. შ.) აძლევს მას შესაძლებლობას, გამოავლინოს ინიციატივა, იყოს უფრო აქტიური, უფრო მეტი წარმოდგენა შეიქმნას პროფესიის შემოქმედებით ასპექტზე. თუმცა, თუ მასწავლებელი ამჩნევს, რომ აპლიკანტს რაიმეს შესრულება უჭირს, მას დახმარებას სთავაზობს და თანხმობის შემთხვევაში ეხმარება.

მთავარი მიზანია, ტესტირებაზე მოსული პირი „შეეხოს„ პროფესიის არსს, მოსინჯოს საკუთარი თავი ამ პროცესში და მიხვდეს, სურს და აინტერესებს თუ არა ამის კეთება მომავალში; არის თუ არა მზად, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე თავისი დრო და ძალისხმევა დაუთმოს იმავე და მსგავსი ამოცანების შესრულებას. შესაბამისად, გარკვეული მომენტები რთული შესასრულებელი რომც იყოს, არ არის საგანგაშო, ეს ბუნებრივია. მთავარია, აპლიკანტმა დაინახოს ისიც, რომ პროფესია მხოლოდ ეს პატარა ამოცანა არ არის, რომ გარკვეული მოქმედებების ათვისებას ხანგრძლივი პრაქტიკა და გამოცდილების შექმნა სჭირდება.

შეჯამების სახით, კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ პროფესიის პრაქტიკული ამოცანის

მოსინჯვის მთავარი მიზანია, დაინტერესებული პირი გაეცნოს პროფესიას და გადანიშნულებას, სადა გააგრძელოს სწავლა, ინფორმირებულობის შედეგად მიიღოს; და არა იმის შეფასება, რამდენად გამოსდის ამოცანის შესრულება, აქვს საამისო მიდრეკილება და იცის თუ არა ამის შესახებ რამე. ეს უკანასკნელი სწავლა-სწავლების მიზნებია. ადამიანს ერთი მოსინჯვით რომ გამოსდოდეს პროფესიული საქმიანობა, არავის დასჭირდებოდა დაოსტატება და მრავალწლიანი გამოცდილება.

სწავლის დროს ყველა ადამიანი განსხვავებულ სტრატეგიას იყენებს, უნარების განსხვავებულ კომბინაციას ეყრდნობა. შესაბამისად, მასწავლებლის კითხვები თუ კომენტარები სასურველია იმის დადგენას ემსახურებოდეს, რამ დაინტერესა აპლიკანტი, რა კითხვები გაუჩნდა, რას ფიქრობს, რას გრძნობს, და არა იმას, თუ რა დაიმსახურა ან იცის მან (მაგალითად, რა არის მუდმივი დენის წყარო, ან თავდაპირველად რა უნდა გამოვიანგარიშოთ და ა. შ.). მასწავლებელი აპლიკანტს ელაპარაკება, რას აკეთებს. მაგალითად, „ფილების გაკვრას ამ კედელზე ვაპირებ. ამისთვის ფართობი უნდა გამოვთვალო... (იწყებს გაზომვას). ხომ არ დამეხმარები...“ (სთავაზობს საქმიანობაში ჩაბმას, აწოდებს საზომს ან კარნახობს რიცხვებს, თუ ექსპერტების შეფასების წინასწარ ფორმას გაეცნო და იცის, რომ ციფრების ჩანერა შეუძლია).

4. აპლიკანტის მიერ საბოლოო გადანიშნულებების მიღებამდე გუნდური შეხვედრის გამართვა ინფორმაციის გაცვლის მიზნით

პროფესიული ტესტირების პროცესში და მისი დამთავრების შემდეგ, ბუნებრივი და საჭიროც

არის აპლიკანტის გამხსნელება უკუკავშირით. თუმცა ხშირად ხდება, რომ წამახალისებელი უკუკავშირი ამოიწურება შემდეგი ფრაზებით: „კარგი ბიჭი/გოგო ხარ“, „ხომ მოგეწონა?“, „ძალიან ლამაზად გააკეთე“, და ა. შ. ამგვარი კომენტარებით გაუგებარი რჩება, რას ეფუძნება შექება. ამიტომ უმჯობესია, კომენტარები კონკრეტული დაკვირვების შედეგებს ეხებოდეს. მაგალითად: „საკმაოდ დაინტერესდი მასალით“, „შევამჩნიე, უსაფრთხოების წესებს იცავდი. ეს ჩვენს პროფესიაში გადამწყვეტია“, „კარგია, რომ მონაცემები შეამოწმე, სიზუსტე ჩვენ პროფესიაში უმნიშვნელოვანესია“, და ა. შ.

გამამხსნელებელი კომენტარების შემდეგ არსებითა თავად დაინტერესებული პირის მოსაზრებების მოსმენა: რა გამოცდილება მიიღო? რამ დაინტერესა? რა კითხვები აქვს პროფესიასთან ან სწავლის პროცესთან დაკავშირებით?

დამსწრეთაგან უმთავრესია პრაქტიკის მასწავლებლის შეფასებები: რაში დაინახა პირის ინტერესი? რომელი ასპექტი იყო ისეთი, რომლის ყველაზე ხშირად შესრულება უწევთ ამ პროფესიაში? რა არის დამლელი, რას სჭირდება ძალა ან ძალისხმევა? დაახლოებით რა დრო სჭირდება კონკრეტული უნარ-ჩვევის გამომუშავებას, დაოსტატებას? ჩვეულებისამებრ, მოსინჯული ანდა პროფესიის სხვა აქტივობები მარტო სრულდება თუ ვინმესთან ერთად?..

გარდა ამისა, აუცილებელია დასაქმების სხვადასხვა ტიპის ადგილის გაცნობა, სასწავლო პროცესის, კურსებისა და დატვირთვის შესახებ ინფორმაციის გაზიარება (სასურველია, წერილობით ანდა აუდიოფორმით, რათა აპლიკანტი სახლში უფრო დეტალურად გაეცნოს ამ ინფორმაციას).

ტესტირების პროცესში გადამწყვეტია კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის მონაწილეობა, რადგან ის სწორედ ამ მომენტიდან იწყებს ფიქრს აპლიკანტის საწარმოო პრაქტიკისა და დასაქმების გეგმაზე. შესაბამისად, მისგან აპლიკანტი ისმენს ისეთ ინფორმაციას, რაც სწავლის დროს დაგეგმილ საწარმოო პრაქტიკას, დასაქმების ადგილებსა და ტიპებს ეხება (მაგალითად, მოცემულ პროფესიაში არსებული საწარმოები, სახელოსნოები, ბრიგადები თუ თვითდასაქმების ადგილები).

პროფესიული სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ტესტირების დაკვირვების პროცესში ძირითად ყურადღებას იმ მომსახურებაზე ამახვილებს, რომელიც შეიძლება დასჭირდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აპლიკანტის მიმართ მისი მხარდაჭერა და შესაძლო მომსახურების ან რესურსების შეთავაზება.

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი ყურადღებას ამახვილებს სწავლა-სწავლების პროცესში გასათვალისწინებელ საკითხებზე, შესაძლო სტრატეგიებსა და მორგების გზებზე, რის შესახებაც აპლიკანტს ინფორმაციას უზიარებს.

ასისტენტი, საჭიროების შემთხვევაში, აცნობს აპლიკანტს ასისტირების (დამატებითი მხარდაჭერის) წესს.

ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ განიხილავს კომისიის თითოეული წევრი დაკვირვების შედეგებს აპლიკანტთან. დისკუსიის ფორმა უნდა ეხმიანებოდეს ინკლუზიური განათლების არსს

– პრობლემა არ არის ადამიანში, პრობლემა ან ბარიერი შეიძლება იყოს სისტემაში/გარემოში. შესაბამისად, დამსწრე პირთა კომენტარები ამ პოზიციას უნდა ეფუძნებოდეს. მაგალითად, შინაარსს არსებითად ცვლის სრულიად განხვავებული დამოკიდებულება საკითხისადმი:

ა. ამ პროფესიაში თეორიული ცოდნის წილი დიდია, შესაბამისად, წერა-კითხვის ცოდნა აუცილებელია;

ბ. მართალია, ამ პროფესიაში თეორიული ცოდნის წილი დიდია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია სასწავლო მასალა, ტექსტი გავახმოვანოთ და თქვენ აუდიოჩანაწერით იმეცადინოთ;

ან

ა. პოლიგრაფიაში ფერებისა და ელფერების ზუსტი გარჩევის გარეშე წარმოუდგენელია მუშაობა. იმის გამო, რომ თქვენ ვერ ხედავთ, ეს პროფესია არ შეგეფერებათ;

ბ. მართალია, პოლიგრაფიაში ფერებისა და ელფერების გარჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს და ბევრი პროფესიული ამოცანა მხედველობას მოითხოვს, მაგრამ ძლიერი ინტერესისა და მოტივაციის შემთხვევაში, შეიძლება ისეთი ამოცანების დაუფლება (მაგალითად, პოლიგრაფიაში გამოყენებული სხვადასხვა ფაქტურის ქალაქისა და მუყაოს თვისებების ამოცნობა, დახასიათება და კლასიფიკაცია), რაც ხელით შეხებისას მალაღიერი მგრძნობელობის შემთხვევაში მხედველობას არ საჭიროებს; თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს პროფესიის ნაწილობრივი დაუფლება იქნება.

„ა„ პასუხები ორივე შემთხვევაში რადიკალური, გამრიყავი და მიკერძოებულია. „ბ„ პასუხები რეალობაზე, გადაჭრის გზების მოძიებასა და აპლიკანტის მოტივაციაზეა ორიენტირებული.

საბოლოოდ, მთავარია პროფესიული ალტერნატიული ტესტირების გუნდის მხრიდან გამოხატული კეთილგანწყობა, რეალობის მიუკერძოებელი გაცნობა და აპლიკანტის მხარდაჭერა ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად.

თუმცა შეიძლება, პროფესიული ალტერნატიული ტესტირების გუნდის წევრებს გაუჩნდეთ განცდა, რომ აპლიკანტი გაცილებით უფრო ღრმა პროფესიული ორიენტაციის პროცესს საჭიროებს იმისთვის, რომ გაეცნოს არსებული პროფესიების სპექტრს ანდა ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოს მისთვის სასურველი პროფესიის შესახებ. მაგალითად, შესაძლოა გუნდის წევრებს მოეჩვენოს, რომ აპლიკანტმა სპონტანურად ან მთლიანად სხვისი გავლენით აირჩია ის პროფესია, რომელშიც ტესტირება გაიარა. ასეთ შემთხვევაში გუნდი აპლიკანტს უზიარებს თავის მოსაზრებასა და ვარაუდებს, რომლებმაც ეს მოსაზრება განაპირობა; სთავაზობს მას პროფესიული ორიენტაციის ინდივიდუალური გეგმის შედგენას და ამ ფაზის გავლის შემდეგ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას სასურველი პროფესიის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, აპლიკანტი, სავარაუდოდ, გაივლის პროფესიული ორიენტაციის რამდენიმე ფაზას და ამის შემდეგ მის მიერვე შერჩეულ პროგრამაზე შემდეგი მიღებისას ჩაირიცხება. ცხადია, ამ შეთავაზებაზე დათანხმება აპლიკანტის პრეროგატივა/უფლებაა, ხოლო ამ შესაძლებლობის დადებითი მხარის გაცნობა და შეთავაზება – გუნდის ვალდებულება.

5. აპლიკანტის მხრიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მისი არჩევანის დამტკიცება

მიღებულ გამოცდილებასა და ინფორმაციაზე დაყრდნობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, თუ რომელ პროგრამაზე სურს სწავლა (ან გარკვეულ შემთხვევაში, სწავლის დაწყების ნაცვლად პროფესიული ორიენტაციის პროგრამაში ჩაბმა, სასურველი პროფესიის შესახებ უფრო გაცნობიერებული გადაწყვეტილების მისაღებად).

ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, მან უნდა აწონ-დაწონოს და შეაფასოს საკუთარი დამოკიდებულება: მოტივაცია, ინტერესი, გამონვევის დონე, გარკვეული ინტენსივობითა და ხანგრძლივობით პროფესიულ აქტივობებში ჩაბმის სურვილი; განცდილის გაზიარება ახლობლებისთვის; გადაწყვეტილების მიღება მშვიდ გარემოში.

ანგარიშგასანევია ისეთი შემთხვევაც, როდესაც გადაწყვეტილების მიღებისას აპლიკანტს მხარდამჭერის მონაწილეობა სჭირდება. ამ დროს აუცილებელია, მხარდამჭერი პირი ალტერნატიული ტესტირების ყველა ეტაპს ესწრებოდეს, შემდეგ კი აპლიკანტსა და მისი ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის საშუალება ჰქონდეს. სწორედ ამ მიზეზით, როგორც წესი, საბოლოო გადაწყვეტილებას აპლიკანტები არა ტესტირების დღეს, არამედ მომდევნო დღეებში იღებენ. თუმცა სავსებით ბუნებრივია ისიც, რომ აპლიკანტმა ტესტირების დღესვე აირჩიოს სასურველი პროგრამა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მას თავიდანვე მხოლოდ ერთი პროფესიული პროგრამა ჰქონდა

დარეგისტრირებული. ტესტირების დღეს გადან-
ყვეტილების მიღებისას გუნდმა აპლიკანტს უნდა
შესთავაზოს გარკვეული დროით განმარტოება,
თუ სურვილი გაუჩნდება, ოჯახის წევრთან ან ახ-
ლობელთან კონსულტაცია.

აპლიკანტის გადანყვეტილება ფორმდება ოქმში,
დასტურდება მისი და დამსწრეების ხელმოწერით
და დასამტკიცებლად იგზავნება საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში.

შეჯამება

მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ პროფესიული
ტესტირების მიზანია შემდეგი: სპეციალური
საჭიროების მქონე ახალგაზრდა პირი გაცნო-
ბიერებული არჩევანის გადანყვეტილებამდე
ძალიან ახლოს უნდა გაეცნოს მისთვის საინ-
ტერესო პროფესიებს, გამოხატოს პირადი და-
მოკიდებულება, მოისმინოს სხვათა მოსაზრე-

ბები ამ პროფესიების დაუფლების პროცესის
შესახებ. ყოველივე ამის შედეგად და დიდი
ალბათობით, ერთი მხრივ, აპლიკანტს გაუჩ-
ნდება სწავლის მაღალი მოტივაცია, ხოლო,
მეორე მხრივ, პროფესიულ სასწავლებელს
ეჩნება სწავლების ხელშემწყობი შესაბამისი
რესურსები.

თავი 5:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სასწავლო პროცესი

ამ თავში განხილულია ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის მეორე ფაზა, რომელიც ხშირად პროფესიულ სასწავლებელში მიმდინარეობს და პროფესიული განათლების მიღებას გულისხმობს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს საუკეთესო ხარისხის განათლებისა და მისთვის შესაბამისი მომსახურების მისაღებად, შეიძლება დასჭირდეს სასწავლო პროცესის მოქნილად ორგანიზება და მართვა. ეს კი, თავის მხრივ, პროცესში სხვადასხვა პროფესიონალის შეთანხმებულ მოქმედებასა და დროის ეფექტურ ორგანიზებას ითხოვს. შესაბამისად, მოცემულ თავში დიდი ყურადღება ეთმობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის პროფესიული განათლების ეფექტურობის განმსაზღვრელ პრინციპებს, პროცესის დროში წინსწრებით ორგანიზებასა და გუნდური მუშაობის მნიშვნელობას.

მომზადება სწავლის დაწყებამდე

სწავლის დაწყებამდე, რაც შეიძლება ადრე, საჭიროა იმ ინფორმაციის ორგანიზება და გაანალიზება, რომელიც პროფესიულ სასწავლებელში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის შესახებ არსებობს.

ეს ინფორმაციაა:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის დასკვნა, რომელიც პიროვნების შესაძლებლობების შეფასების შედეგებსა და სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებულ

ბულ საჭიროებებსა და რეკომენდაციებს ასახავს;

2. ალტერნატიული ფორმით ჩატარებული პროფესიული ტესტირების დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ტესტირების პროცესის დროს გამოვლენილ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს;
3. პიროვნების სურვილისა და თანხმობის შემთხვევაში პროფესიულ სასწავლებელში მისვლამდე (მაგალითად, სკოლაში) შექმნილი მისი პორტფოლიო, რომელიც მოიცავს მონესრიგებულ ინფორმაციას მისი წარსული და აწმყო აქტივობებისა და საყვარელი საქმიანობების (ჰობის) შესახებ;

4. დამატებითი დოკუმენტაციის პაკეტი, რომელიც პიროვნებას შეუძლია წარადგინოს, როგორც საკუთარი პორტფოლიოს ნაწილი (ერთ-ერთი განყოფილება), ან დამოუკიდებლად. ეს ინფორმაცია შეიძლება ასახავდეს გამოცდილებას:
 - ფორმალური განათლების სფეროდან: ამონაწერი ზოგადი განათლების დაწესებულებაში არსებული პირადი საქმიდან, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა (რომლის წარმოებაც სკოლაში, საუკეთესო შემთხვევაში, VII კლასიდან იწყება), მასწავლებელთა, სხვა სპეციალისტთა თუ თანატოლთაგან მიღებული დახასიათებები/შეფასებები, ინფორმაცია მოსწრებისა და დასწრების შესახებ და ა. შ.
 - არაფორმალური განათლების სფეროდან: ინდივიდუალური განვითარების ან მომსახურების პროგრამა/გეგმა დღის ზრუნვის ცენტრიდან, რეკომენდაციის წერილი ან დახასიათება და ა. შ.
 - რეაბილიტაციის/მკურნალობის სფეროდან: ინდივიდუალური რეაბილიტაციის გეგმა, სამედიცინო ისტორიის ამონაწერი, სამედიცინო დანიშნულება და ა. შ.

არსებული ინფორმაციის ანალიზის მიზანია, სტუდენტთან ერთად და მისი მონაწილეობით ისე დაიგეგმოს სასწავლო პროცესი პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირმა სწავლის პერიოდი მაქსიმალურად ეფექტურად გამოიყენოს და რაც შეიძლება

სრულყოფილად დაეუფლოს პროფესიის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს; გარდა ამისა, დროისა და რესურსების ეფექტური გამოყენებით სწავლის დროსვე დაიწყოს სტუდენტის დასაქმებაზე ზრუნვისა და მუშაობის პროცესიც: ბაზრის მოკვლევა, პოტენციური დამსაქმებლების მოძიება და მათთან მოლაპარაკება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირსა და დამსაქმებლებს შორის შეხვედრების ორგანიზება და პირველი დასაქმების ადგილზე მიყოლა.

შესაბამისად, არსებული ინფორმაციიდან აუცილებელია განისაზღვროს პიროვნების მიღწევები, ძლიერი მხარეები, რესურსები, ეფექტური სწავლა-სწავლების სტრატეგიები;

და გამოწვევები, რისკები, ბარიერები, რამაც შეიძლება თავი იჩინოს პროფესიული განათლებისა თუ დასაქმების პროცესში.

ინფორმაციის გაანალიზებისას გასათვალისწინებელია ისეთი საკითხები, როგორებიცაა:

ტრანსპორტირება და მობილობა

როგორ ივლის სტუდენტი პროფესიულ დაწესებულებაში? აქვს თუ არა დამოუკიდებლად საჯარო ტრანსპორტით მგზავრობის უნარ-ჩვევა?

დროსა და სივრცეში ორიენტაცია

როგორ მოახერხებს დროულად შესვლას შესაბამის აუდიტორიაში/სახელოსნოში და შესვენების გამოყენებას?

როგორ მიაგნებს სასურველ აუდიტორიას, სახელოსნოს, საპირფარეოს და ა. შ.?

კომუნიკაცია

როგორ მოახერხებს სხვებთან (ჯგუფებთან, პედაგოგებთან) ურთიერთობას -მეტყველებით, თარჯიმნის დახმარებით თუ საკომუნიკაციო დამხმარე საშუალებებით (მაგალითად: სურათებით, სანერი დაფით...)?

საბაზო აკადემიური უნარ-ჩვევები

როგორ მოახერხებს სასწავლო მასალის შემეცნებას?

როგორ იყენებს კითხვის, წერის, თხრობის, მოსმენის, გაგება-გააზრების, ანგარიშის, საინფორმაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის უნარ-ჩვევებს?

სწავლა-სწავლების პრიორიტეტული სტრატეგიები

როგორია საუკეთესო სწავლა-სწავლების გზა?

რომელია ინსტრუქტაჟისა და შეძენილი კომპეტენციის დემონსტრირების საუკეთესო ფორმა? სწავლის ტემპი? სწავლის სტილი?

ასისტირება

საჭიროებს თუ არა დამატებით მხარდაჭერას, ასისტირებას? რაში და რა ტიპის მხარდაჭერა სჭირდება?

უსაფრთხოების ზომები

რა არის გასათვალისწინებელი სახელოსნოსა თუ ლაბორატორიაში, საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას?

საკონტაქტო პირი/პირები

ვის უნდა დაუკავშირდეთ განსაკუთრებულ შემთხვევაში?

პირველი კონტაქტი – გაცნობა

როგორ სურს სტუდენტს თავის წარდგენა ჯგუფთან? თავად გაცნობა სხვებს თუ სჭირდება ამაში ვინმეს დახმარება? სურს თუ არა, ჯგუფი წინასწარ მომზადდეს მასთან შესახვედრად? სურს თუ არა, მასთან ერთად დაიგეგმოს ჯგუფის გაცნობისა და შეამხანაგების აქტივობები?..

ამგვარ შეკითხვებზე პასუხები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გუნდმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთან ერთად სწავლის დაწყებამდე უცილობლად უნდა იცოდეს. თუ რომელიმე საკითხი გაუანალიზებელი და მოუგვარებელი დარჩება, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას ძალაუნებურად ხელი შეეშლება.

თუ ამ საკითხების მოგვარებაზე სწავლის დაწყების მომენტიდან დაიწყება ზრუნვა და არა მანამდე, მაშინ სტუდენტი ამოვარდება ისეთი მნიშვნელოვანი პროცესებიდან, როგორებიცაა: პირველი კონტაქტი – ჯგუფელებისა და პედაგოგების გაცნობა, ჯგუფის შეამხანაგება, წესებისა და სწავლა-სწავლების სტილისა და საორგანიზაციო საკითხების გარკვევა და თავად სასწავლო პროცესი.

გარდა სტუდენტის შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავებისა, საჭიროა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზიც. ამ შემთხვევაში არსებითია პროფესიის მახასიათებლებისა და პროფესიის დაუფლების პროცესის განხილვა და დაკავშირება სტუდენტის ცხოვრებისეულ მიზნებთან.

შესაბამისად, მოსამზადებელი და დასამუშავებელია შემდეგი მასალა:

1. პროფესიული სტანდარტის დოკუმენტი, რომლის დაუფლებასაც სტუდენტი აპირებს. ეს დოკუმენტი ასახავს: აუცილებელ პროფესიულ მოთხოვნებს, პროფესიულ კომპეტენციებს – მოვალეობებსა და ამოცანებს; პროფესიულ მასალას და ხელსაწყო-დანადგარებს; შეფასების სტანდარტსა და კრიტერიუმებს; კომპეტენციის დადასტურების მტკიცებულებასა და პიროვნულ თვისებებს;
2. პროფესიული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში მითითებულია კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები (სავალდებულო ზოგადი, სავალდებულო პროფესიული და არჩევითი მოდულები), რომლებსაც სტუდენტი გაივლის;
3. თითოეული მოდული, რომლის გავლაც იგეგმება აღნიშნული პროფესიული პროგრამის ფარგლებში. ამ დოკუმენტებში მითითებულია ყოველი მოდულის სწავლის შედეგი, შესრულების კრიტერიუმი და მტკიცებულებები, სასწავლო დატვირთვა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები), სასწავლო გარემო, რეკომენდებული ტექნიკური აღჭურვილობა, მასალა, ნედლეული და სხვა.
4. სასწავლო განრიგი და ცხრილი (მოდულებისა და საწარმოო პრაქტიკის ვადები და განრიგი, შუალედური და საბოლოო შეფასებების ვადები);
5. პროფესიულ სასწავლებელში მოქმედი წესები და არსებული მომსახურებები.

ზემოთ აღწერილ ინფორმაციას გაცნობიან, განიხილავენ და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით სამოქმედო გეგმას შეიმუშავენ პროფესიულ სასწავლებელში სტუდენტთან ერთად მომუშავე გუნდის წევრები იმ შეხვედრის ფარგლებში, რომელსაც მეშვიდე თავში უფრო დეტალურად განვიხილავთ. აქ კი მოკლედ აღვნიშნავთ, რომ შეხვედრის/შეხვედრების შედეგად იქმნება გეგმა, შემუშავებული გუნდის თითოეული წევრის: სტუდენტის, მასწავლებლების, ინკლუზიური განათლების სპეციალისტისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლის მონაწილეობით. შემუშავებული გეგმა წარმოადგენს სასწავლო პროცესის დროს მონაწილე მხარეების მოქმედების მკაფიო, არგუმენტირებულ და დოკუმენტირებულ ნაბიჯებს, რათა ეს პროცესი სტუდენტზე მორგებულად წარიმართოს.

მიზანშეწონილია, სასწავლო პროცესის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყოს და მიმდინარეობდეს ალტერნატიული ტესტირებისა და შემაჯამებელი შეხვედრების პარალელურად (ტესტირების მე-4 და მე-5 ეტაპი) და ეფუძნებოდეს ტესტირების პროცესის დროს გამოვლენილ ტენდენციებს. ამ შემთხვევაში სასწავლო პროცესის დაწყებამდე საკმარისი დრო დარჩება დაგეგმვისა და მომზადებისთვის. რეკომენდებულია, სწავლის დაწყებამდე ერთი თვე მაინც იყოს პროფესიული განათლების გუნდის განკარგულებაში იმისთვის, რომ პროფესიული სასწავლებელი მომზადდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მისაღებად: საჭიროების შემთხვევაში მოარგოს ფიზიკური გარემო, მოაგვაროს ტრანსპორტირების, თარჯიმნის, მობილობის სპეციალისტისა თუ სხვათა მომსახურების მიღების საკითხები, მოამზადოს სასწავლო მასალა შესაბამისი ფორმით (აუდიოჩანაწერები, ბრაილის

შრიფტით დაბეჭდილი მასალა, თვალსაჩინოებები და ა. შ.).

გარდა ამისა, ხშირად თავად სტუდენტსაც სჭირდება სწავლის დაწყებისთვის მომზადება. მაგალითად, საჭირო ხდება დილის ახალ რუტინასთან შეჩვევა: ადრე გაღვიძების, ჰიგიენური, მედიკამენტური პროცედურებისა თუ ტრანსპორტირების დროში განსხვავებულად ორგანიზება.

სწავლის დაწყებამდე, მოსამზადებელ საკითხებზე მუშაობისას, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ კონკრეტულ პროფესიულ სტუდენტს არანაირი დამატებითი მომზადება ან მომსახურება არ სჭირდება და პროფესიულ დაწესებულებაში არსებული უნივერსალური დიზაინით მოწყობილი სასწავლო გარემო, თითოეული სტუდენტის წინსვლაზე ორიენტირებული მასწავლებელი და მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი სავსებით საკმარისია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი სრულად და ხარისხიანად დაეუფლოს არჩეული პროფესიის კომპეტენციებს და წარმატებით დასაქმდეს.

არცთუ იშვიათად სტუდენტისთვის საჭირო ხდება დამატებითი მომსახურების გაწევა. მაგალითად: ტრანსპორტირება საცხოვრებელი ადგილიდან სასწავლებელში და უკან, ჟესტური ენის თარჯიმნის მომსახურება, სივრცეში ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის მომსახურება და ა. შ. ასეთ შემთხვევაში არსებითია სწავლის დაწყებამდე პიროვნების აუცილებელი მომსახურებით უზრუნველყოფა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პროფესიული სასწავლებლის გუნდიც და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირიც თანხ-

მდებიან, რომ სწავლის პროცესის დაწყებისთვის მოსამზადებლად გაცილებით უფრო მეტი დროა საჭირო, ვიდრე სწავლის დაწყებამდე დარჩენილი. ასეთ სიტუაციაში ოპტიმალური გამოსავალი შეიძლება იყოს ის, რომ პროფესიულმა სასწავლებელმა პოტენციურ სტუდენტთან შეთანხმებითა და ყველა დადგენილი პროცედურის დაცვით ჩარიცხოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი სასწავლებელში და, ამავე დროს, არსებული ბარიერების მითითების საფუძველზე, შემდეგ მიღებამდე შეუჩეროს მას სტუდენტის სტატუსი. ამის მიზეზი საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში პოტენციური სტუდენტის საჭიროებების მოგვარების პრაქტიკის არარსებობაა. ამ ეტაპზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვერ გამოყოფს რესურსებსა და თანხას პირის საჭიროებისთვის მანამდე, ვიდრე ის სტუდენტის ფორმალურ სტატუსს არ მიიღებს. შესაბამისად, სტუდენტის სტატუსის მინიჭებითა და მისი დროებითი შეჩერებით, სასწავლებელი შემდეგ მიღებამდე არსებულ დროს გამოიყენებს საიმისოდ, რომ: ა) დაუყოვნებლად წარადგინოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ყველანაირი დოკუმენტი და არგუმენტაცია სტუდენტისთვის გარემოს მოსამზადებლად საჭირო მხარდაჭერის მისაღებად; ბ) განხორციელებული სამუშაოების შედეგად, სტუდენტის სტატუსის აღდგენის დროისთვის მას სრულად მომზადებული დახვდეს.

მნიშვნელოვანია, პროფესიულმა სასწავლებელმა აპლიკანტის საჭიროებები დროულად გააანალიზოს და შესაბამისი მხარდაჭერის მისაღებად დროულად მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. საყურადღებოა, რომ სტუდენტის მიღების გადავადება

გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშკარად ჩანს, რომ სწავლის პერიოდი ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში დაიკარგება და სტუდენტი სასწავლო პროცესის მიღმა აღმოჩნდება. მაგალითად, პროფესიული სასწავლებელი ვერ მოასწრებს სახელოსნოსა და სველი წერტილების ადაპტირებას (დოკუმენტში ახსნილი უნდა იყოს ამის მიზეზები), შესაბამისად, სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი არ იქნება სასწავლო გარემო.

სტუდენტს, მის ოჯახსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის უწყებას სრული წარმოდგენა რომ შეექმნას სტუდენტის სასწავლო პროცესის გადავადების მიზეზებსა და გასატარებელ ღონისძიებებზე, მნიშვნელოვანია ტრანზიციის გეგმის შედგენა, ან ასეთის არსებობის შემთხვევაში, მას დაემატოს შესასრულებელი ამოცანების ნუსხა. რასაკვირველია, ყოველივე ეს სტუდენტის თანხმობით უნდა განხორციელდეს.

ტრანზიციის გეგმა უნდა მოიცავდეს სრულ ინფორმაციას შესასრულებელი ამოცანების გეგმისა და განრიგის, საჭირო რესურსებისა და პასუხისმგებელ პირთა შესახებ. გადაწყვეტილებები უნდა იყოს მკაფიოდ არგუმენტირებული და მას ერთვოდეს გუნდური შეხვედრის ოქმი.

ასეთ შემთხვევაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიურ განათლებაზე მომუშავე დეპარტამენტი განიხილავს შესულ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტაციას; გაანალიზებს სიტუაციას, საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს შესაბამის რესურსს არსებული ბარიერების გადასალახად, დაგეგმავს და მონიტორინგს გაუწევს პროცესს.

სწავლის პროცესი

სტუდენტზე ორიენტირებული განათლების მიდგომა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისა და მასწავლებლებისგან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა მდგომარეობის გათვალისწინებას სწავლების პირველივე დღიდან მოითხოვს. შესაბამისად, გადამწყვეტია სწავლის დასაწყისშივე იმ რესურსების, სტრატეგიებისა და დამხმარე საშუალებების გამოყენება, რომელთა აუცილებლობა ჯერ კიდევ სწავლის დაწყებამდე – რეგისტრაციისა და პროფესიული ტესტირების ეტაპზე – გამოიკვეთა.

ამავე დროს, შესაძლებელია, პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვის პირველ ეტაპზე (რეგისტრაციის, ექსპერტთა მიერ ახალგაზრდა პირის შეფასებისა და პროფესიული ტესტირების დროს) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის არ გამოვლინდეს სასწავლო პროცესში რაიმე ცვლილების შეტანის აუცილებლობა

თუმცა, ამის მიუხედავად, მნიშვნელოვანია, პროფესიული განათლების მასწავლებელი მუდმივად მზად იყოს, რომ არ გამოეპაროს სტუდენტის სწავლა-სწავლებისას გამოვლენილი სირთულეები და დაუყოვნებლივ აღმოუჩინოს მას დამატებითი მხარდაჭერა. საგანმანათლებლო საჭიროებებზე დროული და ადეკვატური რეაგირებისთვის მასწავლებელი უწყვეტ რეჟიმში უნდა აფასებდეს სტუდენტს (ეს საკითხი დეტალურად მერვე თავშია აღწერილი); განსაზღვრავდეს, რამდენად უახლოვდება სტუდენტი პროფესიის კომპეტენციასა და მოდულის ფარგლებში აღწერილ სწავლის შედეგებს; რა უწყობს ხელს და რა აფერხებს მის პროგრესს.

რატომ უნდა გვაქვს სამართლებრივი საჭიროებების გამოვლენის შემთხვევაში?

ზოგიერთი სტუდენტის სწავლების პროცესში, შესაძლოა, მასწავლებლის ან ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისთვის ნათელი გახდეს, რომ სტუდენტის მიერ მოდულის კონკრეტული სასწავლო შედეგების ან თავად მოდულის დაუფლების პროცესი გართულებულია: სტუდენტს გაცილებით დიდი ძალისხმევა და დრო სჭირდება სწავლის შედეგის მისაღწევად, ვიდრე ეს მოდულის ფარგლებშია მოაზრებული. ბუნებრივია, მასწავლებელს მართებს გამოვლენილ საჭიროებაზე დროული რეაგირება.

გთავაზობთ მასწავლებლის მხრიდან რეაგირების თანმიმდევრულ ნაბიჯებს, რომლებიც საგანმანათლებლო საჭიროების თავისებურების გათვალისწინებით წარიმართება.

I ნაბიჯი

პირველ რიგში, მასწავლებელმა სასწავლო პროცესი უნივერსალური დიზაინის მიდგომის გათვალისწინებით უნდა შეაფასოს და გააანალიზოს, მოდულის მიმდინარეობისას რამდენად მრავალფეროვან გზებს იყენებს სტუდენტთა მოტივირებისთვის, სწავლების/ინსტრუქტაჟისა და შეფასებისთვის, რათა სასწავლო პროცესი ხელმისაწვდომი იყოს განსხვავებული სწავლის სტილის მქონე ყველა სტუდენტისთვის.

ობიექტური შეფასების საფუძველზე, თუკი მასწავლებელი აღმოაჩენს, რომ სწავლა-სწავლების პროცესს შედარებით რუტინული ხასიათი აქვს, მან უნდა გაამრავალფეროვნოს საგანმა-

ნათლებლო პროცესი შესაბამისი მეთოდებით – გაამდიდროს ლექციები პრაქტიკული აქტივობებით, სასწავლო რესურსებით, თვალსაჩინოებებით, ძირითადი ცნებებისა თუ საკითხების განმარტებებით, მოკლე ჩანაწერებით, სქემებით და სხვა; მისცეს სტუდენტს დავალებებისა და ამოცანების კომპიუტერის გამოყენებით შესრულების შესაძლებლობა; გააცნოს მისთვის ხელმისაწვდომი თემატური ელექტრონული გვერდები; თავად შექმნას და გამოიყენოს დამატებითი რესურსები (ციფრული და ელექტრონული მასალა) და სხვა.

სასწავლო პროცესის უნივერსალური დიზაინის პრინციპებით განხორციელებისას შედეგი გაცილებით უფრო ხელმისაწვდომი გახდება ყველა სტუდენტისთვის, მთლიანად ჯგუფი, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი, გამოავლენს უკეთესი მიღწევის დონეს (UNESCO, 2005, 2009).

შესაბამისად, უნივერსალური დიზაინის პრინციპები შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს სტუდენტის საგანმანათლებლო საჭიროებასთან გასამკლავებლად და მასწავლებელს სხვა დამატებითი ღონისძიებების განხორციელება აღარ დასჭირდეს.

II ნაბიჯი

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი დაადგენს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის უნივერსალური დიზაინის მიდგომით შექმნილი მოდული არ არის საკმარისი პირობა მის დასაძლევად და სტუდენტს დამატებითი ხელშეწყობა სჭირდე-

ბა, ის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ასისტენტთან ერთად (შესაძლებელია, ამ პროცესში დამატებით, კონკრეტული სპეციალისტის, მაგალითად, ოკუპაციური თერაპევტის, ჩართვის საჭიროებაც გაჩნდეს) განიხილავს სტუდენტისთვის დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროებასა და შესაძლებლობას. ამ ტიპის ცვლილებებმა, შესაძლოა, მოდულის შინაარსი და სწავლა-სწავლების/ინსტრუქტაჟის პროცესი მნიშვნელოვნად ხელმისაწვდომი გახადოს კონკრეტული სტუდენტისთვის. ამის მაგალითები შეიძლება იყოს როგორც მაღალტექნოლოგიური ელექტრონული, რომლითაც ზურგის ტვინის დაზიანების მქონე ადამიანი გადაადგილდება, ან ტექსტის გახმოვანების პროგრამა, რომელსაც მხედველობის სირთულეების მქონე ადამიანი იყენებს, ასევე მარტივი – სამუშაო იარაღის გამსხვილებული ტარი მათთვის, ვისაც ხელის მტევნის დაზიანების გამო თითებით მყარად მოჭიდება უჭირს.

აღნიშნულმა მხარდაჭერამ, შესაძლოა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს სტუდენტის მიღწევის დონე და ის უფრო იოლად გაუმკლავდეს მოდულით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სწავლებისას უნივერსალური დიზაინის პრინციპებისა და დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა თუ სწავლის სირთულეების მქონე სტუდენტების უმრავლესობა მოდულს თუ სასწავლო პროგრამას, მასში არსებული მოქნილობის ფარგლებში დაშვებული მცირე ცვლილებით ან საერთოდ მის გარეშე, დაძლევის.

III ნაბიჯი

შედარებით იშვიათად, ზოგიერთი სტუდენტის მიღწევის დონე სწავლების უნივერსალური დიზაინისა და დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების პირობებშიცკი შეიძლება ვერ აღწევდეს განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ამ შემთხვევაში სტუდენტს სწავლის პროცესში წინსვლა რომ ჰქონდეს, შესაძლებელია, საჭირო გახდეს სასწავლო პროცესის ადაპტაცია, რაც სასწავლო გარემოსა და პროცესის ინდივიდუალურად მორგებასა და სასწავლო მიზნების ინდივიდუალურად დაზუსტებას გულისხმობს.

საგანმანათლებლო პროცესის ადაპტაცია აუცილებელი ხდება მაშინ, როდესაც სტუდენტს სწავლის მიზნების მისაღწევად მეტი დრო და განსხვავებული გზების გამოყენება სჭირდება; მასწავლებელი მუშაობისას რწმუნდება, რომ სტუდენტი ამ ეტაპზე სასწავლო პროგრამის მოთხოვნებისა და სწავლის შედეგების სრულად დაძლევისთვის მზად არ არის, შედეგებს მხოლოდ ნაწილობრივ აღწევს.

ამ დროს სტანდარტული საგანმანათლებლო პროგრამისა და მოდულების ფარგლებში მასწავლებელი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და კონკრეტული სტუდენტისთვის აზუსტებს მისაღწევ სწავლის შედეგებს, ამ შედეგების მიღწევის გზებსა და გარემო პირობებს.

ადაპტაციის საფუძველზე გაიზრდება სტუდენტის მხრიდან სასწავლო პროგრამის დაძლევის შანსი და მოიმატებს სასწავლო პროცესის ხელმისაწვდომობა.

მომდევნო თავში დეტალურად არის განხილული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი შედეგ-ნა-განხორციელების წესები.

IV ნაბიჯი

იშვიათად, მაგრამ შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც სწავლა-სწავლებისას უნივერსალური დიზაინის პრინციპების, ტექნოლოგიური მხარდაჭერისა თუ მოდულის სწავლების ინდივიდუალური გეგმის მიუხედავად, მულტიდისციპლინურ გუნდს (მასწავლებელი, თავად სტუდენტი და დაწესებულების სხვა სპეციალისტები) მიაჩნდეს, რომ კონკრეტული მოდული/ები ამ ეტაპზე მეტისმეტად დიდ ძალისხმევას მოითხოვს სტუდენტისგან და სხვა, მისთვის უფრო პრიორიტეტული მოდულების დაუფლების პროცესს აფერხებს. ამ დროს აუცილებელია საერთო, გუნდურ შეხვედრაზე მსჯელობა და სტუდენტთან და მის კანონიერ წარმომადგენელთან ერთად გადანყვეტილების მიღება შესაძლო ალტერნატივებზე – ხომ არ არის უპრიანი:

- კონკრეტული მოდულის ჩანაცვლება სხვა მოდულით;
- კონკრეტული მოდულის ჩანაცვლება მისი შესაბამისი დატვირთვის სანარმოო პრაქტიკით;
- სასწავლო პროცესის გახანგრძლივება – როდესაც სტუდენტი მის მიერ გარკვეული მოდულების, მოდულების კონკრეტული სწავლის შედეგებისა თუ მისთვის დაზუსტებული ინდივიდუალური სწავლის შედეგების დაუფლების შემდეგ, ანდა სწორედ მათ

დასაუფლებლად, შეგირდად ან სტაჟიორად საქმდება და გარკვეული პერიოდის შემდეგ (6 თვე, 1 ან 1,5 წელი) ბრუნდება სასწავლო დაწესებულებაში განმტკიცებული ან ახლად შეძენილი კომპეტენციების აღიარებისა ანდა გამოტოვებული მოდულების დაუფლების, სწავლის გაგრძელების მიზნით.

ეს განსაკუთრებით აქტუალური ხდება მაშინ, როცა სტუდენტის წინსვლა მნიშვნელოვნად წელი ტემპით ხასიათდება და მას გაცილებით მეტი დრო და პრაქტიკა სჭირდება პროფესიული კომპეტენციის დასაუფლებლად. ამ შემთხვევაში როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მასალის ასათვისებლად ყველაზე ეფექტურია უშუალო პრაქტიკა იმ ბუნებრივ გარემოში, რომელშიც ესა თუ ის საქმიანობა სრულდება (EUSE, 2010; Granados, 2012).

შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების სწავლებისას არცთუ იშვიათად რეკომენდებულია თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარჩვევის ერთდროულად დაუფლება პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციაში. ასეთი, „ჩაშენებული,“ პრაქტიკით სწავლა-სწავლების მიდგომა, როგორც წესი, ყველა სტუდენტისთვის ეფექტურია. თუმცა, განსაკუთრებულ ყურადღებას უსაფრთხოების საკითხების დაგეგმვა მოითხოვს, რაშიც მასწავლებელს კოლეგის, დამხმარე პერსონალის თუ სხვა სტუდენტის დახმარება ან ასისტირება შეიძლება დასჭირდეს.

სტუდენტის სასწავლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებით ზემოთ აღწერილი გადანყვეტილება ახალგაზრდა პირის ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის ნაწილი ხდება და მასში აისახება.

ამ შემთხვევაში, ვიდრე სტუდენტი ანდა მისი კანონიერი წარმომადგენელი საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს, მნიშვნელოვანია მისი კარგად ინფორმირება იმის შესახებ, რომ სტუდენტმა კონკრეტულ ეტაპზე შესაძლოა სრული პროფესიული კვალიფიკაცია ვერ მიიღოს.

სტუდენტის სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას მასწავლებელმა, შესაძლებელია, ზემოთ ჩამოთვლილი ნაბიჯები ერთდროულად გამოიყენოს. მაგალითად, სასწავლო პროცესი დააფუძნოს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს, სტუდენტს შესთავაზოს დამხმარე ტექნოლოგიები და სწავლების პროცესი წარმართოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე.

ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებელი ყურადღებით აკვირდებოდეს სტუდენტის მიღწევებს; ამჩნევდეს და ანეიტრალდებდეს წინსვლის შემაფერხებელ ბარიერებს; აფასებდეს სტუდენტის პროგრესს; სასწავლო პროცესის ადაპტაციასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს იღებდეს მტკიცებულებებისა და არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე და შესაბამისად ასახავდეს დოკუმენტაციაში.

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ პრაქტიკაში არსებობს შემთხვევები, როდესაც სწავლებისას სასურველი ეფექტის მიღწევა რთულდება, შერჩეული სტრატეგიები და მეთოდები ვერ ამართლებს, მასწავლებელს უიმედობის გრძნობა და ეჭვები უჩნდება, რომ სტუდენტი „ვერასდროს“ დაეუფლება გარკვეულ კომპეტენციას. ეს სწორედ ის მომენტი, როდესაც ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებთან მიბრუნება ხდება საჭირო (იხ. გზამკვლევის თავი 1).

იმისთვის, რომ მასწავლებელი სტუდენტის მიმართ, ერთი მხრივ, ოპტიმისტურად, ხოლო, მეორე მხრივ, რეალისტურად განეწყოს, მას შეიძლება დაეხმაროს შემდეგი ფაქტების გაცნობიერება:

- თითოეული ადამიანის პოტენციალი უსაზღვროა; მოსაძებნია ამ პოტენციალის ამოქმედების გზა, რაც პედაგოგიკის მთავარი გამოწვევაა;
- სწრაფი ტექნოლოგიური განვითარების პირობებში შესაძლებელია იმ ინოვაციური დამხმარე საშუალებების შექმნა და გამოყენება, რომლებიც განსხვავებული შესაძლებლობის მქონე პირების ფუნქციონირებას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს;
- შესაბამისი მოტივაციის არსებობის პირობებში, პრაქტიკა, რომელიც დაბალანსებულ ძალისხმევას, გახანგრძლივებულ დროსა და ბუნებრივ სამუშაო კონტექსტს გულისხმობს, საუკეთესო და მეტად ეფექტური საშუალებაა საიმისოდ, რომ ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე ადამიანი ნებისმიერი რამ შეისწავლოს.

გარდა ამისა, მასწავლებელმა უნდა გადახედოს თავის დამოკიდებულებას, შეაფასოს საკუთარი საჭიროებები და მოიძიოს შესაბამისი მხარდაჭერა. მისთვის დახმარება იქნება, თუ საკუთარ განცდებთან მარტო არ დარჩება და აზრს სხვა კოლეგებს, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს გაუზიარებს; მოითხოვს გუნდური შეხვედრის ორგანიზებას, სპეციფიკური ტრენინგის გავლას ანდა შესაბამისი დარგის ექსპერტის კონსულტაციას.

მასწავლებელმა არ უნდა დაკარგოს იმედი, მუდმივად უნდა ეძებოს სტუდენტთან ერთად მისი ძლიერი მხარეები, არსებული პოტენციალის გამოხატვის გზები, მათ გარშემო არსებული რესურსები და თანამოაზრეები, რომელთა დახმარებითაც ხელი შეეწყობა სტუდენტისთვის სასურველი ცხოვრებისეული მიზნების მიღწევას.

სტუდენტის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მიღებისას მასწავლებელს ეხმარება ისიც, რომ სასწავლო პროცესს აკვირდებიან აგრეთვე ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ასისტენტი ანდა ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. ისინი რეგულარულად ესწრებიან სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ მოდულებს და აფასებენ, თუ რამდენად წარმატებით, თანმიმდევრულად და მოქნილად მუშაობს სტანდარტული სასწავლო გეგმა; სასწავლო პროცესში სტუდენტის უფრო ეფექტურად ჩართვის მიზნით ხომ არ არის საჭირო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, დამატებითი სასწავლო რესურსის, სტრატეგიის ან დამხმარე საშუალების გამოყენება. ამასთან ერთად, ისინი იმასაც აფასებენ, როგორია სტუდენტის სწავლა-სწავლების საუკეთესო პრაქტიკა და ხომ არ არის ერთ ან რამდენიმე მოდულში მიღებული პროგრესისა და გამოყენებული მეთოდების გუნდში გაზიარებისა და სხვა მოდულებში გადატანის საჭიროება (მაგალითისთვის იხ. ჯგუფში მუშაობისას სტუდენტზე დაკვირვების ანკეტა, დანართი №3).

სტუდენტის სასწავლო პროცესის ადაპტაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადანყვეტილებას იღებს პროფესიულ სასწავლებელში არსებული გუნდი და ეს აუცილებლად ფორმდება ოქმის სახით. ოქმი სტუდენტის ინდივიდუალური ტრანზიციის (თუ პროგრამას ეხება) ანდა საგანმანათლებლო გეგმის (თუ კონკრეტულ მოდულს ან კურსს ეხება) ნაწილი ხდება და მიღებულ გადანყვეტილებაზე გუნდის თითოეული წევრის არგუმენტაციას ასახავს. შესაბამისად, გუნდი იღებს პასუხისმგებლობას, მიჰყვეს გეგმაში გაფორმებულ გადანყვეტილებებს და განახორციელოს პროცესის მონიტორინგი.

გუნდის წევრი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი მონიტორინგის მიზნით ესწრება თითოეული მოდულისა თუ სასწავლო კურსის, სულ მცირე, ერთ მეცადინეობას. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის წევრები გარკვეული პერიოდის განმავლობაში სასწავლო პროცესზე დაკვირვებითა და გუნდურ შეხვედრებზე მონაწილეობით ახორციელებენ პროცესის გარე მონიტორინგს და კონსულტაციას უწევენ პროფესიულ სასწავლებელსა და მათ თანამშრომლებს.

დაბოლოს, უმნიშვნელოვანესია თავად სტუდენტის ინფორმირება იმის თაობაზე, თუ ვის და როდის შეიძლება მიმართოს სწავლის პროცესში წარმოქმნილი სირთულეების დროს; როგორ შეიძლება გახდეს მისთვის აქტუალური საკითხის გუნდში განხილვის ინიციატორი; ვინ შეიძლება დაეხმაროს პროფესიული სასწავლებლის გარეთ არსებული რესურსების მოძიებაში.

მოქალაქე სწავლის დასრულებისთვის

სწავლის პროცესის დასრულებისთვის მზადებაც დროულად უნდა დაიწყოს. რთულია კონკრეტული ვადის მითითება, რადგან ის თითოეული სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობის შესაბამისად განსხვავებული იქნება. თუმცა სასურველია, სასწავლო პროგრამის 2/3-ის გავლის შემდეგ პროფესიული სასწავლებლის გუნდმა უკვე საგანმანათლებლო პროცესის დასრულებისთვისაც დაიწყოს მზადება.

სწავლის პროცესის დასრულებისთვის განსახილველია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები და მათი მიმართება, ერთი მხრივ, პროფესიის სტანდარტის მოთხოვნებთან, ხოლო, მეორე მხრივ, სტუდენტის ცხოვრების მიზნებთან.

შესაბამისად, ინკლუზური განათლების მხარდამჭერი გუნდი სტუდენტთან, პროფესიის მასწავლებლებსა და ადმინისტრაციასთან ერთად განიხილავს თითოეული სტუდენტის კვალიფიკაციის მინიჭების საკითხს. გუნდი მსჯელობს და აფასებს, თუ რას მიაღწია სტუდენტმა: არის ეს სრული კომპეტენციის დონე, თუ კომპეტენციების ნაწილი, და კონკრეტულად რომელი; ან ხომ არ ხდება ისე, რომ მხოლოდ ერთეულ სასწავლო შედეგებს მიაღწია სრულად ან ნაწილობრივ, რაც არ აკმაყოფილებს ნაწილობრივი კვალიფიკაციის მინიჭების პირობას და შესაძლებლობას იძლევა, გაიცეს მხოლოდ ცალკეული სასწავლო შედეგების მიღწევის დამადასტურებელი ცნობა.

გუნდი აანალიზებს იმასაც, თუ როგორ უნდა დაადასტუროს სტუდენტმა თავისი კომპეტენციები; ხომ არ არის საჭირო საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის შეფასების მეთოდე-

ბის შეცვლა ან მოდიფიცირება და მათი შეფასება მიღწეული კომპეტენციების პრაქტიკული დემონსტრირების საფუძველზე. მაგალითად, თუ სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების დაცვის წესები გარკვეული მოდულის ფარგლებში ტესტით ფასდება, კონკრეტული სტუდენტისთვის, შესაძლოა, ტესტის შევსების ნაცვლად დაიგეგმოს სახელოსნოში უსაფრთხოების წესების პრაქტიკული დემონსტრირება (რაიმე რისკის არსებობის შემთხვევაში უსაფრთხოების ზომების გაძლიერებული დაცვით).

ამავე დროს, სტუდენტთან ერთად ჯამდება პრაქტიკის, საწარმოო პრაქტიკისა თუ შეგირდობის ადგილებზე მიღებული გამოცდილება. სრული სურათის მისაღებად სტუდენტის პორტფოლიოში ორგანიზებულად თავს იყრის სასწავლო და პრაქტიკის პროცესში შექმნილი არტეფაქტები, მიღებული რეკომენდაციები და შეფასებები. იდეალურ შემთხვევაში საბოლოო შეფასების განსაზღვრა პორტფოლიოს მონაცემებს დაეფუძნება.

აღსანიშნავია, რომ სწორედ სწავლის დასრულებამდე, და არა სწავლის დასრულების შემდეგ, იწყება სტუდენტისთვის შესაბამისი სამუშაოს მოძიებასა და შერჩეულ დასაქმების ადგილზე მოქნილად გადასვლისთვის (ტრანზიციისთვის) ზრუნვა. რაც, ფაქტობრივად, ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის მესამე ფაზის დასაწყისია. ტრანზიციისთვის თავად სტუდენტი და დამსაქმებელიც უნდა მომზადდნენ.

ამ პროცესში, სტუდენტისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტთან ერთად თავიანთი წვლილი შეაქვთ და მონაწილეობას იღებენ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და მასწავლებლები (განსაკუთრებით ფასეულია

პრაქტიკისა და მენარმეობის მასწავლებელთა ნვლილი). გუნდი აქტიურად მუშაობს სამუშაო ადგილისა და დასაქმების ფორმის განსაზღვრაზე და საჭიროების შემთხვევაში დასაქმების ადგილზე მიჰყვება სტუდენტს. გარდა ამისა, დასაქმების ადგილზე ტრანზიციისათვის მზადების ეტაპზე, სტუდენტმა და პროფესიული სასწავლებლის გუნდმა დახმარებისთვის შესაძლებელია დასაქმების სხვადასხვა პროგრამასაც მიმართოს.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტის მიღწევების შესაბამისად, მრავალფეროვანი შეიძლება იყოს დასაქმების ადგილიც. დასაქმების შესაძლებლობის წარმოდგენილი კონტინუმი მუშაობისას სხვადასხვა ფორმის მხარდაჭერას ასახავს, დანყებული კონკურენტული შრომის ბაზრით – დიდი, საშუალო თუ მცირე სანარმო ან სახელოსნო და თვითდასაქმება; დასრულებული ანაზღაურებადი შეგირდობით, მხარდაჭერით დასაქმებით, სოციალურ სანარმოში დასაქმებითა და სხვა.

დასაქმების ადგილის შერჩევას წინ უძღვის ამ ადგილის დათვალიერება. დამსაქმებელთან სტუდენტის საცდელი ვადით, შემდეგ კი ხანგრძლივად დასაქმების შესაძლებლობაზე მოლაპარაკება მიმდინარეობს. დამსაქმებლისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში (იქნება ეს თანხმობა ხანმოკლე თუ ხანგრძლივი დროით დასაქმებაზე/სტუდენტობაზე ან მოხალისეობაზე) იწყება ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმება და გაფორმებაზე ზრუნვა. მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იყოს როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულის ინტერესები და უფლებები.

დასაქმების ადგილზე ტრანზიციამდე გუნდი სტუდენტთან ერთად უნდა განიხილავდეს ყვე-

ლა დეტალს. მაგალითად, მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს – სტუდენტი დამოუკიდებლად გეგმავს დამსაქმებელთან ურთიერთობას და სამუშაო ადგილზე ადაპტირებას, თუ მას ურჩევნია სპეციალისტის მიყოლა დასაქმების ადგილზე. მიყოლის მიზანი შეიძლება იყოს:

- სამუშაო გარემოს ადაპტირების საჭიროების შეფასება სტუდენტთან ერთად;
- მხარდაჭერა სოციალური კონტაქტების დამყარებისას – იგულისხმება იმავე საკითხების განხილვა, რაც არსებობდა პროფესიული განათლების დაწყებამდე. სტუდენტმა უნდა განსაზღვროს, სჭირდება თუ არა ასისტირება თანამშრომლების წინაშე თავის წარდგენისას, ურჩევნია დამოუკიდებლად გააკეთოს ეს, თუ სხვამ მოამზადოს თანამშრომელთა გუნდი მასთან ურთიერთობისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის, განმეორდეს იგივე სცენარი, რაც ჯგუფულების გაცნობისას. სტუდენტმა შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა გამოიჩინოს ამ ეტაპზე, ან პირიქით, მიიჩნიოს, რომ მხარდაჭერა სჭირდება. საჭიროების შემთხვევაში დასაქმების ადგილზე ტრანზიციისას სტუდენტს მხარდაჭერას მულტიდისციპლინური გუნდის რომელიმე წევრი, მაგალითად, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, გაუწევს);
- მომხმარებელსა და პარტნიორებთან ურთიერთობისას მხარდაჭერის საჭიროების შეფასება და განსაზღვრა გულისხმობს იმის გაანალიზებას, რამდენად უწევს კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელს ან კონკრეტულ სამუშაო ადგილზე დასაქმებულ

პირს ურთიერთობა მომხმარებელთან. შესაბამისად, უნდა გამოიკვეთოს, არსებობს თუ არა რაიმე გასათვალისწინებელი საკითხები, რომლებიც რეაგირებას საჭიროებს. მაგალითად, როგორ მოახერხებს სტუდენტი (რომელიც ყველაზე უფრო ენის თარჯიმნის მეშვეობით სწავლობს სტილისტიკის ან ოფისის მენეჯერის პროფესიას) მომხმარებელთან კომუნიკაციას, მაგალითად, ინფორმაციის დაზუსტებას კლიენტის მომსახურებისას? აღნიშნულ ეტაპზე მართებული გადაწყვეტილების მისაღებად სტუდენტი ნათლად უნდა აფასებდეს საკუთარ ძლიერ მხარეებს, არსებულ რესურსებს, ურთიერთობის დამყარების მრავალფეროვან სტრატეგიასა თუ დახმარების საჭიროებას.

კონტრაქტის საკითხების განხილვა და დაზუსტება.

ხშირია შემთხვევები, როდესაც დამსაქმებელი ადვილად თანხმდება ადამიანის საცდელი ვადით აყვანას. თუმცა, აუცილებელია წინასწარ მოლაპარაკება და კონტრაქტში იმის დაფიქსირება, რომ საცდელი ვადის წარმატებით გავლისას პირი დასაქმდება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამსაქმებელსა და სტუდენტთან ერთად საცდელი ვადის წარმატებით გავლის კრიტერიუმების შემუშავება და ხანგრძლივობის გონივრული და ადეკვატური განსაზღვრა (რათა პოტენციური დასაქმებული უნებურად ექსპლუატაციის მსხვერპლი არ აღმოჩნდეს).

შეჯამება

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროცესის ეფექტურად ორგანიზებისთვის გადამწყვეტია თითოეული ეტაპისთვის (დანყება, მიმდინარეობა, დასრულება) წინასწარი მომზადება და გუნდური, თანამშრომლობითი მიდგომა. ეს რომ უფრო უკეთ წარმოვიდგინოთ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭი-

როების მქონე სტუდენტის სასწავლო პროცესის ორგანიზების მაგალითი განვიხილოთ. მაგალითი, ერთი მხრივ, პასუხობს სტუდენტის ცხოვრებისეულ მიზნებს, ხოლო, მეორე მხრივ, ასახავს პროფესიული სასწავლებლის მხრიდან განეული თანადროული და გუნდური მხარდაჭერის შედეგს.

მაგალითი

ნათია თექის ოსტატის პროფესიულ სასწავლო პროგრამაზე სწავლობს. აქ ჩარიცხვამდე იგი ხშირად სტუმრობდა მის მეგობრულ მდებარე სუვენირების სალონს. სალონის დახლების თვალთვლებისას მის განსაკუთრებულ ინტერესს თექის პროდუქცია იზიარებდა. დასაქმებაზე ფიქრისას ნათიამ გამოთქვა თექის ხელნაკეთობების შექმნისა და საკუთარი ნამუშევრების სალონში ჩაბარების სურვილი. შესაბამისად, პროფესიულ სასწავლებელში, გარდა თექის ოსტატის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, ნათიასთვის განისაზღვრა სხვა პრიორიტეტული ამოცანები, რომლებზეც მას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების გუნდთან ერთად უნდა ემუშავა: ინდ. მეწარმედ დარეგისტრირება; ურთიერთობა სუვენირების სალონთან და იმის მოკვლევა, თექის სხვადასხვა პროდუქცია როგორ იყიდება; შესაქმნელი პროდუქტების შერჩევა და საჭირო მასალის შეძენის საკითხის მოგვარება; შესაბამისი უნარ-ჩვევების დაუფლება და სხვა.

გუნდთან ერთად ნათიამ გადაწყვიტა სვანური ქუდებისა და თექის ქისების დამზადება.

პრაქტიკის მასწავლებლის მხარდაჭერით ნათია ოჯახთან ერთად გაერკვა და შეიძინა საჭირო ყალიბი, მასალა და ინსტრუმენტები, მოაწყო სამუშაო კუთხე სახლში.

კარიერის დაგეგმვის სპეციალისტისა და მეწარმეობის მოდულის მასწავლებლის დახმარებით ნათია დარეგისტრირდა ინდივიდუალურ მეწარმედ და გაიარა კონსულტაცია სუვენირების სალონის ადმინისტრატორთან ნაწარმის ჩაბარებისა და ანაზღაურების პირობების შესახებ.

პრაქტიკის მასწავლებლისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის მხარდაჭერითა და რეკომენდაციით სტაჟირება გაიარა პროფესიულ სასწავლებელთან ახლომდებარე სახელოსნოში, რომელშიც მატყლს ასუფთავებენ და საბნებსა და ლეიბებს კერავენ.

სასწავლო მოდულების პარალელურად, სტაჟირებისას, ნათია სრულად დაეუფლა მატყლის მომზადების, დაფენის, თელვის კომპეტენციებს; სასწავლო მოდულების ფარგლებში კი ისწავლა არსებული ესკიზის მიხედვით სვანური ქუდისა და ქისის დამზადება და მუშაობისას უსაფრთხოების წესების დაცვა. ნათიამ შეძლო ოჯახის წევრებსა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად შემუშავებული თვალსაჩინოების მიხედვით სამუშაოს ორგანიზება: პროდუქტის შექმნისთვის მასალის საჭირო რაოდენობისა და საჭირო დროის განსაზღვრა.

სწავლის დამთავრებისთვის ნათიას უკვე მიღებული ჰქონდა შესაბამისი ანაზღაურება სალონიდან, რომელშიც სამი ქუდი და ორი ქისა ჩააბარა.

ნათიას სწავლის დასრულების შემდეგ საკმარისი თავისუფალი დრო რჩებოდა, ამიტომაც მან გადაწყვიტა მატყლის საბნებისა და ლეიბების სახელოსნოში ნახევარი განაკვეთით დასაქმება.

პროფესიული სასწავლებლის კარიერის დაგეგმვის სპეციალისტისა და იურისტის დახმარებით ნათიამ და სახელოსნოს ადმინისტრატორმა შეადგინეს ხელშეკრულება. ნათია დასაქმდა სახელოსნოში. მის მოვალეობად განისაზღვრა მატყლის დამუშავება და მომზადება საბნისა და ლეიბის შესაკერად. განისაზღვრა შესაბამისი ანაზღაურება.

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად შედგა მომავალი ნ თვის განმავლობაში „მიცოლის“ (პროცესზე თვალყურის მიდევნების) მომსახურების გეგმა, სხვადასხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევასთან გამკლავებისა და სამსახურის მითრების თავიდან აცილების მიზნით.

თავი 6:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა⁷

წინა თავში ნახსენები იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის აქტუალობა — შემთხვევა, როდესაც სასწავლო პროცესში უნივერსალური დიზაინის პრინციპებისა და დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენების პარალელურად ჩნდება სტუდენტისთვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო გარემოს მოწყობისა და მისთვის ინდივიდუალურად დაზუსტებული სწავლის შედეგების, მიზნებისა და სწავლა-სწავლების სტრატეგიების განსაზღვრის საჭიროება. ამ თავში დეტალურადაა აღწერილი მოდულის ფარგლებში შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარმოების პროცესი.

რატომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც და საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სწავლის პროცესი მასზე მორგებულად იმართება კონკრეტული მოდულისა თუ სასწავლო კურსის ფარგლებში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება პროფესიული მოდულის საფუძველზე და წარმოადგენს მის დაზუსტებას კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ მოდულშიც გამოვლინდება სწავ-

ლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები. ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა, სტუდენტი ყველა მოდულს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სწავლობდეს, ზოგ შემთხვევაში კი, სავსებით დასაშვებია, რომ სტუდენტს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე მოდულის ფარგლებში დასჭირდეს სასწავლო გეგმის დაზუსტება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის აქტუალობა ჩნდება მაშინ, როდესაც მასწავლებელი შეფასების შედეგებზე დაყრდნობით ვარაუდობს, რომ სტუდენტს მოდულის მოთხოვნების დასაძლევად მისთვის ინდივიდუალურად განსაზღვრული დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება. თუკი მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ მოდულში სტუდენტისთვის ინდივიდუალურად მორგებული ცვლილებების შეტანა აუცილებელია, ის უფლ-

⁷ ამ თავში მნიშვნელოვანწილადაა გამოყენებული მასალა შემდეგი წყაროდან: ბაგრატიონ-გრუზინსკი მ., ზაქარეიშვილი მ., ფილური ქ., კვაჭაძე ფ. (რედ.) თ. პაჭკორია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გზამკვლევი მასწავლებლებისთვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბილისი, 2014.

ბამოსილია მასთან ერთად შეიმუშაოს და დოკუმენტურად გააფორმოს პროფესიული მოდულის სწავლის შედეგების შესაბამისად აგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ ანაცვლებს და არ ცვლის სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, რომელიც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ივსება. გაცდენები, შეფასებები, დახასიათება და ა. შ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შესახებ აღირიცხება იმავე უწყისებში, ბაზებსა თუ ჟურნალში, რომლებშიც ნებისმიერი სხვა სტუდენტისა. თუმცა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ხსნის ამ დოკუმენტებში არსებული მონაცემების საფუძველს, უკავშირებს რა სასწავლო პროცესის ფორმისა თუ შინაარსის ცვლილებას სტუდენტის საჭიროებას. შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმაც ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მთავარი ღერძი პროფესიის სტანდარტის, მასში დაწვრილებით ჩამოყალიბებული პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანების დაუფლებისთვის სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროების საპასუხოდ ჩასატარებელი სამუშაოებია განსაზღვრული.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში:

- მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს; შეარჩიოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ეფექტური სწავლასწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდები;
- სტუდენტისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა;

- განსაზღვროს, შეცვალოს და გამოიყენოს სტუდენტისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო;
- საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა;
- გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული;
- შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა; მაგალითად, სტუდენტისთვის დროში წინსწრებით, გამოიყენოს საწარმოო პრაქტიკის ან შეგირდობის ბაზა (უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით), რათა გაიზარდოს პრაქტიკასა და კეთებაზე დაფუძნებული, ბუნებრივ გარემოში მიმდინარე, სასწავლო პროცესის ინტენსივობა;
- სტუდენტის შესაძლებლობის შესაბამისად შეცვალოს შეფასების პროცედურები და ფორმები;
- დააზუსტოს მოსწავლისთვის მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები;
- განსაზღვროს სტუდენტისთვის დამატებითი მომსახურება: მაგალითად, სტუდენტისთვის ინდივიდუალური, დამატებითი მუშაობის საჭიროება მასწავლებელთან, ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ანდა სხვა სტუდენტთან ერთად.

წინასწარ დოკუმენტირებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ნათელ ორიენტირს ქმნის მასწავლებლისა და სტუდენტისთვის და უადვილებს

მათ სასწავლო პროცესის მართვას: აზუსტებს სტუდენტის წინაშე არსებულ მოლოდინებს და ორგანიზებას უწევს დამატებითი რესურსებით სტუდენტის უზრუნველყოფის პროცესს. ეს არის ქმედითი, მოქნილი, ლაკონიური, კონკრეტული და ინფორმაციული დოკუმენტი, რომლითაც მოდულის მასწავლებელი და სტუდენტი ერთობლივად ხელმძღვანელობენ.

იმისთვის, რომ სასწავლო პროცესის ადაპტაციამ სტუდენტისა და მასწავლებლისთვის სასწავლო პროცესში მხარდამჭერი ფუნქცია შეასრულოს და ის სტუდენტისთვის ადეკვატურად დაზუსტდეს, გადამწყვეტია:

ა) მასწავლებელმა სრულფასოვანი სურათი შეიქმნას სტუდენტის არსებული მიღწევის დონის შესახებ და ამ მიზნით უწყვეტად (ყოველდღიურად) აწარმოოს მისი შეფასების პროცესი; მასწავლებელი დეტალურად უნდა აფასებდეს სტუდენტის შესრულების დონეს თითოეულ სასწავლო შედეგსა და მოდულთან დაკავშირებით, არ უნდა გამოეპაროს არც სტუდენტის წინაშე წამოჭრილი ბარიერები, და არც თუნდაც ძალიან მცირე მიღწევა და წინსვლის დინამიკა;

ბ) სტუდენტის შეფასების პარალელურად და შეფასების საფუძველზე მასწავლებელი უნდა დარწმუნდეს ინდივიდუალური ცვლილებების საჭიროებაში და გზადაგზა, არგუმენტირებულად განსაზღვროს საჭირო ცვლილებები.

დასკვნის სახით და მოკლედ თუ ვიტყვით, მასწავლებელი სტუდენტის ყოველდღიური მიღწევების მუდმივი შეფასების საფუძველზე უნდა ადგენდეს: მოდულის რომელი სწავლის შედეგი და პროფესიული ამოცანა დაძლია სტუდენტმა? რომელი

დაძლია დამოუკიდებლად, რომელში სჭირდება დახმარება და რა სახის? როგორ შეიძლება მისი მხარდაჭერა, რათა მოცემული სასწავლო ამოცანების შესრულებისას დახმარება თანდათან შემცირდეს?

სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებისას მასწავლებელი უნდა მსჯელობდეს შემდეგ საკითხებზე:

- რა დამატებითი ცვლილებებია სტუდენტის სწავლის ხელშეწყობისთვის საჭირო?
- რას გააუმჯობესებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?
- რომელ სასწავლო შედეგს მიაღწევს ანდა მიუახლოვდება სტუდენტი?
- რა დროში მიიღწევა სასწავლო შედეგები და პროგრესი?
- რა რესურსების გამოძებნაა საჭირო?
- რა დამხმარე საშუალებებითა და მომსახურებით იქნება ის უზრუნველყოფილი?
- ვინ არის ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი?
- ვისი დახმარება, რა განსხვავებული კომპეტენცია სჭირდება?
- რამდენად ადეკვატური იქნება მიღწეული სასწავლო შედეგი და შეძენილი კომპეტენცია პროფესიის პრაქტიკული დაუფლებისა და დასაქმებისთვის?

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირებისას მასწავლებელს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ ყოველი მოდული ემსახურება კონკრეტული პროფესიული პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებას, რომელიც რეალიზდება დასაქმების ადგილზე. შესაბამისად, **ადაპტირებული, ანუ სტუდენტისთვის ინდივიდუალურად ფორმირებული მოდულიც** ორიენტირებული უნდა იყოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება-გაძლიერებაზე იმისთვის, რომ არ დაზარალდეს იმ პირის დასაქმების შანსი, რომელმაც აღნიშნული მოდული ადაპტირებული ფორმით გაიარა.

საყურადღებო საკითხი ამ შემთხვევაში ის არის, რომ პროფესიულმა მასწავლებელმა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმართ არ იხელმძღვანელოს შევიწროებული მოლოდინებით და მექანიკურად არ შეამციროს მისთვის გადასაცემი კომპეტენციები. მასწავლებლის ხედვა ორიენტირებული უნდა იყოს იმისკენ, რომ მხარდაჭერა გაუწიოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს, რათა მან რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული პროფესიული ამოცანების დაუფლება შეძლოს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადაპტირებული, ანუ ინდივიდუალური სასწავლო მოდულით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლებისას მასწავლებელი ორიენტირებული უნდა იყოს მოდულის ფარგლებში სტანდარტულად განსაზღვრულ სწავლის შედეგებსა და შესრულების კრიტერიუმებზე. ის მიზნად უნდა ისახავდეს არა მხოლოდ სტუდენტის მაქსიმალურ მიახლოებას კომპეტენციისთვის დადგენილ ზღვართან, არამედ – მის გადალახვას.

მოდულით განსაზღვრული სასწავლო შედეგის/ შედეგების მისაღწევად მასწავლებელი უნდა განსაზღვრავდეს უახლოეს, დასაძლევად შესაძლებელ ნაბიჯებს (ქვემიზნებს ან მოკლევადიან ინდივიდუალურ მიზნებს), რომლებიც სასწავლო შედეგის შემადგენელ ერთეულს წარმოადგენს და მას პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება.

სტუდენტს სწავლის პოზიტიური დინამიკა და მიღწევები რომ ჰქონდეს, დაძლევად ერთეულებად დანაწევრებული და წარმოდგენილი სასწავლო შედეგი/შედეგები სტუდენტის განვითარების უახლოეს ზონას უნდა შეესაბამებოდეს. ანუ, უნდა იყოს რეალისტური, რისი მიღწევაც შესაძლებელია, და, იმავდროულად, სიახლის, გამომწვევის შემცველი.

პროფესიული განათლებისა და დასაქმების მიზნებისთვის მნიშვნელოვანია, დაზუსტებული სასწავლო შედეგები ემსახურობდეს პრაქტიკული პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება-გაძლიერებას. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი სტუდენტთან ერთად სასწავლო მიზნად დაისახავს ხის სხვადასხვა ტიპის ან ჯიშის ჩამოთვლა-დასახელების დასწავლას, ძნელი წარმოსადგენია, სტუდენტმა აღნიშნული ცოდნის დაგროვების შემდეგ შეძლოს შესაბამისი სამუშაო ადგილის მოძებნა და დამსაქმებლის დაინტერესება. ხოლო, თუ დასახული მიზანი იქნება – სტუდენტის მიერ მსგავსი ჯიშის ხის პროდუქციის ერთ ჯგუფად თავმოყრა (*მიუხედავად იმისა, ასახელებს და ჩამოთვლის თუ არა ამ ჯიშებს* იგი), გაცილებით უფრო გამარტივდება ამ კომპეტენციის მქონე პირისთვის დასაქმების ადგილისა და შესასრულებელი სამუშაოს განსაზღვრა.

პროფესიული მოდულის ადაპტაცია და მისი სახეები

სასწავლო გეგმის ნებისმიერ ცვლილებას ადაპტაცია ჰქვია. ბუნებრივია, ადაპტაცია თითოეული სტუდენტისთვის განსხვავებული ტიპისა და ხარისხის იქნება. განვიხილოთ ადაპტაციის ძირითადი მიმართულებები:

- სასწავლო გეგმის აკომოდაცია;
- სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია;
- სასწავლო გეგმაში ფუნქციური და ალტერნატიული მიზნების დამატება.

სასწავლო გეგმის აკომოდაცია

აკომოდაცია არის პროფესიული მოდულით გათვალისწინებული სასწავლო გარემოს და პირობების ცვლილება, სასწავლო მიზნებში ცვლილების შეტანის გარეშე. ის იძლევა საშუალებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტმა მიაღწიოს პროფესიული მოდულით განსაზღვრულ შედეგებს, მათი შინაარსისა და სირთულის დონის შეცვლის გარეშე.

აკომოდაცია ამცირებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა შეზღუდვებს და ზრდის განათლების ხელმისაწვდომობას.

აკომოდაციის შემთხვევაში შესაძლებელია შეიცვალოს:

პროფესიული საგანმანათლებლო დანესებულების, სახელოსნოების, აუდიტორიების ფიზიკური გარემო

საუკეთესო შემთხვევაში საგანმანათლებლო დანესებულების ფიზიკური გარემო უნდა აკმაყოფილებ-

დეს არქიტექტურულ-უნივერსალური დიზაინის მოთხოვნებს, რაც უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობების მისაწვდომობას ყველასთვის, განსხვავებული საჭიროების მქონე პირთათვის. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს არ გამოირიცხავს საჭიროებას, განხორციელდეს ინდივიდუალური ადაპტაციები კონკრეტული საჭიროების მქონე პირისთვის. მაგალითად, შესაძლებელია საჭირო გახდეს შესაბამისი სიმაღლის სამუშაო მაგიდით უზრუნველყოფა მოძრაობის სირთულეების მქონე პირისთვის; სპეციფიკური განათების უზრუნველყოფა სუსტი მხედველობის მქონე სტუდენტისთვის და ა. შ. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის, რომ ცვლილებები არ ეწინააღმდეგებოდეს პროფესიული პროგრამის მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივებს.

საათების განაწილება და დღის გრაფიკი

პროფესიონალთა მიერ შექმნილი საგანმანათლებლო მოდულები გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ მოდულის ფარგლებში სწავლის შედეგების მისაღწევად განსაზღვრული დრო შემთხვევით არ არის შერჩეული; იგი ეფუძნება მისაღწევი შედეგების სპეციფიკასა და დაგროვილ გამოცდილებას იმის შესახებ, თუ საშუალოდ, სტანდარტულ პირობებში, სტუდენტები რა დროს საჭიროებენ სწავლის შედეგების მისაღწევად.

მიუხედავად ამისა, სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით, ზოგიერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის შესაძლებელია საჭირო გახდეს დამატებითი ინდივიდუალური მეცადინეობა, სასწავლო დროის გახანგრძლივება, პრაქტიკული გავარჯიშება. ეს კი საათების განაწილების ინდივიდუალურ სქემას, დღის განრიგისა და დატვირთვის ცვლილებას შეიძლება მოითხოვდეს.

აქტივობების შესასრულებლად განკუთვნილი დროის ხანგრძლივობა

პროფესიულ მოდულში მოცემული მოთხოვნების გათვალისწინებით მასწავლებელი სხვადასხვა სასწავლო აქტივობისთვის ადგენს შესაბამის დროს. თუმცა, შესაძლებელია კონკრეტულ სტუდენტს დავალების მოსამზადებლად მიეცეს მეტი დრო, ვიდრე მის თანაჯგუფელებს (მაგალითად, 5-ნ კვირა, ნაცვლად ორისა; ან სამუშაოს შესრულების დემონსტრირებისთვის 40 წუთი და არა ნახევარი საათი). მასწავლებელმა სტუდენტისთვის ოპტიმალური დროის მონაკვეთის განსაზღვრისთვის უნდა გააანალიზოს მისი უნარები და თავად დავალების თავისებურება. იმავდროულად, მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში უმჯობესია სტუდენტს საკმარისი დრო მისცეს უნარის განაფვისა და პროფესიული აქტივობის ხარისხიანად შესრულებისთვის, ვიდრე სტანდარტულ დროში მოითხოვოს ამოცანის შესრულება და ნაკლები ხარისხის ნამუშევარი მიიღოს.

აღსანიშნავია, რომ დროის ცვლილება არ გულისხმობს მოდულის ხარისხის ან სირთულის ცვლილებას, შესაბამისად, არ მოქმედებს შეფასებაზე, შესრულების კრიტერიუმებსა და კომპეტენციის პარამეტრების დიაპაზონზე.

სასწავლო მასალა

სასწავლო მასალის ცვლილება მრავალმხრივ შეიძლება. ხშირად ეს მასწავლებლისა და ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდის შემოქმედებითობაზეა (კრეატიულობაზეა) დამოკიდებული. სასწავლო მასალის ადაპტაციის მაგალითებია: მცირემხედველი სტუდენტისთვის თეორიული მასალის აუდიოჩანაწერით უზრუნველყოფა; სმენის სირთულებების მქონე სტუდენტისთვის სახელმძღვანელოებში გამოყენებული მისთვის უცნობი ცნებების ჩანაცვლება ნაცნობი ლექსიკით.

თუმცა, საყურადღებოა, რომ სასწავლო მასალის ფორმის ან მოცულობის ცვლილების შემთხვევაში ეს იქნება აკომოდაცია, თუკი სტუდენტისთვის შერჩეული მასალის რაოდენობაში აისახება მოდულის ყველა სწავლის შედეგი შესრულების კრიტერიუმით. ხოლო, თუ მასალის რაოდენობის ცვლილება გამოიწვევს მოდულის ერთი ან რამდენიმე სწავლის შედეგის, შესრულების კრიტერიუმისა და კომპეტენციის პარამეტრების დიაპაზონის ცვლილებას, ეს მოდიფიკაცია იქნება. მაგალითად, მოცემული სასწავლო შედეგის შემთხვევაში – სტუდენტი იყენებს ბოსტნეულის ჭრის ძირითადი მეთოდებიდან მხოლოდ ერთს – ჭრის ბოსტნეულს დიდი ზომის კვადრატებად – ამოღებულია „ჭრის ბოსტნეულს სხვადასხვა ზომისა და ფორმის ნაჭრებად„. შესაბამისად, ეს არის არა აკომოდაცია, არამედ მოდიფიკაცია.

მასწავლებელს მართებს დიდი დაკვირვება, რათა განსაზღვროს, სტანდარტული მოთხოვნების ცვლილება ეკუთვნის აკომოდაციას თუ მოდიფიკაციას. საგულისხმოა, რომ სტუდენტის მხრიდან მოდულის სრულად დაძლევის შესაძლებლობა მეტია აკომოდაციისას, ვიდრე მოდიფიკაციისას.

მასწავლებელს მართებს დიდი დაკვირვება, რათა განსაზღვროს, სტანდარტული მოთხოვნების ცვლილება ეკუთვნის აკომოდაციას თუ მოდიფიკაციას. საგულისხმოა, რომ სტუდენტის მხრიდან მოდულის სრულად დაძლევის შესაძლებლობა მეტია აკომოდაციისას, ვიდრე მოდიფიკაციისას.

სწავლების სტრატეგიები და სწავლების მეთოდები

არსებითია სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება, რათა სტუდენტისთვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდეს სწავლა-სწავლების პროცესი. მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ინდივიდუალური, წყვილში, მცირე ჯგუფებში სწავლების ტექნიკები; პრობ-

ლემის გადაჭრაზე, აღმოჩენაზე, სტუდენტის ინდივიდუალურ მოტივაციასა და ინტერესზე დაფუძნებული ამოცანები და სავარჯიშოები.

მასწავლებელმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის შესაძლებელია სასწავლო მეთოდების სტანდარტისგან განსხვავებული ბალანსი დაადგინოს. მაგალითად, ნაცვლად მოცემული განანილებისა (ლექცია – 40%, უნარის დემონსტრირება – 30%, პრაქტიკული სავარჯიშო – 30%), მასწავლებელს შეუძლია განსაზღვროს შემდეგი პროპორცია: ლექცია – 10%, უნარის დემონსტრირება – 30%, პრაქტიკული სავარჯიშო – 60%.

ამ შემთხვევაში მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს ახალი მასალის გაცნობისას ან შესწავლისას მინიმალურად მიაწვდის თეორიულ განმარტებებს და მეტ აქცენტს გადაიტანს სწავლაზე, თეორიის პრაქტიკაში დემონსტრირებაზე (სტუდენტისთვის შინაარსის გათვალისწინებებზე) და მრავალჯერად გამეორებაზე.

შეფასების პროცედურები და ინსტრუმენტები

ყოველ მოდულში მოცემულია სარეკომენდაციო ჩანაწერები სასწავლო შედეგების შეფასების პროცედურებსა და ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. თუმცა, ზოგჯერ იმისთვის, რომ ობიექტური წარმოდგენა შეიქმნას, თუ რა შედეგებს მიაღწია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტმა, გარდაუვალია სასწავლო შედეგების შეფასების მეთოდების ცვლილება და მათი ინდივიდუალურად განსაზღვრა. მაგალითად, საჭირო ხდება თეორიის ცოდნის გადამონმება ტესტური დავალებით, და არა წერილობითი ნარატივით; ზეპირი გამოკითხვა, ნაცვლად წე-

რისა; ჩვენება, ნაცვლად დასახელებისა და სხვა. დასაშვებია შედეგის მიღწევის გადამონმება სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქციის ანალიზის და არა თეორიის გამოკითხვის საფუძველზე.

პირადი ასისტენტი

სტუდენტმა პროფესიული უნარ-ჩვევები რომ აითვისოს და ის ამაში გაინაფოს, ხშირად გადაწყვეტია პროცესში დამხმარე პირის მონაწილეობა. აღნიშნული პირი უზრუნველყოფს სტუდენტის ტექნიკურ მხარდაჭერას სასწავლო აქტივობების შესრულებისას. მაგალითად, სტუდენტს შეიძლება სჭირდებოდეს პირადი ასისტირება ამოცანაზე კონცენტრირებისთვის; ან სტუდენტს შეიძლება უჭირდეს სწრაფი მოძრაობა, პრაქტიკული აქტივობა კი მოითხოვდეს დემლიდან ნივთიერების სწრაფ და უსაფრთხო გადატანას სამუშაო ადგილზე მასზე მოქმედებების დასაწყებად. ამ შემთხვევაში მას მხარდაჭერა შეიძლება სწორედ ასისტენტმა გაუწიოს. მნიშვნელოვანია, რომ ასისტენტი მხოლოდ დამხმარის როლს ასრულებდეს და მინიმალურად მონაწილეობდეს აქტივობის პროცესში, მთლიანად არ ასრულებდეს მას სტუდენტის ნაცვლად.

ცხრილში მოყვანილია აკომოდაციის ამსახველი შესაძლო, თუმცა არასრული, მაგალითები იმ ცვლილებებისა, რომელთა გამოყენება რეკომენდებულია ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო კონტენტის მისაღებად:

<p>ინსტრუქციის აკომოდაცია</p> <ul style="list-style-type: none"> - ფესტური ენა; - ბრაილის ანბანი; - მოქმედებების თანმიმდევრობის მანიშნებელი გეგმა; - კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებების გამოყენება (მაგალითად, ბარათებით კომუნიკაცია); - ტექსტის ლექსიკის გამარტივება; - ვიზუალური მინიშნება; - ვიზუალური ცხრილი; - ტექსტის ფონტის გაზრდა; - მნიშვნელოვანი ადგილების მონიშვნა; - ინსტრუქციის პერიფრაზირება; - ინფორმაციის გამეორება; - აუდიომასალა და ა. შ. 	<p>შეფასების აკომოდაცია</p> <ul style="list-style-type: none"> - წერიტი გამოცდა ზეპირის ნაცვლად; - ტესტირება წერიტი ან ზეპირი გამოცდის ნაცვლად; - ბეჭდვა წერის ნაცვლად; - ვერბალური პასუხის ჩანაწერის გაკეთება (შემდგომში დეკოდირება); - ასისტენტი, რომელიც მონიშნავს პასუხებს ან შეასრულებს სტუდენტის მიერ ნაკარნახებ მოქმედებას; - გამადიდებელი შუშა ან პროგრამა; - ხმის გამაძლიერებელი; - კალკულატორი და ა. შ.
<p>გარემო პირობების აკომოდაცია</p> <ul style="list-style-type: none"> - სასწავლო სივრცის, ოთახის მდებარეობის შერჩევა/შეცვლა; - ავეჯის განლაგების/სივრცის შეცვლა; - სტუდენტთა განთავსება/განაწილება; - განათების რეგულირება; - ადაპტირებული ავეჯის გამოყენება; - ინდივიდუალური მეცადინეობები; - მცირე ჯგუფში მეცადინეობები და ა. შ. 	<p>დროის გრაფიკის აკომოდაცია</p> <ul style="list-style-type: none"> - დროის გაზრდა ან პირიქით, ხანმოკლე ინტერვალებად დაყოფა; - შეფასების (ან გამოცდის) ეტაპობრივად ჩატარება; - დროის ინდივიდუალური დაგეგმვა; - დასწრების ინდივიდუალური გრაფიკი; - შესვენების ინდივიდუალური გრაფიკი და ა. შ.

სასწავლო პროცესში მხოლოდ აკომოდაციების გამოყენება, რაც უნდა განსხვავებულ საგანმანათლებლო პირობებს იწვევდეს ის, არ გულისხმობს მოდულით განსაზღვრული მოთხოვნების შემცირებას. პირიქით, საგანმანათლებლო მოთხოვნები და მისაღწევი სასწავლო შედეგები სტუდენტისთვის უცვლელი რჩება. იცვლება, მხოლოდ შედეგის მისაღწევი გზა და პირობები. შესაბამისად, აკომოდაცია ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მიახლოებას სტანდარტულ სწავლის შედეგთან.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აკომოდაცია არ გულისხმობს მოდულის შინაარსის ცვლილებას, შესაბამისად, არ მოქმედებს შეფასებაზე, შესრულების კრიტერიუმებსა და კომპეტენციის პარამეტრების დიაპაზონზე.

აკომოდაციების შერჩევა და გადანყვეტილება მათი გამოყენების შესახებ უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტის შესაძლებლობებისა და საჭიროებების სრულფასოვან შეფასებას; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფმა უნდა განიხილოს კონ-

კრეტული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროება, მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობა და მხოლოდ ობიექტური ანალიზის საფუძველზე მიიღოს მათი გამოყენების გადაწყვეტილება.

სასწავლო პროცესში აკომოდაციების გამოყენებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები:

- აკომოდაციები უნდა შეირჩეს თითოეული სასწავლო მოდულისთვის ცალ-ცალკე. იმავე დროულად, ზოგიერთი ეფექტური აკომოდაცია შესაძლებელია გავრცელდეს კიდევ მთელ სასწავლო პროცესზე, მაგალითად, აუდიონიგნების გამოყენება უსინათლო სტუდენტს ყველა მოდულის ფარგლებში დასჭირდება. თუმცა დაუშვებელია, ერთი მოდულის ფარგლებში გამოყენებული აკომოდაციის მექანიკური განზოგადება სხვა მოდულებზე.
- შერჩეული აკომოდაციის საჭიროება და ეფექტურობა რეგულარულად უნდა ფასდებოდეს და მონმდებოდეს. პირველ ეტაპზე საჭიროა დაკვირვება და იმის კვლავ შემონმება, პასუხობს თუ არა შერჩეული აკომოდაცია სტუდენტის საჭიროებებს; შემდეგ უნდა შემონმდეს, ინარჩუნებს თუ არა აკომოდაცია სარგებელს, რადგან ერთხელ შერჩეული შესაბამისი აკომოდაცია, შესაძლოა, გარკვეული დროის შემდეგ არაეფექტური აღმოჩნდეს;
- დასაზუსტებელია აკომოდაციების გამოყენების დრო, ადგილი და პასუხისმგებელი პირი. ჩანანერი უნდა გაკეთდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში;
- შერჩეული აკომოდაცია უნდა გამოიყენებოდეს სისტემატურად. ხშირად აკომოდაციით

გამონვეული ეფექტის მისაღებად საჭიროა გარკვეული დროის გასვლა, სტუდენტის მხრიდან გარკვეული შეგუება;

- აკომოდაციის ეფექტის შესაფასებლად გადამწყვეტია აკომოდაციის ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციის თავად სტუდენტისგან მიღება.

სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია

სასწავლო პროცესში სტუდენტის ჩართულობისა და მისი შესაძლებლობების რეალიზებისთვის ხანდახან მხოლოდ აკომოდაციების გამოყენება არ არის საკმარისი და საჭირო ხდება სასწავლო მოდულის მოდიფიკაცია.

მოდიფიკაცია არის პროფესიული მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმებისა და კომპეტენციის პარამეტრების რაოდენობრივი ან თვისებრივი ცვლილება. ადაპტაციის ეს ფორმა, შესაძლოა, გულისხმობდეს კონკრეტული სტუდენტისთვის მოდულის მოთხოვნების დაზუსტებას, რასაც შეიძლება სტუდენტის მხრიდან მოდულით განსაზღვრული მიზნების არასრული მიღწევა მოჰყვეს.

ამიტომ, სასწავლო მოდულის მოდიფიკაციისას მნიშვნელოვანია სტუდენტის და/ან მისი კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება, რომ ასეთ შემთხვევაში სტუდენტმა, ამ ეტაპზე, შეიძლება სრული პროფესიული კვალიფიკაცია ვერ მიიღოს.

შესაბამისად, მოდულის ფარგლებში მოდიფიკაციის გადაწყვეტილება უაღრესად დიდი სიფრთხილით მიიღება და სხვადასხვა მეთოდისა და წყაროს გამოყენებით სიტუაციის მრავალმხრივ შეფასებას ეფუძნება.

პირველ რიგში, პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა გააანალიზოს, ადეკვატური და რეალისტურია თუ არა კონკრეტული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის მოდულის ფარგლებში სტანდარტულად განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილება არსებულ პირობებში.

არც ისაა გამორიცხული, მასწავლებელმა შეფასებისას აღმოაჩინოს, რომ მოდულით განსაზღვრული სტანდარტული მოთხოვნები (შედეგები, შესრულების კრიტერიუმები და კომპეტენციის პარამეტრები) სტუდენტისთვის ძალზე რთული შესასრულებელია და მათი მიღწევა, მოდულის აკომოდაციის ყველა საშუალების გამოყენების მიუხედავად, ვერ ხერხდება.

ამ დროს მასწავლებლის მხრიდან სტანდარტულად განსაზღვრულ სწავლის შედეგებზე რიგიდულად, ხისტად ორიენტირება, ბუნებრივია, შედეგს ვერ მოიტანს. მასწავლებელს აქვს ვალდებულება, გააგრძელოს სტუდენტის განათლება, აღმოაჩინოს მისთვის დაძლევადი საკითხები სწავლის შედეგებიდან (განვითარების უახლოესი ზონა თითოეულ სწავლის შედეგთან მიმართებით) და მისი შესაძლებლობის ფარგლებში მიუახლოოს ის სტანდარტულად განსაზღვრულ სწავლის შედეგს. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს (ივარაუდოს), სტუდენტს შედეგების შესრულების რა ინდივიდუალური შესაძლებლობა აქვს, დააზუსტოს თითოეული მათგანი და ისინი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტში გადმოწეროს შესაბამისი დაზუსტებებით.

ქვემოთ მოცემულია სწავლის შედეგების, შესრულების კრიტერიუმების, კომპეტენციის პარამეტრებისა და მტკიცებულებების ინდივიდუალური ჩანაწერებისთვის შესაძლო დაზუსტებები.

სასწავლო შედეგის დაზუსტება მის შემადგენელ ერთეულებად დაშლით ანდა შესრულების კრიტერიუმის მითითებით

„სწავლის შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს სტუდენტმა, რისი კეთება უნდა შეეძლოს მას და რა მიზნით მოდულის/საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგი იმგვარად უნდა იყოს ფორმულირებული, რომ შესაძლებელი იყოს სწავლის შედეგებში მოცემული აქტივობის ან ცოდნის გაზომვა და შეფასება. ის უნდა მოიცავდეს მოქმედების აღმნიშვნელ ზმნას, ობიექტს და საჭიროების შემთხვევაში – პირობას.

ყოველი სწავლის შედეგი უნდა უკავშირდებოდეს სხვა სწავლის შედეგს, მოდულის შესავალს, სახელწოდებას, შესრულების კრიტერიუმებს, კომპეტენციის პარამეტრების დიაპაზონსა და მტკიცებულებების მოთხოვნებს, (მოდულის შემუშავების სახელმძღვანელო).

ამ დროს მასწავლებელი სასწავლო შედეგებს მნიშვნელობის მიხედვით ყოფს შემადგენელ ნაბიჯებად, რომლებსაც წარუდგენს სტუდენტს და ისიც ეტაპობრივად დაძლევეს მათ.

ამ პროცესში მასწავლებელმა უნდა შეძლოს თითოეული სასწავლო შედეგის გაანალიზება, მაქსიმალური სიზუსტით მისი შემადგენელი ერთეულების (ნაბიჯების) იდენტიფიცირება და კონკრეტული სტუდენტისთვის დასაძლევი ერთეულის (ნაბიჯის) დადგენა. რასაკვირველია, იდენტიფიცირებული ერთეული უნდა იყოს სტუდენტის განვითარების

უახლოესი ზონის ფარგლებში. მხოლოდ ამგვარად დაზუსტებული სასწავლო შედეგი იქნება სტუდენტისთვის, ერთი მხრივ, რეალისტური, მისაღწევი, ხოლო, მეორე მხრივ, საინტერესო.

სწავლის შედეგების დაზუსტებისას მასწავლებელს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ ყოველი მოდული ემსახურება კონკრეტული პროფესიული პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებას, რომლებიც რეალიზდება დასაქმების ადგილზე. შესაბამისად, დაზუსტებული შედეგები პროფესიის არსის შემცველი უნდა იყოს და დასაქმების ადგილზე პრაქტიკულ რეალიზებას უნდა გულისხმობდეს.

შესრულების კრიტერიუმის დაზუსტება სპეციფიკურად განსაზღვრული სწავლის შედეგისთვის

„შესრულების კრიტერიუმში მოიცავს ინფორმაციას იმ მინიმალური მოთხოვნების შესახებ, რომელთა დაკმაყოფილება სტუდენტს სასწავლო შედეგების მისაღწევად მოეთხოვება. შესრულების კრიტერიუმში უნდა შეესაბამებოდეს სწავლის შედეგებს.“

შესრულების კრიტერიუმში გარკვევით უნდა მიუთითებდეს, თუ რა და როგორ უნდა გააკეთოს სტუდენტმა. შესრულების კრიტერიუმში უნდა მოიცავდეს მოქმედების აღმნიშვნელ ზმნას. მაგალითად: განმარტავს, აღწერს, ჩამოთვლის, მიუთითებს. მისი ფორმულირებისას, შესაძლებელია გამოიყენებოდეს ზმნიზედები: ზუსტად, სწორად, გარკვევით, დახმარებით და ა. შ., (მოდულის შემუშავების სახელმძღვანელო).

შესრულების კრიტერიუმში ზუსტდება ყოველი სწავლის შედეგისთვის. ამ დროს მასწავლებელი განსაზღვრავს სწავლის შედეგის შესაბამისი შესრულების კრიტერიუმს და აზუსტებს, სტუდენტისთვის რა ტიპის თვალსაჩინო ქცევის დემონსტრირებაა განსაზღვრული, ქცევისა, რომლის გამომუშავებაზე, გავარჯიშებასა და განაფვაზე უნდა იმუშაოს. უნდა დაზუსტდეს, როგორ შეძლებს სტუდენტი შესრულების დემონსტრირებას. შესაძლებელია, შესრულების კრიტერიუმშივე აისახოს, რა მასშტაბით, სიღრმითა და დახმარების რა ხარისხით შეძლებს სტუდენტი აქტივობის შესრულებას.

შესაბამისად, თუკი მასწავლებელს მოუხდა შედეგების რეფორმულირება, მას, მეტი ვარაუდით, მოუწევს მისთვის შესრულების კრიტერიუმების მისადაგებაც. შესაძლებელია, შესრულების ზოგიერთი კრიტერიუმში უცვლელი დარჩეს, ზოგი გამოირიცხოს მოცემული მომენტისთვის, ზოგი კი დაზუსტდეს. შესრულების კრიტერიუმების დაზუსტებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ სასწავლო პროცესის შედეგად სტუდენტმა უნდა შეძლოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების, პრაქტიკული აქტივობების ან აქტივობის შემადგენელი ნაწილის დემონსტრირება, რასაც დასაქმების ადგილზე მოითხოვენ.

ცხრილში თვალსაჩინოებისთვის მოცემულია სწავლის სტანდარტული შედეგები, სტანდარტული შესრულების კრიტერიუმები და მათი დაზუსტებები კონკრეტული სტუდენტისთვის (გამუქებულია დაზუსტებები).

<p>სწავლის შედეგი (2)</p>	<p>სტუდენტი შეძლებს მარტივი ბულიონის და სუპიურეს მომზადებას საბაზისო ჭრის უნარების გამოყენებით</p>	<p>სწავლის დაზუსტებული შედეგი (2)</p>	<p>სტუდენტი შეძლებს მარტივი ბულიონის და სუპიურეს მომზადებას საბაზისო ჭრის ზოგიერთი უნარის გამოყენებით</p>
<p>შესრულების კრიტერიუმი (ინდიკატორი)</p>	<ul style="list-style-type: none"> • არჩევს სხვადასხვა სახის ბოსტნეულისთვის შესაბამის საჭრელ ხელსაწყოებს • სწორად იყენებს ბოსტნეულის ჭრის ძირითად მეთოდებს • ამზადებს მარტივ ბულიონს 	<p>შესრულების დაზუსტებული კრიტერიუმი (ინდიკატორი)</p>	<ul style="list-style-type: none"> • არჩევს სხვადასხვა სახის ბოსტნეულისთვის შესაბამის საჭრელ ხელსაწყოებს • სწორად იყენებს ბოსტნეულის ჭრის ზოგიერთ მეთოდს • ამზადებს მარტივ ბულიონს პიქტოგრამით შედგენილი რეცეპტით

კომპეტენციის პარამეტრების დაზუსტება სპეციფიკურად განსაზღვრული სწავლის შედეგისა და შესრულების კრიტერიუმისთვის

„კომპეტენციის პარამეტრები აზუსტებს სტუდენტის მიერ განსახორციელებელ მოქმედებებს, გამოსავლენი ცოდნის, უნარ-ჩვევის მასშტაბსა და სიღრმეს, (მოდულის შემუშავების სახელმძღვანელო).“

განიხილოს კომპეტენციების პარამეტრების შესაბამისობა სახეცვლილ შედეგებთან, შესრულების დიაპაზონთან და, საჭიროების შემთხვევაში, მიუსადაგოს მათ. ამ დროსაც მასწავლებელი ხელმძღვანელობს სტუდენტის შესაძლებლობებით და განსაზღვრავს დასწავლისა და გავარჯიშების შემდეგ სტუდენტის მოსალოდნელი მოქმედების მასშტაბსა და სიღრმეს.

ცხრილში თვალსაჩინოებისთვის მოცემულია სწავლის სტანდარტული და დაზუსტებული შედეგები, შესრულების კრიტერიუმები და კომპეტენციის პარამეტრები (გამუქებულია დაზუსტებები).

სწავლის შედეგებისა და შესრულების დიაპაზონის დაზუსტების შემდეგ მასწავლებელმა უნდა

<p>სწავლის შედეგი (2)</p>	<p>სტუდენტი შეძლებს მარტივი ბულიონის და სუპიურეს მომზადებას საბაზისო ჭრის უნარების გამოყენებით</p>	<p>სწავლის დაზუსტებული შედეგი (2)</p>	<p>სტუდენტი შეძლებს მარტივი ბულიონის და სუპიურეს მომზადებას საბაზისო ჭრის ზოგიერთი უნარის გამოყენებით</p>
<p>შესრულების კრიტერიუმი (ინდიკატორი)</p>	<ul style="list-style-type: none"> • არჩევს სხვადასხვა სახის ბოსტნეულისთვის შესაბამის საჭრელ ხელსაწყოებს • სწორად იყენებს ბოსტნეულის ჭრის ძირითად მეთოდებს • ამზადებს მარტივ ბულიონს 	<p>შესრულების დაზუსტებული კრიტერიუმი (ინდიკატორი)</p>	<ul style="list-style-type: none"> • არჩევს სხვადასხვა სახის ბოსტნეულისთვის შესაბამის საჭრელ ხელსაწყოებს • სწორად იყენებს ბოსტნეულის ჭრის ზოგიერთ მეთოდს • ამზადებს მარტივ ბულიონს პიქტოგრამით შედგენილი რეცეპტით
<p>კომპეტენციის პარამეტრების დიაპაზონი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბოსტნეულის ნაჭრები: დიდი ზომის კვადრატები, საშუალო ზომის, მოგრძო, თხელი ზოლები და ა. შ. 	<p>კომპეტენციის პარამეტრების დიაპაზონი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბოსტნეულის ნაჭრები: დიდი ზომის კვადრატები

მტკიცებულებების დაზუსტება სპეციფიკურად განსაზღვრული სწავლის შედეგისა და შესრულების კრიტერიუმისთვის

„მტკიცებულებები მიუთითებენ იმ მეთოდებს, რომელთა გამოყენებითაც შეფასდება სტუდენტი მტკიცებულებებით ზუსტდება, თუ რის შექმნა მოეთხოვება სტუდენტს, რა უნდა გააკეთოს სტუდენტმა, რა უნდა იცოდეს სტუდენტმა, (მოდულის შემუშავების სახელმძღვანელო).“

როგორც არაერთგზის აღნიშნა, ზოგიერთ შემთხვევაში მასწავლებელს მოეთხოვება, სტუდენტისთვის დაზუსტოს შეფასების მეთოდები. მაგალითად, ნაცვლად წერიტი დავალებისა, ცოდნა გადაამოწმოს ზეპირი გამოკითხვის გზით. ეს ცვლილება აკომოდაციად შეფასდება, თუკი მასწავლებელს არ განუხორციელებია ცვლილებები შედეგებთან, შესრულების დიაპაზონსა და კომპეტენციის პარამეტრებთან მიმართებით. თუკი ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტები სტუდენტისთვის დაზუსტებულია, მასწავლებელმა უნდა გააანალიზოს, ხომ არ საჭიროებს დაზუსტებას მტკიცებულებები და, საჭიროების შემთხვევაში, ისინი შეცვალოს.

ცხრილში თვალსაჩინოებისთვის მოცემულია სწავლის სტანდარტული და დაზუსტებული შედეგები, შესრულების კრიტერიუმები და კომპეტენციის პარამეტრები და მტკიცებულებები (გამუქებულია დაზუსტებები).

სწავლის შედეგი (2)	სტუდენტი შეძლებს მარტივი ბულიონის და სუპიურეს მომზადებას საბაზისო ქრის უნარების გამოყენებით	სწავლის დაზუსტებული შედეგი (2)	სტუდენტი შეძლებს მარტივი ბულიონის და სუპიურეს მომზადებისთვის საბაზისო ქრის ზოგიერთი უნარის გამოყენებას
შესრულების კრიტერიუმი (ინდიკატორი)	<ul style="list-style-type: none"> • არჩევს სხვადასხვა სახის ბოსტნეულისთვის შესაბამის საჭრელ ხელსაწყოებს • სწორად იყენებს ბოსტნეულის ქრის ძირითად მეთოდებს • ამზადებს მარტივ ბულიონს 	შესრულების დაზუსტებული კრიტერიუმი (ინდიკატორი)	<ul style="list-style-type: none"> • არჩევს სხვადასხვა სახის ბოსტნეულისთვის შესაბამის საჭრელ ხელსაწყოებს • სწორად იყენებს ბოსტნეულის ქრის ზოგიერთ მეთოდს • ამზადებს მარტივ ბულიონს პიქტოგრამით შედგენილი რეცეპტით
კომპეტენციის პარამეტრების დიაპაზონი	<ul style="list-style-type: none"> • ბოსტნეულის ნაჭრები: დიდი ზომის კვადრატები, საშუალო ზომის, მოგრძო, თხელი ზოლები და ა. შ. 	დაზუსტებული კომპეტენციის პარამეტრების დიაპაზონი	<ul style="list-style-type: none"> • ბოსტნეულის ნაჭრები: დიდი ზომის კვადრატები
მტკიცებულებები	<ul style="list-style-type: none"> • ბულიონის კეთების პროცესზე დაკვირვება • დაჭრილი ბოსტნეულის ნაჭრები 	დაზუსტებული მტკიცებულებები	<ul style="list-style-type: none"> • ბოსტნეულის დაჭრის პროცესზე დაკვირვება • დაჭრილი ბოსტნეულის ნაჭრები

სავსებით დასაშვებია, ანალოგიური დაზუსტებები გახდეს საჭირო კონკრეტული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის, რომელსაც მნიშვნელოვნად გამოხატული ინტელექტუალური სირთულეები აქვს, მასწავლებელმა რეალისტურ ამოცანად (სწავლის შედეგად) განსაზღვრა არა **მარტივი ბულიონისა და სუპიურეს მომზადება**, არამედ **ბულიონისა და სუპიურეს მოსამზადებლად საჭირო საბაზო ქრის ზოგიერთი უნარის გავარჯიშება**. იმავე

დროულად, მასწავლებელმა გაითვალისწინა მისი მოტორული შესაძლებლობები და სტუდენტისთვის მისაღწევ შედეგად განსაზღვრა არა **დიდი, საშუალო და მცირე ზომის ნაჭრებისა და მოგრძო თხელი ზოლების დაჭრა**, არამედ მხოლოდ **დიდი ზომის კვადრატებისა**. შესაბამისად, დაზუსტდება მტკიცებულებებიც – მასწავლებელი შეძლებს მხოლოდ **ბოსტნეულის დაჭრის პროცესზე დაკვირვებას** და მიღებული შედეგის – **ნაჭრების** – შეფასებას.

სხვა შემთხვევაში, შესაძლებელია, მასწავლებელმა, წერილობითი მტკიცებულებების წარმოდგენის მოთხოვნის ნაცვლად, სტუდენტის შესაძლებლობებისა და შექმნილი ცოდნის მაქსიმალური გამოვლენის საუკეთესო გზად მოქმედების დემონსტრირება არჩიოს. შესაძლოა, მასწავლებელმა საკუთარი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთოს, რომ ნაწერის გაუმართაობის, წერილობით აზრის ნათლად ჩამოყალიბების გამოვლენილი სირთულის გამო, თავს არიდებს სტუდენტის მიღწევის დონეზე მცდარი წარმოდგენის შექმნას და აძლევს მას საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური დემონსტრირების საშუალებას.

ფუნქციური მიზნები

გარდა პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული მოვალეობებისა და ამოცანებისა, შესაძლოა, პროფესიული განათლების მიღების პროცესში სტუდენტისთვის შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც მკაფიოდ ჩამოყალიბდება ის წინაპროფესიული (ზოგადი, ყველა პროფესიისთვის საერთო, გამჭოლი) უნარ-ჩვევები, რომელთა გამომუშავებაც მნიშვნელოვანია დასაქმებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. სხვა შემთხვევაში ამ ტიპის მიზნებს ფუნქციურ მიზნებსაც უწოდებენ. ფუნქციური მიზნების მაგალითები შეიძლება იყოს:

- დროის მართვა
- სივრცის მართვა
- ინსტრუქციების შესრულება/მიყოლა
- პირად ჰიგიენასა და შესახედაობაზე (გარეგნობაზე/ჩაცმულობაზე) ზრუნვა
- ეფექტური კომუნიკაცია
- სოციალური უნარ-ჩვევები

- კონსტრუქციული კრიტიკის მიღება და გამოყენება
- ამოცანის დასრულებაზე ორიენტაცია
- საქმის კეთებისას მოტივაციის შენარჩუნება
- თავდაჯერებულობა
- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა
- სხვებთან თანამშრომლობის უნარ-ჩვევა
- სხვადასხვა სიტუაციაში გაჩენილი პრობლემების მოგვარების უნარი
- სიმარჯვე (ნატიფი მოძრაობები)
- ტრანსპორტით სარგებლობა
- სამუშაოს ხარისხის მნიშვნელობის წვდომა
- ზედამხედველის, უფროსის მნიშვნელობის წვდომა
- შესასრულებელ საქმეზე პასუხისმგებლობა

წინაპროფესიული უნარების გამომუშავებაში აქტიური როლი ინკლუზიური განათლების მხარდაჭერ გუნდსაც აკისრია. შესაძლოა, მათ მასწავლებელთან ერთად განსაზღვრონ, რომელი უნარის გავარჯიშებაა პრიორიტეტული სტუდენტისთვის, რა დონეზე და რა ფორმით; როგორ შეიძლება შერჩეული უნარის გამომუშავება-გამოყენების ნახალისება და პროგრესის შეფასება. აღნიშნულ სასწავლო მიზნებთან მიმართებით სტუდენტი ფორმალურად არ ფასდება, თუმცა პროგრესის მონიტორინგი მნიშვნელოვანია, რამდენადაც დასაქმების საბოლოო მიზნის მისაღწევად ამ უნარ-ჩვევების არსებობა გადამწყვეტია.

აღნიშნულ უნარ-ჩვევების გამოყენებაზე შესაძლებელია პასუხისმგებლობა ყველა მასწავლებელმა გაიზიაროს და მათ, თავიანთი სწავლის შედეგების გარდა, აღნიშნული მიმართულებითაც გაუწიონ მხარდაჭერა, განსაკუთრებით ამ უნარ-ჩვევების გამოყენებას სხვადასხვა სასწავლო თუ პრაქტიკულ კონტექსტში.

მოდულის ფარგლებში ფუნქციური მიზნების დამატება მოდიფიკაციას წარმოადგენს. მაგალითად, სამუშაო პრაქტიკის დროს სტუდენტი დამატებით იმუშავებს სოციალური კონტაქტების

დამყარების უნარ-ჩვევაზე, ჯგუფში თანამშრომლობასა და ეფექტურ კომუნიკაციაზე ან საჯარო ტუალეტის დამოუკიდებლად გამოყენების უნარ-ჩვევაზე.

შეჯამება

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დოკუმენტი იქმნება მოდულის ფარგლებში იმისთვის, რომ არგუმენტირებულად განისაზღვროს და დოკუმენტურად გაფორმდეს სტუდენტის მიერ, პედაგოგის მხარდაჭერით, მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის პროცესი. ასეთი არგუმენტირებული დოკუმენტი ლეგიტიმურს ხდის და ხსნის ინდივიდუალური სწავლა-სწავლების პროცესს, რომელიც კონკრეტული სტუდენტისთვის დადგინდება.

სტუდენტს სასწავლო პროცესში, სხვადასხვა დროს, შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის ადაპტაცია დასჭირდეს: მხოლოდ აკომოდაცია ან აკომოდაცია მოდიფიკაციასთან ერთად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დროის სხვადასხვა მონაკვეთში, მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე, აკომოდაციისა და მოდიფიკაციების ცვლილება და მონაცვლეობა.

თავი 7:

გუნდური მიდგომის მნიშვნელოვანი ინკლუზიური პროფესიული გენათლების პროცესში

ამ თავში აღწერილია გუნდური მუშაობის მნიშვნელობა და პროცედურები, რაც, ერთი მხრივ, პროფესიულ სტუდენტს, ხოლო, მეორე მხრივ, პროფესიული სასწავლებლის თანამშრომლებს ეხმარება სიტუაციის გაანალიზებაში, საერთო სამოქმედო გეგმის დასახვასა და სირთულეების გადალახვაში. გუნდური მუშაობის ხიბლი ის არის, რომ გუნდის წევრების მრავალფეროვანი გამოცდილების, კომპეტენციისა და თვალთახედვის ერთად თავმოყრის საშუალებას იძლევა, არ ტოვებს მათ მარტო სირთულეებთან პირისპირ და აერთიანებს მათ პასუხისმგებლობას მიმდინარე პროცესზე.

რას გულისხმობს გუნდური მიდგომა?

გუნდური მიდგომა რამდენიმე, განსხვავებული გამოცდილების, აკადემიური დისციპლინისა ან პროფესიის წარმომადგენლის გაერთიანებას გულისხმობს საერთო საკითხის ან ამოცანის გადასაჭრელად. ასეთი მუშაობის სტილი გამდიდრებულია მრავალფეროვანი მოსაზრებითა და კომპეტენციით, ეფუძნება სხვადასხვა სფეროში არსებულ საუკეთესო გამოცდილებას. შესაბამისად, მუშაობის პროცესი და გამოსავალიც მტკიცებულებაზე დაფუძნებული და ეფექტიანია.

შესაძლოა, გუნდში, სულ მცირე, საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა გუნდი მოიაზ-

რებოდეს, რომლის მთავარი მონაწილე და ცენტრალური ფიგურა თავად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი და მისი ოჯახია; მასთან ერთად კი – ყველა მოდულის მასწავლებელი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი. არაერთ შემთხვევაში, თუ ეფექტური სწავლასწავლებისა ან ტრანზიციისთვის საჭირო ხდება პროცესში დამატებითი კომპეტენციის მქონე ადამიანების ჩართვა, შესაძლებელია სხვა სპეციალისტების მონაწილეობა, მაგალითად, უფლებადამცველის, ოკუპაციური თერაპევტის, სოციალური მუშაკის, პოტენციური დამსაქმებლის, დასაქმების სპეციალისტის, ადამიანური რესურსების ან კადრების შერჩევის სპეციალისტისა და სხვა.

გუნდის შემადგენლობის დიაგრამა



დიაგრამაზე ჩანს, რომ მუშაობის პროცესში სხვადასხვა სპეციალისტი განსხვავებულ დისტანციაზე იმყოფება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირისგან. რაც უფრო ახლოა ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი სტუდენტთან, მით უფრო მდიდარ ინფორმაციას ფლობს ის მის შესახებ. რაც უფრო დაშორებულია სპეციალისტი სტუდენტისგან, მით უფრო ფართო ჭრილში შეიძლება ხედავდეს მის საჭიროებებს. შესაბამისად, ამ ორი პერსპექტივის შერწყმა გუნდური მუშაობის ეფექტურობის განმსაზღვრელი ფაქტორია. თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ გარკვეულ ეტაპზე, შესაძლებელია, დაშორებული რგოლის წარმომადგენელმა უფრო ახლო პოზიციაზე გადაინაცვლოს. მაგალითად, თუ სტუდენტი სასწავლო მოდულის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად სამი თვით პარტნიორ ორგანიზაციაში სასწავლო პრაქტიკისთვის გადაინაცვლებს ან შეგირდად ყოფნას თანხმდება, მაშინ მის უახლოეს გარემოცვას, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შედარებით, დამსაქმებელი შეიძლება წარმოადგენდეს.

გუნდურ მუშაობაში ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების საფუძველი ღია კომუნიკაციაა, რაც გუნდის წევრების რეგულარული შეხვედრებითა და დოკუმენტაციის გაზიარებით ხორციელდება. შეხვედრების სიხშირე შეიძლება იყოს სხვადასხვა – კონკრეტული შემთხვევის, პარტნიორებისა და სპეციალისტების სპეციფიკის გათვალისწინებით. შესაბამისად, გუნდური შეხვედრების ოქმები ნათლად უნდა განმარტავდეს შეხვედრის მიზეზს, მოცემული სიხშირით შეხვედრის საჭიროებას, გუნდის შემადგენლობას და სხვა.

სტუდენტის სწავლის პროცესის ეფექტური ორგანიზებისთვის მნიშვნელოვანია პროფესიული სასწავლებლის გუნდის ერთ-ერთი წევრი საკონტაქტო პირი იყოს ყველა დანარჩენისთვის. საკონტაქტო პირის პასუხისმგებლობაა, თვალყური ადევნოს კონკრეტული სტუდენტის მთლიან სასწავლო პროცესს და შეკრების საჭიროებიდან გამომდინარე (შეხვედრა შეიძლება იყოს გეგმური ან სტუდენტის, მასწავლებლის ანდა რომელიმე სხვა სპეციალისტის მიერ ინიცირებული),

გაავრცელოს ინფორმაცია შეხვედრის ადგილისა და დროის, განსახილველი საკითხების შესახებ; შეკრიბოს ყველა, ვინც სტუდენტთან მუშაობს და გაუძღვეს შეხვედრას.

შეხვედრის გაძღოლისას მნიშვნელოვანია სამართლიანობის დაცვა – თითოეულ გუნდის წევრს უნდა მიეცეს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა. გარდა ამისა, გადამწყვეტია, წამყვანმა ისიც აკონტროლოს, რომ შეხვედრის მთავარი ფოკუსი შენარჩუნდეს, დისკუსია და მსჯელობა იყოს არგუმენტირებული, შეჯამება მკაფიოდ განსაზღვრავდეს სამოქმედო გეგმასა და თითოეული წევრის მოვალეობას.

თავის მხრივ, შეხვედრაზე მოსული თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა, მოემზადოს შეხვედრისთვის, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გაანალიზებული ჰქონდეს მიმდინარე მდგომარეობა, ფლობდეს შეფასების შედეგებსა და სამომავლო მოქმედების გეგმას.

მასალის წინასწარ მომზადებისა და შეხვედრის კარგად ორგანიზების პირობებში მისი ხანგრძლივობა, როგორც წესი, 30-40 წუთს არ აჭარბებს.

გუნდური მუშაობის დროს მიღებული გადაწყვეტილებების დოკუმენტურად გაფორმების მიზნით, შეხვედრის წამყვანი დამსწრეთაგან ირჩევს შეხვედრის მდივანს ოქმის გასაფორმებლად. ასეთი ოქმები ხდება სტუდენტის ინდივიდუალური თუ ტრანზიციის გეგმის (იმის მიხედვით, თუ რომელი გეგმის შესადგენად შეიკრიბა გუნდი) შემადგენელი ნაწილი და წარმოდგენას ქმნის სტუდენტის ინდივიდუალურ სასწავლო პროცესზე. შეხვედრებზე ინფორმაციის გაცვლა, ჩანაწერების გაკეთება და გაზიარება, დოკუმენტაციის წარმოება თავიდან


ააცილებს გუნდის წევრებს ერთი და იმავე ინფორმაციის მრავალჯერადად განხილვას, დაზოგავს თითოეულის დროსა და სამუშაო დატვირთვას.

გუნდის საკონტაქტო პირი მოლაპარაკების შედეგად უნდა შეირჩეს. ეს, ერთი მხრივ, თავად პროფესიული სასწავლებლის შიდა მენეჯმენტის საკითხებს უკავშირდება (მაგალითად, რამდენად დატვირთული არიან გუნდის წევრები, როგორია მათი პროფესიული მოვალეობები, პოზიცია და სხვა); ხოლო, მეორე მხრივ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის კონკრეტულ შემთხვევას. თუმცა აუცილებელია, აღინიშნოს იმ შემთხვევების ეფექტურობა, როდესაც აღნიშნულ ვალდებულებას პროფესიულ სასწავლებელში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მიერ არჩეული პრაქტიკის მასწავლებელი ითავსებს. ნომინირების შემდეგ გუნდის კოორდინატორი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთან ერთად პროფესიული განათლების მიღებისა და მისი დასაქმების პროცესის მხარდაჭერას ახდენს.

გუნდური მუშაობა, როგორც წესი, ციკლური პროცესია, რომლის დროსაც მუდმივად მიმდინარეობს სამუშაო საკითხის განსაზღვრა, მისი მრავალმხრივი შესწავლა და შეფასება, გადაჭრის გზების/გეგმის ერთობლივი დასახვა და განხორციელება, მიღწეული შედეგების გადახედვა, ახალი ამოცანების დასახვა და ა. შ.

გუნდური მუშაობა შეიძლება ეხებოდეს მომსახურებისა და რესურსების მოპოვების პროცესის დროულ მართვას, კონკრეტული მოდულების სწავლა-სწავლების ეფექტურობის გადამოწმებას, ჩავარდნების გაანალიზებას, საწარმოო პრაქტიკისა თუ სტაჟირების ადგილების მოძიების სა-

გუნდური მუშაობის ციკლი




კითხვებს, მომზადებას, გარე მომსახურების მოპოვებასა და მიღებული შედეგების შეჯამებას.

გუნდის მუშაობის პროცესის მონიტორინგს უნდა აწარმოებდეს როგორც თავად გუნდი, ისე პროფესიული სასწავლებლის შიდა და გარე მონიტორინგის სამსახური, რაც მიღწევებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს/მის კანონიერ წარმომადგენელსა და

გუნდის წევრს/წევრს აქვს მუშაობის პროცესში წამოჭრილი საკითხის გასაჩივრების უფლება, თუმცა, შეთანხმებული მუშაობის პირობებში ამის საჭიროება, წესისამებრ, არ იქმნება.

გარდა შეხვედრებისა, ინფორმაციის ეფექტურად გაცვლის მიზნით, სასურველია, პროფესიულ სასწავლებელში არსებობდეს ინფორმაციის გაცვლის ელექტრონული სისტემა ანდა ხდებოდეს დოკუმენტაციის წარმოება, რომელიც გუნდის ყველა წევრისათვის ხელმისაწვდომი იქნება.



გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხიც: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის შესახებ არსებული პირადი ინფორმაცია კონფიდენციალურია. შესაბამისად, მისი სხვებისთვის გაცნობა სტუდენტის გადაწყვეტილებაა, ხოლო ამ ინფორმაციის მხოლოდ სტუდენტის გარშემო გაერთიანებულ გუნდში გაზიარება (და არავითარ შემთხვევაში მის გარეთ) – თითოეული წევრის პროფესიული პასუხისმგებლობა. ეს იმას ნიშნავს, რომ გუნდის ყოველი წევრი ვალდებულია, მესამე პირთან (სხვა კოლეგებთან, ახლობლებთან, სპეციალისტებთან) საუბრისას/ მიმოწერისას არ გაამხილოს სტუდენტის ვინაობა ან ისეთი რამ, რაც მიახვედრებს სხვას სტუდენტის ვინაობას (საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ). იმ შემთხვევის დროსაც კი, როდესაც გუნდის წევრის აზრით, თავად სტუდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, კარგი იქნებოდა ინფორმაციის სხვა პირისთვის გაზიარება, ამის შესახებ თანხმობა სტუდენტის ანდა მისი კანონიერი წარმომადგენლისგან უნდა მიიღოს. გამონაკლისი შეიძლება იყოს მხოლოდ ის შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გადაცემა შესაბამისი პირისთვის უკავშირდება თავად სტუდენტის ან სხვა პირის უსაფრთხოებას. ასეთ დროსაც კი სტუდენტი წინასწარ უდა იყოს ინფორმირებული.

ინკლუზიური განათლების პრინციპებიდან გამომდინარე, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში ჩართულ პირთა უმთავრესი მოვალეობა თითოეულ სტუდენტზე ორიენტირებული მომსახურების განვებაა.

სტუდენტთან ურთიერთობა და სწავლა-სწავლების პროცესში ჩართვა გამუდმებით ახალ-ახალ

გამონვევას სთავაზობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერ თანამშრომელს. ამით პრაქტიკა უფრო საინტერესო და შემოქმედებითი ხდება. იქ, სადაც ინკლუზიური განათლება ინერგება, თითოეული თანამშრომლის უმთავრესი საფიქრალია მომსახურების გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა, ინოვაციებისა და დანერგვა, სტუდენტისთვის სულ უფრო და უფრო უკეთესი სასწავლო გარემოს შექმნა.

სრულყოფაზე მუდმივი ზრუნვა გულისხმობს რეგულარულ თვითრეფლექსიას, საკუთარი სამუშაოს სიღრმისეულ ანალიზს, სხვებთან პირადი მოსაზრებებისა და საჭიროებების განხილვას. მნიშვნელოვანია გუნდური მსჯელობა და პასუხების მიღება შემდეგ კითხვებზე: რამდენად ხელმისაწვდომი და სტუდენტზე ორიენტირებულია ინფორმაცია, მომსახურება, სასწავლო მასალა და გარემო? რამდენად ეძლევა სტუდენტს არჩევანის გაკეთების ავტონომია? რა ტიპის მხარდაჭერა შესთავაზა სტუდენტს გუნდის თითოეულმა წევრმა სწავლისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში? როგორ ინაწილებენ პასუხისმგებლობებს გუნდის წევრები (ეს განსაკუთრებით აქტუალური ხდება, თუკი გუნდის წევრების როლები გადამფარავი აღმოჩნდება)? როგორ შეიძლება ყოველივე ეს კიდევ უფრო გაუმჯობესდეს? (ძირითადი ამოცანები, რომლებსაც პროფესიული სასწავლებლის სხვადასხვა თანამშრომელი ასრულებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთან მუშაობის პროცესში, დანვრილებით ქვემოთ იქნება განხილული).

ზოგადად, ინკლუზიური განათლების ერთ-ერთი პრინციპი გახსნილობაა, რაც თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე ურთიერთდასწრების კულტურის დანერგვას გულისხმობს. პროფესი-

ული დაწესებულების თანამშრომლებისა თუ სხვა დაინტერესებული პირების ღიაობა დასწრების მიმართ ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, კონსტრუქციული უკუკავშირისა და თვითრეფლექსიის პროცესს. სხვისი მოსაზრების, მუშაობის სტილის, ბუნებრივი/მუშა პროცესის გაცნობა და გაზიარება ამდიდრებს თანამშრომლების გამოცდილებას. შესაბამისად, კარგია, თუ ადმინისტრაციაც წახალისებს სხვადასხვა მოდულის პედაგოგების მეცადინეობებზე ურთიერთდასწრებას, ერთობლივ დაგეგმვასა და ინტეგრირებული მეცადინეობების ორგანიზებას. ამით ისინი უფრო ნათელ და სრულ წარმოდგენას შეიქმნიან იმის შესახებ, თუ როგორ მიუსადაგონ მოდულების სწავლება ერთმანეთს ისე, რომ სტუდენტებმა მაქსიმალური სარგებელი მიიღონ; მაგალითად, დავალებების ისე გაერთიანება, რომ სტუდენტებმა სხვადასხვა მოდულის ფარგლებში დაუფლებული ხარისხის კრიტერიუმების დემონსტრირება ერთ, კომპლექსურ ნამუშევარში ასახონ. ამ მიზნით მასწავლებლებმა შესაძლებელია მოახდინონ საკითხავი მასალის ოპტიმიზაცია; შექმნან ისეთი თვალსაჩინოება ან სასწავლო რესურსი, რომელიც რამდენიმე მოდულის საკითხებს აერთიანებს და ა. შ.

ინკლუზიური განათლების პრინციპების ერთგულება, გარდა დაწესებულების შიგნით დამკვიდრებული თანამშრომლობისა, გულისხმობს გულწრფელ და უშუალო ურთიერთობას ნებისმიერ სხვა სტუმართან:

გარე მონიტორის წარმომადგენელთან – ხარისხის გასაუმჯობესებლად, სტუდენტის ოჯახის წევრთან – მხარდასაჭერად, დაინტერესებულ მოსწავლესთან – პროფესიული ორიენტაციისთვის, დამსაქმებელთან – სასწავლო პროცესისა და

დამსაქმებლის მოთხოვნების დასაახლოებლად, არასამთავრობო ორგანიზაციებთან – ინოვაციური პროექტებისა და პარტნიორობის მიზნით.

ამ შემთხვევაში, სასურველია, დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს მოქნილი წესები, რათა ამ დროს სასწავლო პროცესი არ დაირღვეს.

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული სასწავლო მოდულის ადაპტაცია იმ მასწავლებელს ევალება, რომელიც აღნიშნულ სასწავლო მოდულს უძღვება, სტუდენტთა სასწავლო პროცესის დაგეგმვან განხორციელებისას გადამწყვეტია გუნდურობა. გუნდი იკრიბება თითოეული სტუდენტისთვის და ის ყალიბდება (ა) პროფესიული განათლების იმ მასწავლებლებისგან, რომლებიც უშუალოდ ჩაერთვებიან სტუდენტის სასწავლო პროცესში; (ბ) მხარდამჭერი სპეციალისტებისგან (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები და ასისტენტები) და (გ) დამხმარე სერვისების განმახორციელებელი პირებისგან (ყვესტური ენის თარჯიმნები, მობილობისა და ორიენტაციის ტრენერები და სხვა).

კონკრეტული სტუდენტისთვის შეკრებილი გუნდი ინტერდისციპლინურია. მისი მიზანია მოსწავლისთვის საუკეთესო სასწავლო პროცესის განსაზღვრა და საჭიროების შემთხვევაში მისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება; დამატებითი რესურსებისა და მომსახურების უზრუნველყოფა; დასაქმების ადგილზე მისი წარმატებული და მოქნილი გადასვლის ხელშეწყობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/გეგმების შესაქმნელად და დეტალების დასაზუსტებლად გუნდი სასწავლო პროცესის განმავლობაში იკრიბება საჭიროებისამებრ, სულ მცირე 4-ჯერ მაინც:

- **პირველი შეხვედრა** რეკომენდებულია განმარტოს სწავლის დაწყებამდე, რათა ყველა მასწავლებელმა (რომლებიც კონკრეტული სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩაერთვებიან) იცოდეს, რა არის აუცილებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის. გაზიარებული ინფორმაცია უნდა ეფუძნებოდეს, ერთი მხრივ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის შეფასებას (რომელშიც აღწერილია სტუდენტის შესაძლებლობები და უნარები: მაგალითად, წერა, ანაგარიში, კითხვა, ტრანპორტის მოხმარება და ა. შ.), ხოლო, მეორე მხრივ, ალტერნატიული ტესტირების დროს განხორციელებულ დაკვირვებას.
- **მომდევნო ორი შეხვედრა** რეკომენდებულია დაიგეგმოს სწავლის პროცესის მიმდინარეობისას. მისი მიზანი იქნება სწავლა-სწავლების პროცესის გადახედვა და იმის დადგენა, თუ რა საჭიროებები ვლინდება განათლების მიღების პროცესში და როგორ აღწევს სტუდენტი სწავლის შედეგებს.

რამდენადაც პროფესიული განათლების ორგანიზება გულისხმობს არა ყველა მოდულის ერთდროულ დაწყებასა და დასრულებას, არამედ მხოლოდ გარკვეული მოდულების პარალელურ განხორციელებას და სხვა ახალი მოდულების დამატებას მათი დასრულების შემდეგ, რეკომენდებულია, მასწავლებლების ინტენსიური კონტაქტი და ურთიერთთანამშრომლობა. სპეციალურად ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებელმა, რომლებმაც უკვე ჩაატარეს კონკრეტული მოდული და მიიღეს შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლების გამოცდილება, მნიშვნელოვანია,

მიღებული გამოცდილება სხვა მასწავლებლებსაც გაუზიარონ. გააცნონ მათ სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები, რეკომენდებული სწავლების სტრატეგიები და სხვა გასათვალისწინებელი საკითხები. შესაბამისად, თითოეული მოდულის დასრულებისას ამ მოდულის მასწავლებელმა უნდა მოამზადოს და ჯგუფს წარუდგინოს სტუდენტის მიღწევის ანგარიში.

- **საბოლოო შეხვედრა** სწავლის დამთავრებამდე იმართება, რათა განისაზღვროს: სრულდება თუ არა სასწავლო პროცესი; მოსალოდნელია თუ არა კვალიფიკაციის მიღება; ხომ არ საჭიროებს სტუდენტი სწავლის გახანგრძლივებას დამატებითი პრაქტიკით, სტაჟირებით; რა აქტივობებია დასაგეგმი დასაქმების ხელშეწყობისთვის; სად შეიძლება დასაქმდეს სტუდენტი; ხომ არ დასჭირდება მას დასაქმების ადგილზე „მიყოლის„ მომსახურებით უზრუნველყოფა და ა. შ.

ჯგუფის შეხვედრები ფორმდება ოქმის სახით, რომელიც ინახება პროფესიულ სასწავლებელში. სტუდენტს და/ან მის კანონიერ წარმომადგენელს აქვს უფლება, მოითხოვოს ოქმების ასლები და, სურვილის შემთხვევაში, აქციოს ის ტრანზიციის გეგმის და/ან პორტფოლიოს ნაწილად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სასწავლო პროცესს და, შესაბამისად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების საფუძველზე სწავლებას უნდა გაეწიოს რეგულარული მონიტორინგი. შესაძლებელია, განხორციელდეს როგორც შიდა, ისე გარე მონიტორინგი. ორივე შემთხვევაში მონიტორინგის შედეგად გეგმა/გეგმები ექვემდებარება პერიოდულ ცვლილებებს.

როგორია პროფესიულ სპეციფიკურ დაწესებულებაში ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში ჩართული მუდმივი მხარეების მოვალეობები?

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაცია

ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების პროცესში გადამწყვეტია დაწესებულების ადმინისტრაციის ხედვა და როლი, რადგან ის მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სასწავლებლის შიდა ატმოსფეროს და კულტურას. ადმინისტრაციის ფასულობები, რომლებიც ეფუძნება სიახლეებისადმი გახნილობას/ღიაობას, მოქნილ მოქმედებას (ნაცვლად ხისტი გადაჭრის გზებისა), სტუდენტებისა და თანამშრომლებისადმი ყურადღებთან და მხარდაჭერ დამოკიდებულებას, თბილ და კეთილგანწყობილ სამუშაო ატმოსფეროს ქმნის. ასეთ გარემოში საუბარი საჭიროებებსა და მისი გადაჭრის გზებზე ჩვეული პროცესია, თანამშრომლობა – დაფასებული და, შესაბამისად, მუშაობაც – უფრო პროდუქტიული, ეფექტური და სასიამოვნო. ხარისხიანი მომსახურების განვითარების კატალიზატორი სწორედ ის არის, რამდენად იზიარებს ადმინისტრაცია იმ მოსაზრებას, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების დანიშნულება და წარმატება სწორედ მრავალფეროვანი, განსხვავებული საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევა და თითოეულის წინსვლის ხელშეწყობაა (და არა მხოლოდ მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტების რაოდენობა).

ინკლუზიური განათლების მხრივ ადმინისტრაცია:

- ყურადღებით ეცნობა სტუდენტებისა და თანამშრომლების საჭიროებებს, მოიძიებს, განიხილავს და ნერგავს ამ საჭიროებების გადაჭრის ეფექტურ გზებს;
- ხელს უწყობს და ნაახალისებს თანამშრომლობას;
- რეგულარულად აფასებს და აუმჯობესებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმისაწვდომობას, ნერგავს უნივერსალური დიზაინის პრინციპებს განათლებაში, ახორციელებს ყოველწლიურ თვითშეფასებას, ადგენს განვითარების გეგმას, რომელშიც ინკლუზიის ინდექსი და ინკლუზიის თვისებრივი მახასიათებლებია ასახული;
- ეცნობა ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმებსა და გუნდების მუშაობას, მიმართავს შესაბამის უწყებას დამატებითი მომსახურების, აღჭურვილობის და ა. შ. მოძიებისა და უზრუნველყოფის მიზნით;
- ახდენს შესაბამის ანგარიშგებას;
- მოიძიებს და თანამშრომლობს სოციალურ პარტნიორებთან (დამსაქმებლებთან, შეგირდის მაძიებლებთან, პრაქტიკის ბაზის უზრუნველმყოფ საწარმოსთან და ა. შ.);
- ანაწილებს ბიუჯეტს თანამშრომლების დამატებითი დატვირთვის გათვალისწინებით;
- ახორციელებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგს.

პროფესიული განათლების მასწავლებელი

პროფესიული განათლების მასწავლებელი უმთავრესი პირია სტუდენტის სწავლა-სწავლების პროცესში. ის გადასცემს სტუდენტს პროფესიულ უნარ-ჩვევებს და ხელს უწყობს მას კონკრეტული, დარგისთვის განსაზღვრული კომპეტენციების დაუფლებაში. მასწავლებელი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა სწავლებას და საჭიროების შემთხვევაში მათთვის საკუთარ მოდულში ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენას ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდაჭერ სპეციალისტებთან ერთად.

პროფესიული განათლების მასწავლებელი თვითონვეა საკუთარი სასწავლო კურსის, მოდულის ექსპერტი, რეგულარულად ურთიერთობს სტუდენტთან და, შესაბამისად ყველაზე უკეთ მანიჭის, ამ მოდულის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით, სად არის სტუდენტი სწავლა-სწავლების ამა თუ იმ ეტაპზე. დაკვირვების, შეფასების საფუძველზე სწორედ მასწავლებელს უჩნდება არგუმენტირებული ვარაუდი იმის შესახებ, ხომ არ ესაჭიროება სტუდენტს დამატებითი სასწავლო რესურსი, სწავლების ან შეფასების წესის მორგება ან შეცვლა. ამიტომაც ის:

- მუდმივად აფასებს სასწავლო პროცესს, აღწევს თუ არა სტუდენტი თანმიმდევრულად შესაბამის სასწავლო შედეგებს; საჭიროების შემთხვევაში ახდენს მის აკომოდაციას ანდა მოდიფიკაციას, რასაც აფუძნებს სტუდენტთან ერთად მიღწეული შედეგების, სირთულეების, მოქმედი ფაქტორების დეტალურ ანალიზზე;

- თუ აუცილებელია, გეგმავს და ახორციელებს დამატებით ინდივიდუალურ ან მცირე ჯგუფში სწავლებას;
- ადგენს, რა მხარდაჭერაა საჭირო იმისთვის, რომ სტუდენტმა მაქსიმალურ კომპეტენციას მიაღწიოს;
- მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდურ შეხვედრებში და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირისთვის ტრანზიციის გეგმის შედგენაში;
- თუ შესაძლებელია, ინდივიდუალური ტრანზიციის გუნდთან ერთად განსაზღვრავს, რა არის განათლების მიზანი – სრული თუ ნაწილობრივი კვალიფიკაციის მიღწევა. ამით ის იცავს სტუდენტს იმედგაცრუებისგან და ხელს უწყობს განათლების მიღების ეტაპობრივ დაგეგმვას.

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი უშუალოდ ადევნებს თვალყურს და აქტიურად მართავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო დანესებულებაში ფუნქციონირებისა და საჭირო მომსახურებით უზრუნველყოფის პროცესს.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად აანალიზებს სტუდენტის დოკუმენტაციას, რათა სწავლის დანეებამდე ადეკვატურად, სტუდენტის საჭიროებებისა და შესაძლებლობის შესაბამისად, დაიგეგმოს სასწავლო პროცესი.

საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის დაწყებამდე, გეგმავს დამატებით შეხვედრას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთან ანდა სხვა მნიშვნელოვან პირთან (ოჯახის წევრი, სოციალური მუშაკი, თარჯიმანი და ა. შ.).

ჩართულია ინდივიდუალური ტრანზიციის/სასწავლო გეგმების შექმნაში (საჭიროების შემთხვევაში დამატებით აფასებს სტუდენტს), გარემოს მორგებაში და მასწავლებელთან ერთად აქტიურად მუშაობს სწავლების სტრატეგიებზე.

მოვალეა, თითოეულ სტუდენტის შემთხვევას მიადევნოს თვალი, დარწმუნებული იყოს, რომ დამატებითი სერვისი ან მორგების საჭიროება დაკმაყოფილებულია.

იმავედროულად, ვალდებულია, სასწავლებელში შეიმუშაოს და დაამკვიდროს მიმართვის წესი სტუდენტებისთვის, რათა ნებისმიერ მათგანს, ვისაც სწავლის სირთულეები ექმნება, შეეძლოს მიმართოს მას.

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი (არსებობის შემთხვევაში) ხდება სტუდენტის ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის საკონტაქტო პირი, მხარდაჭერას უწევს სტუდენტს, ჩაერთოს პროფესიული სასწავლებლის ცხოვრებაში, სწავლების პროცესში, სამენარმეო პრაქტიკისას, სამუშაო ადგილის ძიებისას და დასაქმების ადგილზე ახორციელებს „მიყოლის“ მომსახურებას.

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი:

- საკონტაქტო პირია, რომელიც ორგანიზებას უწევს სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურებას პროფესიულ სასწავლებელში და ამ საქმიანობაში იგულისხმება: ინდივიდუალური სწავლება, სწავლის მიტოვების რისკის მართვა, გუნდური შეკრებების ორგანიზება, სასწავლებლის გარეთ არსებული რესურსების მოძიება;
- მჭიდროდ თანამშრომლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთან, პროფესიულ მასწავლებლებთან, ოჯახთან, დამსაქმებელთან;
- კურირებს სასწავლებლის ხელმისაწვდომობის გაზრდის პროცესს როგორც ინდივიდუალური, ისე სტანდარტული ნორმების დაცვის მხრივ (თვითშეფასების ანგარიშის წერა, სტუდენტების მოსაზრებების შეკრება და ა. შ.);
- ინანილებს ასისტენტთან ერთად ფუნქციონირებას.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი ეხმარება სტუდენტს, ჩაერთოს სასწავლო პროცესში მიმდინარე სხვადასხვა აქტივობაში: უწევს დამატებით მხარდაჭერას ფუნქციური აქტივობებისას, სასწავლებლის შიგნით ადაპტაციას, დამოუკიდებლად ფუნქციონირებასა და გადაადგილებაში; ეხმარება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტებსა და მასწავლებლებს ინდივიდუალური გეგმის განხორციელებაში:

- წინასწარ ეცნობა პროფესიულ სასწავლებელში ჩარიცხული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ყველა პირის შესახებ არსებული დოკუმენტაციის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: უსაფრთხოება, ურთიერთობის სტრატეგიები, საკონტაქტო ინფორმაცია;
 - ხვდება სტუდენტს სწავლის დაწყებამდე, ამყარებს რაპორტს (ურთიერთობას, აგებულს პატივისცემასა და ნდობაზე); ეცნობა სტუდენტსა და მისი ოჯახის წევრებს/მეურვეს; აცნობს მათ თავის მუშაობის წესს; სწავლობს პიროვნებას, მის მოლოდინებს, სურვილებს, ინტერესებს, კომუნიკაციის სტილს, შიშს/რისკებს, ასისტირების საჭიროებებს; დეტალურად ერკვევა, წარსულსა და აწმყოში რა მოქმედების დროს საჭიროებდა სტუდენტი ასისტირებას, ვინ უწევდა აქამდე ასისტირებას (შესაბამისად, არის თუ არა ასისტირების გადაბარების შესაძლებლობა ან გარკვეული ინსტრუქტაჟის ჩატარების შესაძლებლობა), რა ტიპის ასისტირება ესაჭიროება (ვერბალური, ჩვენება, ფიზიკური კონტაქტი/გაკეთებინება, სტუდენტის ნაცვლად შესრულება, სრული/ნაწილობრივი), რა დროით იქნება ასისტირება საჭირო (ხანგრძლივი, ხანმოკლე); ასისტენტი საფუძვლიანად ერკვევა სტუდენტის უსაფრთხოების საკითხებშიც;
 - პროფესიულ სასწავლებელში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობ გუნდთან ერთად (სტუდენტი, მშობელი/მეურვე, მასწავლებლები, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი) სახავეს ასისტირების გეგმას ინდივიდუალური სტუდენტისთვის და ასისტირების ცხრილს – სტუდენტთა ჯგუფისთვის;
 - ახორციელებს ასისტირების გეგმას განრიგის შესაბამისად;
 - აწარმოებს ჩანაწერებს/დოკუმენტაციას;
 - გუნდთან ერთად განიხილავს წამოჭრილ პრობლემებს, მიღწევებს, გადაფასების, დამატებითი რესურსის მოძიების საკითხებს;
 - ასწავლის სხვა პირს (სხვა სტუდენტს, მასწავლებელს, პრაქტიკის ხელმძღვანელს და ა. შ.) ასისტირების ტექნიკას.
- არ არის გამორიცხული, ინკლუზიური პროფესიული განათლების მხარდამჭერი სპეციალისტისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის მოვალეობები გარკვეულ საკითხებში ურთიერთგადამფარავი იყოს. მათ უწევთ ერთმანეთის მოვალეობების შეთავსება, განსაკუთრებით მაშინ, თუ სტუდენტთა რაოდენობა დიდია. ნებისმიერ შემთხვევაში, მოვალეობების გადანაწილება, სიტუაციიდან გამომდინარე, მოლაპარაკების საკითხია. თუმცა ასისტენტის უპირატესი მოვალეობა უკავშირდება სტუდენტის ტექნიკურ მხარდაჭერას ფუნქციური აქტივობების შესრულებისას, ხოლო სპეციალისტისა – სტუდენტის სასწავლო პროცესის ხარისხის მეთვალყურეობასა და ხელშეწყობას.

კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი

კარიერის დაგეგმვის სპეციალისტები არიან ყველა პროფესიულ სასწავლებელში. მათ პასუხისმგებლობას წარმოადგენს პროფესიული სასწავლებლების პოტენციურ სტუდენტებთან შეხვედრა მათი მოზიდვის მიზნით, კონსულტირება პროფესიისა და მომავალი დასაქმების ადგილის შერჩევის პრო-

ცესში, მომზადება დამსაქმებელთან შესახვედრად, სამუშაო ადგილის ძიებისას და სხვა. მნიშვნელოვანია მათი როლი ადგილობრივ დამსაქმებელთან თანამშრომლობის მხრივ – სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკისა და დასაქმების ადგილების განსაზღვრის მიზნით. მათი მთავარი კომპეტენცია და გამოცდილება დამსაქმებელთან ურთიერთობასა და პრაქტიკის ბაზებთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს უკავშირდება. შესაბამისად, კარიერის დაგეგმვის სპეციალისტის როლი გადამწყვეტია ისეთი საკითხების მოგვარებისას, როგორებიცაა: სასწავლო პრაქტიკის ადგილის მოძიება და წინასწარი მომზადება სპეციალური საგანმანათლებლო საჭროების მქონე სტუდენტის მისაღებად; დამსაქმებელთან მოლაპარაკება ინკლუზიური განათლებისა და დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების საკითხებზე, ამ პროცესში დამსაქმებლის წვლილის ნათელყოფა/ჩვენება.

კარიერის დაგეგმვის სპეციალისტი:

- მონაწილეობს ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში;
- კონსულტაციას უწევს სტუდენტს პროფესიისა და მომავალი დასაქმების ადგილის შერჩევას, მხარდაჭერას – პრაქტიკის ბაზის, დამსაქმებლის მოძიებაში;
- დამსაქმებელთან ახდენს სტუდენტის ადვოკატირებას;
- განსაზღვრავს მიყლის სერვისის აუცილებლობას და მონაწილეობს დასაქმების ადგილზე ამ სერვისის განხორციელებაში.

როგორია პროფესიულ სპეციალურ დაწესებულებაში ინკლუზიური პროფესიული განათლების პროცესში ჩართული მხარდაჭერი სპეციალისტების მოვალეობები?

შესაძლებელია, კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო გახდეს დამატებითი მომსახურების განწევა, როგორცაა:

სპეციალური ასისტენტი

- პირი, რომელიც სწავლის პროცესში ეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს შენობაში გადაადგილებისას; მხარდაჭერას უწევს სველი წერტილის გამოყენებისას; უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას საცხოვრებელი ადგილიდან სასწავლებლამდე და უკან;
- პირი, რომელიც პანსიონში მცხოვრებ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტს მხარდაჭერას უწევს ადეკვატურ ფუნქციონირებასა და ქცევის მართვაში.

სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერი

პირი, რომელიც უსინათლო სტუდენტს ასწავლის პროფესიული სასწავლებლის შენობაში/საწარმოო პრაქტიკის ადგილზე ორიენტირებას, საცხოვრებელი ადგილიდან სასწავლებლამდე და უკან მარშრუტს.

ჟესტური ენის თარჯიმანი

პირი, რომელიც ყრუ სტუდენტს ჟესტურ ენაზე უთარგმნის სასწავლო პროცესს, როგორც თე-

ორიულს, ისე პრაქტიკის ნაწილს. მნიშვნელოვანია, მისი წინასწარი კონტაქტი მასწავლებლებთან ძირითადი ტერმინოლოგიის განხილვის მიზნით, რათა მეცადინეობისას დრო არ დაიხარჯოს ტერმინების დაზუსტებაზე.

მძლოლი

პირი, რომელიც ტრანსპორტით უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების

მქონე პირის გადაყვანას საცხოვრებლიდან სასწავლებლამდე/პრაქტიკის ბაზამდე და უკან.

სანიტარი

პირი, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტირებას პირადი ჰიგიენის უზრუნველყოფისას.

შეჯამება

საბოლოოდ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ნებისმიერ თანამშრომელს ევალება საჭიროებისამებრ, მისი კომპეტენციის ფარგლებში, შეაფასოს სტუდენტის შესაძლებლობები და საჭიროებები, მონაწილეობა მიიღოს გუნდურ შეხვედრაში, გაუზიაროს თავისი და გაითვალისწინოს სხვათა მოსაზრებები, შეათანხმოს სამუშაო მიზნები, მიჰყვეს მათ და გადააფასოს საკუთარი მუშაობის პროცესი. გუნდური მუშაობით პროფესიული განათლების დაწესებულების თითოეულ თანამშრომელს წვლილი შეაქვს სტუდენტზე ორიენტირებული მომსახურების, ინკლუზიური სასწავლო გარემოს უზრუნველყოფისა და საკუთარი პროფესიული განვითარების პროცესში.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ გუნდური და კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობის სახელმძღვანელო პრინციპებია:

- სტუდენტის საჭიროებასა და მიზნებზე ორიენტირება;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ოჯახის წევრის აქტიური მონაწილეობა ყველა იმ პროცესის განხილვასა და გადაწყვეტაში, რომლებიც მის განათლებასა და ცხოვრებას ეხება;
- მონაწილეებს შორის ურთიერთპატივისცემა და პასუხისმგებლობების განაწილება;
- მონაწილეებს შორის ღია კომუნიკაცია;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა;
- პროცესზე თვითრეფლექციის, მისი მონიტორინგისა თუ გასაჩივრების მექანიზმის არსებობა.

თავი 8:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სასწავლო პროგრამის შეფასება

მოცემულ თავში აღწერილია სპეციალური საგანმანათლებლო სჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროგრამის შეფასების პროცესი. აღსანიშნავია, რომ შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი და თანამდევია ნაწილია და ის სასწავლო გარემოში მუდმივად მიმდინარეობს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მკითხველს ახსოვდეს, რომ ქვემოთ აღწერილი პროცესი პროფესიული მასწავლებლის ყოველდღიური მუშაობის ასპექტსა და მის ლოგიკურ შედეგს ეხება.

პრაქტიკის სახელოსნოში მასწავლებელი აკვირდება სტუდენტების მუშაობის პროცესს. ლევანი ისე დგას ჩარხთან, რომ ფიცრის ნაჭერზე სასურველი ფორმის ამოსაჭრელად დიდი ძალისხმევა ეხარჯება, კარგად არ ჩანს, ფიცარზე ფორმა მოხაზა თუ თვალის ზომით ჭრის; მის გვერდით თავის საქმეში გართული ავთო დამცავი სათვალის გარეშე ამუშავებს ნაკეთობას; მარიამს ნახაზიდან ფიცარზე ზომები გადააქვს; გიორგი ალბათ უკვე 10-15 წუთია, დადის და ზუმფარას ეძებს.

მასწავლებლის დაკვირვების შედეგებიდან სტუდენტის შეფასების ფორმირებამდე უნდა განისაზღვროს შემდეგი ასპექტები:

- შეფასების კონტექსტი (ინკლუზიური სასწავლო გარემო, რესურსი, სასწავლო შედეგი, მიღწევის კრიტერიუმი)
- სტუდენტის მონაწილეობა შეფასების პროცესში
- პოზიტიური, განმავითარებელი შეფასება
- განმსაზღვრელი შეფასება

შეფასების კონტექსტი — ინკლუზიური სასწავლო გარემო

ინკლუზიურ საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტის შეფასებისას ამოსავალი წერტილია მასწავლებლის შინაგანი რწმენა, რომ ნებისმიერ სტუდენტში არსებობს წინსვლისა და წარმატების მიღწევის პოტენციალი. სტუდენტში სწორედ ამ წინსვლის ხელშეწყობაა შეფასების მიზანი. ამგვარი შეფასებისთვის კი საჭიროა, მასწავლებელი ქმნიდეს კეთილგანწყობილ და სტუდენტზე

ორიენტირებულ სასწავლო გარემოს, სადაც ნებისმიერი სტუდენტი თავისუფლად გამოავლენს საკუთარ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს.

ასეთი გარემო, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს ისეთი, რომ ნებისმიერი სტუდენტი თავს დაცულად და კომფორტულად იგრძნობს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯგუფში დამკვიდრდება შემდეგი ფასეულობები: ჯგუფის წევრები დადებითად შეაფასებენ ერთმანეთისთვის დახმარების თხოვნისა და დახმარების განცხადების პრაქტიკას, სწავლის დროს დაშვებული შეცდომების მიმართ ექნებათ ტოლერანტული დამოკიდებულება, ჯგუფის წევრები პატივისცემით მოეკიდებიან სწავლის განსხვავებულ ტემპსა და განუვალ ძალისხმევას, მცდელობასა და შრომას. მასწავლებელი შეფასებისთვის ყურადღებასა და დროს თითოეულ სტუდენტზე საჭიროებისამებრ გაანალიზებს, დაინტერესდება და პატივისცემით მოეკიდება თითოეული სტუდენტის იდეას, ემოციასა და განსხვავებულ მოსაზრებას, ჩაუღრმავდება თითოეული სტუდენტის სწავლის პროცესთან დაკავშირებულ გამოცდილებას: სწავლის სტილს, დამხმარე სტრატეგიებსა და საჭიროებებს.

მასწავლებელმა, სწავლისთვის კეთილგანწყობილი გარემოს შესაქმნელად, უნდა იცოდეს სტუდენტების დამოკიდებულება სასწავლო პროცესის მიმართ. საამისოდ მასწავლებელს შეუძლია დაამკვიდროს სტუდენტთა მხრიდან თვითშეფასების ანკეტის გამოყენების ტრადიცია, რაც მას ნათელ წარმოდგენას შეუქმნის სტუდენტის დამოკიდებულებებსა და დასახულ მიზნებზე მიღებული შედეგების საფუძველზე, მასწავლებელი

სტუდენტებისთვის უნიკალურ, შესაფერის სასწავლო გარემოს ჩამოაყალიბებს.

პროფესიული სტუდენტის სწავლა-სწავლების პროცესის თვითშეფასების ფორმის მაგალითი ⁸ (ადაპტირებულია Rose, Engle-ის წიგნიდან Assessment for Learning in Inclusive Schools)	
სკოლასთან (ან სხვა წინა სასწავლო დანესებულებასთან) დაკავშირებული ჩემი გამოცდილება...	
სკოლაში (ან სხვა წინა სასწავლო დანესებულებაში) ჩემი მიღწევები იყო...	
კარგი მასწავლებლისგან ველი...	
სწავლაში ხელს მიშლის...	
სწავლაში მეხმარება...	
ამ სასწავლო პროგრამით/მოდულით მინდა მივაღწიო...	
ამის მისაღწევად ვაპირებ...	
ამ სასწავლო პროგრამასთან/მოდულთან დაკავშირებით მაღელვებს/მაშინებს...	

ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნისას ასევე მნიშვნელოვანია ჯგუფის მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა. მასწავლებელმა ზუსტად უნდა იცოდეს სწავლა-სწავლებისას ინფორმაციის გაცვლის ხელმისაწვდომობისა და გამჭვირვალობის საკითხები და ითვალისწინებდეს მათ. მასწავლებელმა, შესაძლებელია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად ან მისი დახმარებით, დაადგინოს სტუდენტისთვის ინფორმაციის გაცემისა და მიღების საუკეთესო გზა: მეტყველება, სიმ-

⁸ თვითშეფასების ფორმა, შესაძლოა, მასწავლებელმა სტუდენტთან გასაუბრების დროს და მასთან ერთად შეავსოს ან განიხილოს უკვე შევსებული ანკეტა, ისე როგორც ეს სტუდენტისთვის უფრო მისაღები იქნება.

ბოლოების გამოყენება, ნახაზი, ნაწერი, სურათი, ჟესტური ენა, კითხვის დასმა, კომპიუტერი და ა. შ. შერჩეული და, უკეთეს შემთხვევაში, მრავალფეროვანი საკომუნიკაციო მეთოდებით, სწავლის დასაწყისშივე, მასწავლებელი სტუდენტებს მოდულის ფარგლებში მისაღწევ სასწავლო შედეგებსა და ამ უკანასკნელის პროფესიის ამოცანებთან კავშირს წარუდგენს. მასწავლებლის ამოცანაა, სტუდენტებს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას მოდულის მიზნებსა (რასაც შესაძლებელია 3-7 კვირა ეთმობოდეს) და თითოეული დღის სწავლის შედეგებს შორის არსებულ ბმაზე/მიმართებაზე. მან მკაფიოდ, ყველასთვის ხელმისაწვდომი გზით უნდა წარმოაჩინოს სწავლის მიზნების/შედეგების მიღწევის კრიტერიუმები, რათა სტუდენტებმა, პირველ რიგში, თავად შეძლონ საკუთარი თავის ამ კრიტერიუმების დახმარებით შეფასება.

ხშირ შემთხვევაში, სწავლის შედეგისა და მისი შეფასების კრიტერიუმების დაფაზე დაწერა ან ბარათით წარმოჩენა სტუდენტებს მკაფიო ორიენტირს უზენს და ნათელ წარმოდგენას უქმნის, რა მიმართება არსებობს ყოველდღიურ სასწავლო მიზნებს, შუალედურ და მოდულის მიზნებს შორის. ასეთი სასწავლო გარემო დადებით კლიმატს ქმნის შეფასებისთვის.

სტუდენტის მონაწილეობა შეფასების პროცესში

სტუდენტის პროფესიული განვითარებისა და პიროვნული წინსვლისთვის მასწავლებელი უნდა ცდილობდეს, ჯერ სტუდენტს მისცეს თავისი პროგრესის შეფასების შესაძლებლობა. მასწავლებელმა უნდა წაახალისოს სტუდენტის თვითრეფლექსია: უნდა ჰკითხოვს მას, რით არის თავად

კმაყოფილი, რაზე ამახვილებდა მუშაობა-სწავლის დროს ძირითადად ყურადღებას, რას ცდილობდა, თავად რისი გაუმჯობესება სურს და როგორ აპირებდა ამას, სად ან რაში სჭირდება მისი ან ჯგუფის დამხმარება.

ასეთი მიდგომით, ერთი მხრივ, მასწავლებელს ექმნება შეძლებისდაგვარად სრული წარმოდგენა სტუდენტის პროგრესსა და საჭიროებებზე, ხოლო, მეორე მხრივ, სტუდენტს ეხმარება აითვისოს სწავლის უნარ-ჩვევები, შეაფასოს თავისი შრომა, განსაზღვროს სასწავლო მიზნები, რის შედეგადაც ის ყალიბდება როგორც დამოუკიდებელი შემსწავლელი.

თვითშეფასება ყველაზე ძლიერი, ეფექტური და ფასეული განათლების ნებისმიერ დონეზე და სფეროში (Bruce, 2001; Hattie, Timperley 2007). შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა თვითშეფასება სწავლა-სწავლების ყოველდღიურ რუტინად დაამკვიდროს, წაახალისოს სტუდენტები, დასაწყისშივე დამოუკიდებლად განსაზღვროს ხარისხის კრიტერიუმები და დაინახონ ისინი თავიანთ ნამუშევრებში, დაუსახონ საკუთარ თავს სასწავლო მიზნები, აღიქვან შეფასება სწავლა-სწავლების ნაწილად. ეს ყველაფერი ეხმარება მათ. სწავლა-სწავლების პროცესში გამოასწორონ საკუთარი ნაშრომი უკეთესი შედეგის მისაღწევად. ამისთვის მათ სჭირდებათ მკაფიოდ განსაზღვრული სასწავლო შედეგებისა და მიღწევის ინდიკატორის, კრიტერიუმის წინასწარი გაცნობა, რათა გაითავისონ, რა არის ხარისხიანი ნამუშევარი თუ ნაშრომი. კრიტერიუმების საკუთარი სიტყვებით გამოთქმა და დასაკვირვებელ ინდიკატორად ქცევა ეხმარება სტუდენტებს მუშაობისას. ხშირ შემთხვევაში სტუდენტების გამოწვევა და კრიტერიუმების ფორმულირებაზე სამუშაოდ მათი ჩაბმა მცირე ჯგუფებში ძალზე ეფექტურია და

სენებას, საორიენტაციო კითხვების დასმას (რაც სტუდენტს ეტაპობრივად, თანდათან მიიყვანს გაუმჯობესებამდე), ჩვენება-დემონსტრირებას, კეთებისას დახმარებას, ზოგიერთ შემთხვევაში კი პრაქტიკისთვის მეტი დროის გამოყოფის რეკომენდაციას. ამ დროს მნიშვნელოვანია სტუდენტთან დიალოგი და მისი მოსაზრების მოსმენაც.

მაგალითად, განმავითარებელი შეფასება ამ თავის დასაწყისში აღწერილი მაგალითის შემთხვევაში შეიძლება იყოს ასეთი:

- მასწავლებელი მიდის ლევანთან, და თუ მას სახელმძღვანელოში ან პლაკატზე ჩარხთან დგომის პოზის აღწერა ეგულება (სურათი ან ტექსტი), ლევანს სთხოვს, მოძებნოს ეს პოზა, მოსინჯოს და დააკვირდეს შეგრძნებებს;

თუ მასწავლებელს ჩარხთან დგომის პოზიციის შერჩევის სირთულეები სხვებზეც შეუმჩნევია, ლევანს სთხოვს სამუშაო დროის ბოლო 5 წუთი დაუთმოს ჯგუფელებისთვის იმის დემონსტრირებას, თუ რა ისწავლა დღეს პრაქტიკულად ჩარხთან დგომის პოზის შესახებ.

- თუ მასწავლებელი დარწმუნდა, რომ ლევანი დეტალს ნახაზის გარეშე, თვალის ზომით ჭრის, მასწავლებელმა შეიძლება მას შესრულებული ნამუშევრის დახაზვა და ნახაზის განალიზება სთხოვოს;
- ავთოს შემთხვევაში მნიშვნელოვანია მისი შექება, რომ ჩართული და კონცენტრირებულია სამუშაოზე. მისი განმავითარებელი შეფასება შეიძლება მოიცავდეს კითხვის დასმას – მისი აზრით, უსაფრთხოების დაცვის რომელი წესია ამ შემთხვევაში აქტუალური

და რატომ? რა შეუწყობს ხელს მომავალში ამ წესის დაცვას? (მაგალითად, სტუდენტის პასუხი შეიძლება იყოს დამცავი სათვალის შესაბამის ინსტრუმენტთან ერთად მოთავსება);

- გიორგის შემთხვევაში შესაძლებელია განმავითარებელი შეფასება სახელოსნოში მუშაობის წესების გახსენებას ეხებოდეს – აუცილებელია ინსტრუმენტების გამოყენების შემდეგ თავის ადგილზე მათი დაბრუნება.
- მარიამის შემთხვევაში განმავითარებელი შეფასება იქნება მისი შექება სიზუსტის დაცვის მცდელობისთვის და იმით დაინტერესება, როგორ აპირებს დღეს სამუშაოს დროის მიხედვით განაწილებას.

განმავითარებელი შეფასება მიმართულია მოქმედებაზე. მაგალითად: „გამოყავი სახლში 20 წუთი და გადაიკითხე ფერების შერევის წესები;“ ან „დააკვირდი და იპოვე გადაბმის რომელი კომპონენტია დასამატებელი;“ ან „ასე გააგრძელე, დაახლოებით ერთი თვის პრაქტიკა სჭირდება იმას, რომ ადვილად და სწრაფად ჭრიდე“. შეფასება არავითარ შემთხვევაში არ გადადის პიროვნულ შეფასებაზე, როგორცაა, მაგალითად: „ზარმაცი“, „უყურადღებო“, „მოუქნელი“, და ა. შ.

განმსაზღვრელი შეფასება

განმსაზღვრელი შეფასება სტუდენტის საბოლოო ან შუალედური შეფასებაა, რომელიც ხშირად ჩათვლის ან ქულების სახით გამოიხატება. მისი შედეგი დიდწილად დამოკიდებულია სწორედ სწავლა-სწავლების პროცესზე და ამ დროს მიღებულ უკუკავშირზე. განმსაზღვრელი შეფასება

მნიშვნელოვანია სწავლა-სწავლების პროცესში რამდენჯერმე და სხვადასხვა მეთოდით გაკეთდეს (პორტფოლიო, დაკვირვება, დავალება), რათა მასწავლებელი დარწმუნდეს, რომ სტუდენტებს აქვთ პროგრესი და შეუძლიათ შექენილი სწავლის შედეგების დადასტურება.

ამოსავალი ნერტილი განმსაზღვრელ შეფასებაში პროფესიულ პროგრამაში/მოდულში მოცემული სწავლის შედეგები და მისი შესრულების კრიტერიუმებია, რაც საერთოა ყველა სტუდენტისთვის, მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვისაც.

შესაბამისად, ყველა სტუდენტი ფასდება პროფესიული უნარ-ჩვევების მოთხოვნებისა და პროფესიული სტანდარტის მიხედვით.

პროფესიული პროგრამა, მოდული დაძლეულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი დაადასტურებს პროფესიული პროგრამით განსაზღვრულ ყველა სასწავლო შედეგის მიღწევას.

თუკი სტუდენტისთვის სასწავლო პროცესში განისაზღვრა არა სტანდარტული, არამედ მოდიფიცირებული სწავლის შედეგები, მათი მიღწევის შემთხვევაში, სტუდენტს მოდული დაძლეულად ვერ შეფასდება, რადგან, ამ შემთხვევაში, მას სრულად არ ექნება დაკმაყოფილებული პროფესიული პროგრამის მოთხოვნები.

„ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება – საგანმანათლებლო

პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.“ (მოდულის შემუშავების სახელმძღვანელო).

აღნიშნული ჩანაწერი ხაზს უსვამს სამართლიან მიდგომას, რომლის მიხედვითაც, აღიარება და დაფასება ხდება სტუდენტის ნებისმიერი, სულ მცირე მიღწევისაც, თუმცა კვალიფიკაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭება, თუკი სტუდენტი დააკმაყოფილებს პროფესიული პროგრამის ყველა მოთხოვნას.

ამავდროულად, პროფესიული განათლების თანამედროვე სისტემა, შესაძლებლად მიიჩნევს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტმა მისთვის ხელსაყრელი საშუალებითა და გზებით გამოავლინოს და დაადასტუროს სასწავლო შედეგის მიღწევა. მაგალითად, თუ სხვებისთვის შეფასების ფორმა არის წერილობითი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის, რომელიც ვერ წერს, შეიძლება გამოკითვა ჩატარდეს ზეპირად ან სტუდენტის მიერ მომზადებული აუდიოჩანაწერით, რომელიც შეეხება ზუსტად იმავე საკითხებს, რაზეც სხვები წერენ.

აღსანიშნავია ასევე თეორიული კომპონენტის შეფასების საკითხი. თეორიის ცოდნის შეფასებისას ხშირად გამოიყენება ტესტირება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შემთხვევაში, განსაკუთრებით კარგია, თუ თეორიის ცოდნა მისი პრაქტიკაში გამოყენებით, პრაქტიკული აქტივობით შემონმდება. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრირება შესაძლებელია დემონსტრირების გზით. მაგალითად, ინგლისური ენის საჭირო დონეზე ცოდნა, სტუდენტმა შესაძლებელია დაადასტუროს იმის მიხედვით, თუ როგორ არჩევს საჭირო საღებავს და აზავებს მას, როდესაც საღებავის ქილაზე ინგლისური წარწერაა მოცემული.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი შეძლებს ცოდნისა და პრაქტიკული უნარის სრულად არსებობის დემონსტრირებასა და მასწავლებლის დარწმუნებას, რომ ყველა სასწავლო შედეგი მიღწეულია შესრულების კრიტერიუმისა და კომპეტენციის პარამეტრების სრული დიაპაზონით, მისი კომპეტენციის აღიარება მოხდება, მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის მას განსხვავებული საშუალებების გამოყენება უნევს.

იმ შემთხვევაში, თუკი სასწავლო პროცესში მასწავლებელს სტუდენტისთვის განსხვავებული სწავლის შედეგები ჰქონდა განსაზღვრული, რაც მოდულის ყველა კომპონენტს ვერ ფარავდა, მაშინ მისთვის შეიქმნება ალტერნატიული შეფასების მასალა, რომელიც იმ საკითხებს ფარავს და იმის დემონსტრირებას ითხოვს, რაზეც სტუდენტმა იმუშავა.

სამართლიანობა მოითხოვს, გვახსოვდეს: მიმდინარე შეფასებებისას სტუდენტს იმ ცოდნის დემონსტრირება მოვთხოვთ, რაც მას სასწავლო პროცესში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში გადავეცით. თუმცა ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ჯგუფში მუშაობისას სტუდენტი სპონტანურად, ირიბად იმ კომპეტენციასაც ეუფლება, რაც მასწავლებელს გეგმაში შეიძლება განერილი არ ჰქონდა. ამიტომ, მეორე მხრივ, მასწავლებელმა შესაძლებელია სტუდენტს შეფასებისას რამდენიმე ისეთი ასპექტიც შესთავაზოს, რომლებზედაც მათ უშუალოდ არ უმუშავიათ, თუმცა რისი დაუფლების ალბათობაც შეიძლებოდა მაღალი ყოფილიყო.

თუ სახეცვლილი, დაზუსტებული ინდივიდუალური მიზნები კავშირშია მოდულის სწავლის შედეგთან, ის კონკრეტული პროფესიული უნარ-ჩვევა ან მისი თუნდაც ნაწილი იქნება. შესაბამისად, მეტი ალბათობით შესაძლებელი იქნება ამ შედე-

გის პრაქტიკული გამოყენებისთვის დასაქმების ადგილის მოძიება.

შესაბამისად, აუცილებელია, რომ სტუდენტოს საბოლოო შედეგი/მიღწევა დეტალურად იყოს აღწერილი მოქმედების ტერმინებში და ასახავდეს სრულ დიაპაზონს იმისა, რისი გაკეთებაც მას შეუძლია. მაგალითად, სტუდენტი ახერხებს ერთი ზომის ფილების დაჯგუფებას; ან გამზადებული ნაზავის ათქვეფას ხელით და აპარატივით; სწორი გვირისტის გატარებას ელექტროსაკერავი მანქანით და ა. შ. შეფასების ეფექტური ინსტრუმენტი პორტფოლიოს ანალიზია, სადაც თავმოყრილი და ორგანიზებულია სწორედ ის მტკიცებულებები, რომლებიც სტუდენტის მიღწევის დონეზე მიანიშნებს – ნამუშევრები, მომზადებული მასალა, სხვადასხვა ადამიანისგან მიღებული უკუკავშირები და განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასებები.

ხანდახან ხდება ისე, რომ მასწავლებელი თვალს ხუჭავს შესრულების ხარისხზე და „ჩუქნის“, სტუდენტს ქულას. ასეთი მოქმედება „დათვრი სამსახურია“, – დასაქმებისას სწორედ შესრულების ხარისხი ფასდება და ეს სტუდენტისა და დამსაქმებლისთვის იმედგაცრუების წყარო ხდება. უმჯობესია, პროფესიული სასწავლებელი ორიენტირებული იყოს იმაზე, რომ სტუდენტმა კონკრეტული სამუშაო უნარ-ჩვევა, თუნდაც მცირე, მაგრამ სამუშაოს კომპონენტი, ხარისხიანად შეასრულოს და მართლაც პროდუქტიული იყოს, ვიდრე მცდარი წარმოდგენა შეუქმნას სტუდენტსაც და დამსაქმებელსაც.

შემთხვევა, როდესაც სტუდენტი მოდულის სასწავლო შედეგებს ვერ აღწევს, გასაანალიზებელი და გუნდურ განხილვაზე გასატანი საკითხია, რათა მოიძებნოს მისი გაუმჯობესების გზები:

რესურსის, დამატებითი მომსახურების მოძიების მიზნით. შესაბამისად, ეს საკითხი განმსაზღვრელი შეფასებისას არ არის აღმოსაჩენი, რადგან განმავითარებელი შეფასება უკვე იძლევა ამის პრევენციისთვის საჭირო ინფორმაციას. გუნდურ განხილვაზე სტუდენტის პროგრესის ანალიზის

საფუძველზე უნდა გადაწყდეს, თუ რა დამატებითი მომსახურება, დრო ან პრაქტიკაა საჭირო იმისთვის, რომ სტუდენტმა თავისი პოტენციალის სრული რეალიზება და პროფესიის შესაბამისი კომპეტენციის დაუფლება შეძლოს.

შეჯამება

შეფასების ძირითადი მიზანია სტუდენტის მხარდაჭერა უნარ-ჩვევების ათვისების პროცესში. შეფასებისას შედარება ხდება არა სხვადასხვა სტუდენტის მიღწევებისა ერთმანეთთან, არამედ კონკრეტული სტუდენტის მიღწევისა მის წინა მიღწევასა და სასწავლო შედეგთან. მასწავლებლის ოსტატობა სწორედ ის არის, რომ ხელი შეუწყოს სტუდენტს პროგრესის მიღწევაში: აჩვენოს სწავლის შემდეგი საფეხური, ან მიეხმაროს, რათა მან თავად იპოვოს, რა არის მისთვის სწავლის შემდეგი საფეხური.

კვლევა ადასტურებს, რომ სტუდენტის სწავლის პროცესის გაუმჯობესება შესაძლებელია, თუ მისი შეფასების სტილი შეიცვლება და მასში თავად სტუდენტი მიიღებს მონაწილეობას, სასწავლო მიზნები და შეფასების კრიტერიუმები სტუდენტს წინასწარ ეცოდინება, შეფასება იქნება პოზიტიურ უკუკავშირზე აგებული, ნახალისდება თანამშრომლობა, რეფლექსია და თვითრეგულაცია (Black, William, 1998; Hattie, 2009 in Engh, Rose). შეფასება უნდა ასახავდეს სტუდენტის მიღწევებსა და წინსვლას.

ზემოთ აღწერილი საკითხები სრულად ეხმიანება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, რომლის თანახმად:

- მასწავლებელი უნდა აცნობიერებდეს ურთიერთკავშირს სასწავლო მიზანს, შეფასებასა და სწავლა-სწავლებას შორის და საკუთარ საქმიანობაში იყენებდეს შეფასების სხვადასხვა ფორმას;
- იცავდეს შეფასების ძირითად პრინციპებს;
- იყენებდეს შეფასების შედეგებიდან მიღებულ მონაცემებს სტუდენტთა აკადემიური საჭიროებების განსაზღვრისა და სწავლების გაუმჯობესების მიზნით;
- რთავდეს სტუდენტებს შეფასების პროცესში, რათა ისინი აცნობიერებდნენ და ინაწილებდნენ პასუხისმგებლობას თავიანთ შეფასებასა და პროფესიულ განვითარებაზე (მუხლი 9. შეფასების მეთოდები, 2011).

საბოლოო შეფასების ფურცელში, იქნება ეს სერტიფიკატი თუ სტუდენტის აკადემიური მოსწრების ბარათი, დეტალურად უნდა იყოს განმარტებული, რისი დემონსტრირება შეუძლია სტუდენტს, რათა რეალისტური იყოს მისთვის სამუშაოს მოძიება და დასაქმება.

თავი 9:

სპეციალური სემინარები სპორტის მქონე კონკრეტული სპორტის მხარეში

გიორგი 29 წლის ახალგაზრდაა. ცხოვრობს მამიდასთან ერთად. მამიდა არ მუშაობს. გიორგის აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი და იღებს პენსიას. მას ბავშვობაში დაუდგინეს ქრონიკულად მიმდინარე ეპილეფსიის დიაგნოზი, რომელიც რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული ეპილეფსიური შეტევის სახით ვლინდება. ის ყოველდღიურად იღებს ეპილეფსიური შეტევის საწინააღმდეგო წამლებს.

გიორგი სკოლაში 8 წლის შევიდა. 12 წლის წინ მან საშუალო განათლების საფეხური (IX კლასი) დაასრულა. იმის გამო, რომ გიორგის სწავლა უჭირდა, მან სრული საშუალო განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელება აღარ მოინდომა.

აღნიშნული ინფორმაცია შესაძლებელია აისახოს სპეციალურ ანკეტაში რომელიც მოცემულია დანართში (იხ. დანართი №3).

წელს გიორგიმ მამიდასთან ერთად გადაწყვიტა, სწავლა პროფესიულ სასწავლებელში გაეგრძელებინა. ოჯახმა ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალობა აარჩია – გიორგი დროს ხშირად ატარებს ოჯახის კუთვნილ ავტოფარეხში, რომელსაც მენაღე მათგან ქირაობს და ამ ავტოფარეხში მას ფეხსაცმელების ინდკერვისა და შეკეთების სახელოსნო აქვს მოწყობილი. გიორგის მოსწონს სახელოსნოში მენაღესთან საუბარი და მისი მუშაობის პროცესზე დაკვირვება. გიორგის აზრით, კარგი იქნებოდა, თუკი ფეხსაცმლის შეკეთებას ისწავლიდა და მენაღესთან ერთად ფეხსაცმლის შეკეთების შეკვეთებზე იმუშავებდა.

პროფესიულ სასწავლებლებში სწავლის მსურველთა რეგისტრაციის გამოცხადების პერიოდში გიორგიმ, მამიდის დახმარებით, გაიარა ელექტრონული რეგისტრაცია და შესაბამის გრაფაში მიუთითა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არსებობა. გიორგის რამდენიმე დღეში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის წევრები დაუკავშირდნენ, მისი ფუნქციური და აკადემიური უნარები შეაფასეს და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი დაუდგინეს. ქვემოთ შეჯამებულია შეფასების შედეგები, გიორგის შესაძლებლობები და საჭიროებები:

წელს გიორგიმ მამიდასთან ერთად გადაწყვიტა, სწავლა პროფესიულ სასწავლებელში გაეგრძელებინა. ოჯახმა ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სპეციალობა აარჩია – გიორგი დროს ხშირად ატარებს ოჯახის კუთვნილ ავტოფარეხში, რომელსაც მენაღე მათგან ქირაობს და ამ ავტოფარეხში მას ფეხსაცმელების ინდკერვისა და შეკეთების სახელოსნო აქვს მოწყობილი. გიორგის მოსწონს სახელოსნოში მენაღესთან საუბარი და მისი მუშაობის პროცესზე დაკვირვება. გიორგის აზრით, კარგი იქნებოდა, თუკი ფეხსაცმლის შეკეთებას ისწავლიდა და მენაღესთან ერთად ფეხსაცმლის შეკეთების შეკვეთებზე იმუშავებდა.

შეფასების შედეგების შეჯამება	
შესაძლებლობები	საჭიროებები
გიორგის ინტერესები: თავსატეხის აწყობა, ტელევიზორის ყურება, მობილურ ტელეფონში თამაში, ხატვა და ძერწვა.	ინტერესების წრის გასაფართოებლად საჭიროებს სხვის მხარდაჭერას, კერძოდ, ვინმეს მიერ სხვა არსებული აქტივობების გაცნობას და მათი მოსინჯვის პროცესის სხვასთან ერთად დაგეგმვას (მაგალითად, მოდი, ხვალ კინოში ან პარკში წავიდეთ).
გიორგი გადაადგილდება დამოუკიდებლად, როგორც შენობაში, ისე გარეთ. უსაფრთხოდ მოძრაობს ქუჩაში და ნაცნობ მარშრუტებზე იყენებს ნებისმიერი ტიპის საზოგადოებრივ ტრანსპორტს.	უცხო მარშრუტს დაახლოებით 7-10 გამეორების შემდეგ დაისწავლის.
გიორგი დამოუკიდებლად ზრუნავს საკუთარ თავზე: საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებით იმზადებს და დანა-ჩანგლის გამოყენებით მიირთმევს საკვებს, იცავს ჰიგიენის წესებს, მანიპულირებს შესაბამისი საგნებით.	მაკრატლის გამოყენებისას, როდესაც საზღვრების დაცვა მნიშვნელოვანია, საჭიროებს წინასწარ მითითებას, რათა შესაბამისად მიმართოს მაკრატლის პირი.
გიორგი კომუნიკაციას ამყარებს ქართულ ენაზე. გამოხატავს თავის დამოკიდებულებას 2-3-სიტყვიანი წინადადებებით. ესმის სხვისი საუბარი, რომელიც მოკლე წინადადებებითა და ხშირად გამოყენებული სიტყვებითაა შედგენილი. ერიდება კონფლიქტურ სიტუაციას.	როგორც წესი, კომუნიკაციას თავად არ წამოიწყებს, ურთიერთობის დასაწყებად საჭიროებს კეთილგანწყობილი ატმოსფეროს შექმნასა და ნახალისებას. შესაძლებელია, საუბრისას საჭირო გახდეს გრამატიკულად გაუმართავი წინადადებების შინაარსის დაზუსტება, იშვიათად გამოყენებული სიტყვების გასაგებად კი თვალსაჩინოების ან განმარტების გამოყენება. სიტუაციაში, სადაც საკუთარი პოზიციის დაცვა უნევს, საჭიროებს სხვის მხარდაჭერას, მაგალითად, რიგში დგომისას თუ წინ ჩაუდგენენ ან გადაასწრეს, თავად არ რეაგირებს.

შეფასების შედეგების შეჯამება	
შესაძლებლობები	საჭიროებები
<p>გიორგი მარტივი ტექსტის კითხვისას შინაარსს იგებს, პასუხობს ამ ტექსტთან დაკავშირებულ კითხვებს.</p> <p>ნაკითხულიდან ჩაიწერს საკვანძო სიტყვებს. წერს კარნახით 2-3-სიტყვიან წინადადებებს. ცნობს და წერს რიცხვებს.</p> <p>თვლის საგნებს 30-ის ფარგლებში.</p> <p>ცნობს ფულის კუპიურებს.</p> <p>ცნობს გეომეტრიულ ფიგურებს.</p> <p>ცნობს დღის დროს (დღე/ღამე).</p>	<p>კითხვისას საჭიროებს დიდ დროს.</p> <p>თხრობისას საჭიროებს წახალისებას კითხვების დასმით.</p> <p>ნაწერში, სადაც პუნქტუაციის ნიშნებისა და მსგავსი ულერადობის ბგერა/ასოს გამოყენება განსაზღვრავს შინაარსს, საჭიროებს წინადადების შინაარსის დაზუსტებას.</p> <p>10-ის ფარგლებში მიმატება-გამოკლებისას საჭიროებს საგნების ან თითების გამოყენებას და ინსტრუქციის გამეორებას.</p> <p>ანგარიშისთვის საჭიროებს კალკულატორის გამოყენების სწავლას.</p> <p>საჭიროებს ფულით მანიპულირების, დროის განსაზღვრის, სივრცითი მიმართებების გაგებისა და საზომ ერთეულებში გარკვევის სწავლას.</p>
<p>რაიმე ცხოვრებისეული ამოცანის შესრულებისას გიორგი ყურადღებას ამახვილებს ამოცანაზე, იმახსოვრებს ამოცანის შესასრულებელ ერთნაბიჯიან ინსტრუქციას.</p> <p>ერთ კატეგორიაში შემავალ ობიექტებს ასახელებს და ცნობს. ცნობს და ასახელებს აგრეთვე ძირითად ფერებს.</p>	<p>ამოცანის შესრულებისას, თუ საჭიროა ყურადღების გადატანა და გადანაწილება, საჭიროებს ზეპირ მითითებას. ამოცანის მოთხოვნების გასახსენებლად საჭიროებს დროს.</p> <p>ობიექტების კატეგორიაში გაერთიანებისას საჭიროებს ახსნას და დახმარებას.</p>

ალტერნატიული პროფესიული ტესტირებით გიორგი არჩეულ პროგრამაზე ჩაირიცხა.

ტესტირების შემდეგ სასწავლო პროცესის ეფექტიანი ორგანიზებისთვის პროფესიულ სასწავლებელში გაიმართა გუნდური შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ:

- ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა პროფესიული მასწავლებელი;

- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი;
- პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი;
- ხარისხის მართვის მენეჯერი;
- გიორგი.

შეხვედრას უძღვებოდა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, რომელმაც მოკლედ შეაჯამა გიორგის შესახებ არსებული ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეც-

ნიერების სამინისტროს ექსპერტთა გუნდის შეფასების ფორმისა და პროფესიული ტესტირების ალტერნატიული ფორმით ჩაბარების დროს შეესაბამებული დოკუმენტაციის საფუძველზე, განმარტა და წარადგინა შეხვედრის მიზანი:

- სასწავლო პროგრამის დაგეგმვა გიორგის საჭიროებების გათვალისწინებით;
- საჭირო მოსამზადებელი სამუშაოს დაგეგმვა, რესურსების მომზადება და პასუხისმგებლობების განაწილება.

შეხვედრის ელექტრონული ოქმის გაფორმებაზე პასუხისმგებლობა იტვირთა საინფორმაციო ტექნოლოგიების მოდულის მასწავლებელმა.

ამის შემდეგ თითოეულ მასწავლებელს მიეცა შესაძლებლობა, მოკლედ აღენერა იმ პროფესიული მოდულის სწავლების სპეციფიკა, რომელსაც გაუძღვებოდა სასწავლო პროცესში, გიორგის საჭიროებების ანალიზის საფუძველზე გამოეთქვა ვარაუდი სწავლების პროცესში ცვლილებების შეტანის საჭიროებაზე, რათა მოდული მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გამხდარიყო გიორგისთვის.

პროფესიული პროგრამის მასწავლებლები შეთანხმდნენ, რომ, გიორგის საჭიროებებიდან გამომდინარე, მთელი ჯგუფისთვის შეექმნათ რამდენიმე სასწავლო რესურსი [უნივერსალური დიზაინის გათვალისწინებით], რომელიც მოსადადეგი იქნებოდა ყველა მოდულის ფარგლებში ყველა სტუდენტისთვის და ხელს შეუწყობდა სწავლა-სწავლების პროცესს. მსჯელობის შედეგად განისაზღვრა პირველი ეტაპის მიზნები და აქტივობები:

1. შექმნილი სასწავლო რესურსების შექმნა და მართვისთვის საჭირო პირობების შექმნა:



1. პლაკატი სპექტრის ფერების ლაქებითა და ქართულ-ინგლისური წარწერებით

არგუმენტაცია: გიორგი ცნობს ძირითად ფერებს, თუმცა პროფესიაში მნიშვნელოვანია პალიტრის სხვა ფერების ცნობა და მათი ინგლისური დასახელების ამოცნობა. გიორგი კითხულობს მარტივ ტექსტს, ამიტომაც ის იოლად შეძლებს ასეთი სასწავლო პლაკატის გამოყენებას. პლაკატი სასარგებლო რესურსად განისაზღვრა სხვა სტუდენტებისთვისაც, დამხმარე ფერების ინგლისური დასახელებების დასამახსოვრებლად.

პასუხისმგებელი პირები: ხატვისა და უცხოური ენის მასწავლებლები.

აქტივობის განხორციელების ვადა: სწავლის დაწყებამდე.

2. პროფესიული ტერმინოლოგიის განმარტებითი და ინგლისური შესატყვისების ლექსიკონი თანდართული თვალსაჩინო ფოტოებითა და სიმბოლოებით – ჩამონათვაში იქნება პროგრამაში გამოყენებული ინსტრუმენტები, ნედლეული, დაზგები, სამუშაოს შესრულების სპეციფიკური უნარ-ჩვევები.

არგუმენტაცია: გიორგისთვის რთულია იმ სიტყვების მნიშვნელობის გაგება, რომლებიც ხშირად არ გამოიყენება. შესაბამისად, მას შეიძლება პროფესიული ტერმინოლოგიის მნიშვნელობის ზუსტი წვდომა და აქტიური გამოყენება გაუჭირდეს. შესაბამისად, ის საჭიროებს დამატებით რესურსს – თვალსაჩინოებას სიტყვათა განმარტებით. აღნიშნული რესურსი დაეხმარება მას ახალი ტერმინოლოგიის ათვისებაში. ის ამავდროულად სასარგებლო საშუალება იქნება ჯგუფის ყველა სტუდენტისთვის ტერმინოლოგიისა და ინგლისური დასახელებების ათვისებისას.

პასუხისმგებელი პირები: საინფორმაციო ტექნოლოგიების, უცხოური ენის, ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სანარმოო პრაქტიკის მასწავლებელი.

აქტივობის განხორციელების ვადა: სწავლის დაწყებამდე.

3. სახელოსნოს უჯრებისა და თაროების, დაზგა-დანადგარების ორგანიზება წარწერებით – რომელ უჯრაში/თაროზე რა ინახება და სად რა უსაფრთხოების წესებია დასაცავი

არგუმენტაცია: დაეხმარება გიორგის და მთელ ჯგუფს სწავლისას უსაფრთხოების დაცვაში, თვითორგანიზებასა და შესაბამისი ტერმინოლოგიისა და წესების ათვისებაში.

პასუხისმგებელი პირები: ფეხსაცმლისა და ტყავის აქსესუარების სანარმოო პრაქტიკის მასწავლებელი, ყველა ტიპის კონსტრუირებისა და ტექნოლოგიის მოდულების მასწავლებლები.

აქტივობის განხორციელების ვადა: სწავლის დაწყებამდე.

4. პროფესიული პროგრამის საკითხავი მასალის ორგანიზება ერთად, ენის გამართივება, თვალსაჩინოებით გამდიდრება და აუდიოჩანაწერის შექმნა

არგუმენტაცია: გიორგი კითხულობს მარტივ ტექსტს, თუმცა წელი ტემპით. ამავე დროს, ხშირად სხვა სტუდენტებიც არიან საკითხავი მასალის დამუშავებას თავს. თუკი სტუდენტებს მასალის ათვისების მოტივაცია გაეზრდებათ და ისინი უფრო დიდი წარმატებით გაუმკლავდებიან გამოწვევებს, საკითხავი მასალის მრავალმხრივად მიწოდებით (სმენით, ილუსტრაციებით) გამართლებული იქნება მასალის სხვა ფორმატში მომზადება – მაგალითად, აუდიოვერსიების შექმნა. მრავალფეროვანი მასალა გამოადგება ყველას.

პროფესიული პროგრამის სასწავლო მასალის ერთად შეკვრა გაუადვილებს სტუდენტებს სხვადასხვა მოდულის ფარგლებში მიღებული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებასა და გამთლიანებას,

რაც სწავლა-სწავლების ხარისხს გაზრდის. მოცემული რესურსი მომავალშიც გამოადგება ყველა სტუდენტს.

პასუხისმგებელი პირები:

ყველა მოდულის მასწავლებელი – ისინი გადახედვენ საკითხავ მასალას, გაამარტივებენ ტექსტს და მიაწვდიან ინკლუზიური განათლების სპეციალისტს.

ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი – რომელიც ამზადებს ერთიან საკითხავ მასალასა და აუდიოჩანაწერს.

აქტივობის განხორციელების ვადა: სწავლის დაწყებამდე.

2. ინსტრუქციის ხელმისაწვდომობის მიზნით, გიორგისთან და მთელ ჯგუფთან სწავლაის შემდეგი სტრატეგიის გამოყენება უნივერსალური დიზაინი სწავლებაში:

1. ნებისმიერი ინსტრუქცია აიგება მარტივი სიტყვებით; რთული სიტყვა განმტკიცდება თვალსაჩინო მანიშნებით;
2. ნებისმიერი დავალება დაიყოფა ერთნაბიჯიან ამოცანებად; ამოცანების თანმიმდევრობა მოცემული იქნება თვალსაჩინოდ. მაგალითად, მასწავლებელი დაფაზე ჩამონერს ამოცანებს და გვერდით დახატავს (მიაკრავს) შესაბამის თვალსაჩინოებას (პროდუქტს, მოქმედებას და ა. შ.)

ის, რაც თანმიმდევრობით სრულდება (ანუ ჯერ ერთი ამოცანა, შემდეგ მეორე) ჩამოინერება ერთმანეთის ქვეშ; ხოლო ის ამოცანები, რომლებიც პარალელურად სრულდება და შესრულების თანმიმდევრობას მნიშვნელობა არ აქვს, დაფაზე გაერთიანებული იქნება გამაერთიანებელი ფრჩხილის სიბოლოთი „„“. მაგალითად, ერთ დეტალზე ნებოს ნასმა (ა), ამასობაში მეორე დეტალზე ზედმეტი ნაწილის შემოჭრა (ბ) და ისევ დაბრუნება ნებონასმულ დეტალთან მის დასანებებლად (გ) – ჩამონერილია დაფაზე ცალკე ნაბიჯებად და მათგან წამოსული ისრები აღნიშნულია გამაერთიანებელი ფრჩხილით.

არგუმენტაცია: ასეთ შემთხვევაში გიორგისა და სხვა სტუდენტებსაც ნაკლებად დასჭირდებათ მასწავლებლის მხრიდან ინსტრუქციის გამეორება, მასწავლებელს ექნება მეტი შესაძლებლობა, მუშაობის პროცესში მივიდეს თითოეულ სტუდენტთან შესაბამისი განმავითარებელი უკუკავშირისთვის.

ვადა: სწავლის პროცესის დროს მუდმივად, უშუალოდ მეცადინეობის დაწყებამდე დაფაზე მონახაზის მომზადება.








სწავლის დაწყებამდე დაიგეგმა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ასისტენტის, გიორგისა და მისი მამიდის ერთობლივად ჩასატარებელი დამატებითი, ინდივიდუალური სამუშაოც შემდეგი ფუნქციური მიზნების მისაღწევად:

1. გიორგი ორიენტირებს პროფესიული სასწავლებლის დერეფნებში, აგნებს ოთახებსა და სახელოსნოებს.

პასუხისმგებელი და მონაწილე პირები: გიორგი, ასისტენტი.

- გიორგი დამოუკიდებლად იყენებს ტრანსპორტს შემდეგ მარშრუტებზე: სახლიდან პროფესიულ სასწავლებლამდე, პრაქტიკის ბაზამდე და უკან.


ლარი და თეთრები

	2 x	
=	5 x	
	10 x	
	20 x	
	50 x	
	100 x	

პასუხისმგებელი და მონაწილე პირები: გიორგი, მამიდა.

- გიორგი მობილური ტელეფონის ელექტროსაათისა და სასწავლო ცხრილის გამოყენებით დროულად მიდის ლექციისა თუ პრაქტიკის ადგილზე.

პასუხისმგებელი და მონაწილე პირები: გიორგი, ასისტენტი.



- გიორგი მობილური ტელეფონის, გამომთვლელი მანქანის გამოყენებით ანგარიშობს (+/- და ·/:) და ხსნის ამოცანებს ამა თუ იმ ზომის ტყავის ნაჭერზე ამა თუ იმ ზომის რამდენი თარგი დაეჭვა და ა. შ.

პასუხისმგებელი და მონაწილე პირები: გიორგი, ასისტენტი, მასწავლებელი.

- გიორგი დამხმარე ჩანაწერის საფუძველზე მანიპულირებს ფულით ახლომდებარე მაღაზიაში წასახემსებელი პროდუქტის საყიდლად [5 ლარის ფარგლებში].

პასუხისმგებელი და მონაწილე პირები: გიორგი, ასისტენტი, მამიდა.

- სიგრძის საზომი ერთეულების თვალსაჩინოების გამოყენებით გიორგი ქალაქის, ტყავის დეტალების გასაზომად იყენებს სახაზავსა და სანტიმეტრის ლენტს.

პასუხისმგებელი და მონაწილე პირები: გიორგი, ასისტენტი, მასწავლებელი.

შენიშვნა: ჩამონათვალში გამუქებულია გიორგისთვის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ შექმნილი დამხმარე საშუალებები.

გარდა ამისა, გუნდი შეთანხმდა, რომ:

- სასწავლო პროცესის დროს თითოეული მოდულის პროფესიული მასწავლებელი აწარმოებს ჩანაწერებს გიორგის სასწავლო პროცესსა და შეფასებებთან დაკავშირებით.

- ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და ასისტენტი დაესწრებიან დააკვირდებიან სხვადასხვა მოდულის მიმდინარეობას.
- გიორგი შეაგროვებს და მოაწესრიგებს საკუთარ ნამუშევრებს პროფესიულ პორტფოლიოში, დააკვირდება თავის სასწავლო პროცესს.

სწავლის დაწყებიდან 2 კვირის შემდეგ გიორგი და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი შეხვდებიან და განიხილავენ სასწავლო პროცესს, ხომ არ იჩინა თავი რაიმე საჭიროებამ. საჭიროების შემთხვევაში ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს მიმართავს ნებისმიერი მოდულის მასწავლებელიც. თუ მანამდე არ წარმოიშვა გუნდური შეხვედრის საჭიროება, სასწავლო პროცესის 1/3-ის გასვლის შემდეგ (ამ კონკრეტული პროგრამის შემთხვევაში სწავლის დაწყებიდან 9 კვირის შემდეგ) ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი ჩანიშნავს და გაუძღვება მულტიდისციპლინურ გუნდურ შეხვედრას.

აღნიშნული ინფორმაცია აისახება ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმის დოკუმენტში

სწავლის პროცესში, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს გიორგისთვის ინდივიდუალური გეგმის შექმნის საჭიროებით ერთ-ერთი მოდულის – ნავისებური ფეხსაცმლისა და ნახევარწალის მოდელირება-კონსტრუირების მასწავლებელმა მიმართა. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტმა დეტალურად განიხილა მასწავლებელთან ის მიზეზები, რომელთა გამოც მიზანშეწონილად მიიჩნევა

გიორგის ინდივიდუალური გეგმით სწავლებას. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი რომ დარწმუნებულიყო გადაწყვეტილების სისწორეში, ის დაესწრო ერთ-ერთ მეცადინეობას, რის შემდეგაც დაუდასტურა მასწავლებელს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების საჭიროება.

მასწავლებელმა ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად გიორგისთვის შეიმუშავა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას მასწავლებელმა იხელმძღვანელა მოდულის სტანდარტული ჩანაწერის ფორმით, და ის ცვლილებები, რომლებიც გიორგისთვის ინდივიდუალურად დაზუსტდა, თვალსაჩინოდ ასახა სტანდარტული ჩანაწერების გასწვრივ.

ზოგადად, რეკომენდებულია, მასწავლებელმა ინდივიდუალური გეგმის შედგენისას შეინარჩუნოს და ისარგებლოს მოდულის არსებული ფორმატით; სასურველია, დაზუსტებული ჩანაწერები შეძლებისდაგვარად ეფუძნებოდეს სტანდარტულად გამოყენებულ ტერმინოლოგიას, რაც მოდულშია მითითებული.

შესაბამისად, გიორგის მოდულის ფარგლებში წარმოებული ინდივიდუალური ჩანაწერები გამოიყურება შემდეგნაირად:

მოდული ზოგადი ინფორმაცია	
სარეგისტრაციო ნომერი:	0210307
სახელწოდება:	ნავიგებური ფეხსაცმლისა და ნახევარნალის მოდელირება/ კონსტრუირება
გამოქვეყნების თარიღი:	28.07.2015
ევროპულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს კვალიფიკაციის დონესთან შესაბამისობა:	მეოთხე
პროფესიული განათლების საფეხურთან შესაბამისობა:	მეოთხე
მოცულობა კრედიტებში:	8
მოდულზე დაშვების წინაპირობა:	საბაზო განათლება
მოდულის აღწერა:	<p>მოდულის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. კონსტრუქტორის სამუშაო ადგილის მომზადება; 2. ინდივიდუალური ადამიანის ფეხის ზომის აღება; 3. ფეხსაცმლის ასორტიმენტის დახასიათება საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით; 4. კალაპოტის შერჩევა საკლასიფიკაციო ნიშნების მიხედვით; 5. ესკიზის მიხედვით ფეხსაცმლის ზედაპირის ტექნიკური მოდელირება; 7. ესკიზის მიხედვით ფეხსაცმლის საძირე დეტალების ტექნიკური მოდელირება.

სტანდარტული ჩანაწერი			
სწავლის შედეგების სტრუქტურის შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	მტკიცებულებები
1. კონსტრუქტორის სამუშაო ადგილის მომზადება	1. სწორად ჩამოთვლის კონსტრუქციისთვის საჭირო სამუშაო ხელსაწყო-იარაღებსა და ინვენტარს 2. სწორად ირჩევს კონსტრუქციისთვის საჭირო სამუშაო ადგილს 3. სწორად აწყობს სამუშაო ადგილს	სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში	ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება (1) პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება (2; 3)
2. ინდივიდუალური ადამიანის ფეხის ზომის აღება	1. სწორად ჩამოთვლის ფეხის ტერფის ანთროპომეტრიული ნიშნების გასაზომ ხელსაწყო/აპარატურას 2. სწორად აღწერს ფეხის ტერფის კვალის პროექციის მიღების მეთოდს 3. ზუსტად ჩამოთვლის ძირითად ანთროპომეტრიულ ნერტილებს 4. იღებს ფეხის ტერფის კვალის პროექციას 5. ზომავს ტერფის ძირითად ანთროპომეტრიულ ზომებს	ანთროპომეტრიული ზომითი ნიშნები: გრძივი, განივი, შემოხვევითი, მაღლივი	ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება (1-3) პროდუქტი/შედეგი, როგორც მტკიცებულება (4; 5)

ინდივიდუალური ჩანაწერი			
სწავლის შედეგების სტრუქტურის შეუძლია	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	მტკიცებულებები
